წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: რედ.: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—33—17, სამდივნოს 10—58, მთ. კანტორის—8—81.

კვირა, 15 იანვარი 1933 წ. № 13 (3569)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული პლენუმი

ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელიც ეხლა დამთავრდა, შეაჯამა პირველი ხუთწლედის პროგრამის ოთხწელიწადში ძლევამოსილად შესრულების შედეგები, დასახა მეორე ხუთწლიანი გეგმის და 1932 წლის გეგმის ძირითადი გეზი და მიიღო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ახლანდელ ეტაპზე პარტიის წინაშე მდგარი ძირითადი პოლიტიკური ამოცანების გადაჭრასთან. ეს პლენუმი დაიჭერს დიდ ადგილს ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მთელს ისტორიაში.

უდიდესმა მუშაობამ, რომელიც ჩაატარა პარტიამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით — ჩვენი ბელადის და მასწავლებლის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, მიუხედავად კლასობრივი მტრის გაავთრებული წინააღმდეგობისა, ჩვენი ქვეყნის შიგნით, წინააღმდეგ მისი მოკავშირეებისა —კონტრრევოლიუციონურ ტროცკისტების და მემარჯვენე რენეგატებისა, წინააღმდეგ ყველა ჯურის ოპორტუნისტებისა და მოღალატე გადაგვარებული ელემენტებისა, —სავსებით შესცვალა ჩვენი ქვეყნის სახე, გიგანტურად გაზარდა მისი საერთაშორისო ძლიერება და თავდაცვის უნარი და საბჭოთა კავშირი დააყენა მოწინავე სამრეწველო ქვეყნების რიგებში. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის საბჭოთა კავშირში, არამედ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ბედისათვისაც. ამხ. სტალინს ტყუილად კი არ დაუწყია თავისი მოხსენება პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ იქიდან, რომ მან ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირში ხუთწლიანი გეგმის ოთხწელიწადში განხორციელების მთელი მნიშვნელობა კაპიტალისტურ და კოლონიალური ქვეყნების მუშებისა და მშრომელებისათვის.

7 წლის წინად, მე-14 პარტიულ ყრილობაზე, ოპოზიცია, ილაშქრებდა რა ჩვენი ლენინური პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, ცდილობდა დაემტკიცებია სოციალიზმის აშენების შეუძლებლობა საბჭოთა კავშირში. ამტკიცებდა, რომ ჩვენი ხვედრია ვიყოთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების აგრარული დამატება, სანამ ამ ქვეყნებში რევოლიუცია არ გაიმარჯვებს.

უკუაგდო რა ოპოზიციის ეს კაპიტულიანტური თვალსაზრისი, რომელიც „მემარცხენე“ ფრაზით იფარებოდა. მე-14 პარტიულმა ყრილობამ დასახა გზა სოციალიზმის აშენებისაკენ ჩვენს ქვეყანაში —ინდუსტრიალიზაციის გზა. ამ გზაზე პარტიის მიერ მიღწეულმა წარმატებებმა საშუალება მისცა შემდგომ მე-15 ყრილობას დაესვა სოფლის მასიური კოლექტივიზაციის, მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის რელსებზე მრავალ ათეულ მილიონ ჩამორჩენილ და დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანის საკითხი. მე-15 ყრილობის ეს ძირითადი გეზი მიმართული იყო ტროცკისტების წინააღმდეგაც, რომელნიც დაიშვენ კონტრ-რევოლიუციონურ პოზიციებზე, და მემარჯვენეების წინააღმდეგაც. როგორც ერთნი, ისე მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ კაპიტალისტური გზით. მე-15 ყრილობა იყო კოლექტივიზაციის ყრილობა. და სწორედ ამიტომ მან ხაზგასმით აღნიშნა მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის განვითარების ბოლშევიკური ტემპების აუცილებლობა.

თუ ჩვენ მე-15 ყრილობის შემდეგ მრეწველობის განვითარებაში გიგანტურ წარმატებებს მივაღწიეთ, ამაში უდიდესი როლი ითამაშა სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის წარმატებათა მეოხებით ჩვენ მივიღეთ საშუალება 21 მილიონი ჰექტარით გაგვედიდებია სათესი ფართობი და 1931-32 წელს დაგვემზადებია 1.400 მილიონი ფუთი პური. 1927-28 წელში დამზადებული 700 მილიონი ფუთის ნაცვლად. პროლეტარულ სახელმწიფოს პურის რესურსების მხოლოდ ასეთი გიგანტურმა გადიდებამ შექმნა მრეწველობის და მუშათა კლასის უდიდესი ზრდის შესაძლებლობა, მაგრამ თუ, მეორე მხრით, ჩვენ ასე წარმატებით ვატარებდით კოლექტივიზაციას სოფლად, ვახდენდით რა ამ საფუძველზე კულაკის ლიკვიდაციას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მრეწველობა, რომელიც სწრაფად იზრდებოდა, აიარაღებდა ჩვენს სასოფლო მეურნეობას ახალი გაუმჯობესებული იარაღებით და საშუალებას აძლევდა სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს გაევრცელებინათ თავისი კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა ახალ და ახალ მილიონებზე.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ურთიერთ ზემოქმედებაში გადამწყვეტი, წამყვანი ბერკეტის როლი ეკუთვნოდა მძიმე ინდუსტრიას. მუშათა კლასის ზრდას და მისი გავლენის განმტკიცებას გარდაქმნის პროცესში მთელ სოფელზე, და მემარჯვენე ოპორტუნისტები, თავისი ხაზის — კლასობრივი მტრის აგენტურის ხაზის — თვალსაზრისით თანმიმდევრობას იჩენდნენ, როცა გამოდიოდნენ არა მარტო კოლექტივიზაციის წინააღმდეგ „განუწყვეტელ დათმობათა“ (ტომსკი). და კულაკისათვის პროლეტარული დიქტატურის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების დათმობის სასარგებლოდ, არამედ ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპების წინააღმდეგაც, ხუთწლიანი გეგმის წინააღმდეგ, კულაკური ორწლედის სასარგებლოდ. (რიკოვი).

მემარჯვენეთა ანტიინდუსტრიალიზატორულ კულაკურ პოლიტიკას მივყავდით საბჭოთა კავშირის განიარაღებისაკენ საერთაშორისო იმპერიალიზმის წინაშე, რომელიც კრიზისიდან გამოსავალს ეძებს უფრო ჩამორჩენილ და სუსტ ხალხთა ხარჯზე მსოფლიოს ხელახალი გაყოფის გზით. კაპიტულიაცია კულაკის წინაშე, ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური რესტავრაციის ძალების წინაშე, რასაც ამზადებდნენ მემარჯვენეები მოასწავებდა აგრეთვე კაპიტულიაციას საერთაშორისო იმპერიალიზმის წინაშე. მხოლოდ უაღრესად დაუნდობელი ბრძოლით ორ ფრონტზე — მემარჯვენე კაპიტულიანტებთან, რომელნიც ფაქტიურად გადავიდნენ კლასობრივი მტრის მხარეზე და მათი „მემარცხენე“ მოკავშირეებთან დაუნდობელი ბრძოლამ უზრუნველჰყო უკანასკნელი. მე-16 ყრილობის ორი ძირითადი ისტორიული გადაწყვეტილების —ხუთწლიანი გეგმის ოთხწელიწადში განხორციელების და კოლექტივიზაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება. და ვინც ახლა განაგრძობს მემარჯვენეთა ხაზის გატარებას, ის რიუტინ-სლეპკოვის ჯგუფთან ან ეისმონტ-სმირნოვის ჯგუფთან ერთად მხარს უჭერს ხუთწლედის მიღწევების და კოლექტივიზაციის ჩაშლას, მხარს უჭერს კულაკობის აღდგენას, მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის დამონებას უცხოეთის იმპერიალიზმის მიერ.

გაერთიანებულმა პლენუმმა თავის გადაწყვეტილებებში ერთხელ კიდევ გაამახვილა პარტიის ყურადღება თვალთმაქცების და გამცემლების წინააღმდეგ, რომელნიც, აცხადებენ რა სიტყვით პარტიის გენერალურ ხაზთან თანხმობას, საქმით ატყუებენ პარტიას და კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის იყენებენ თავის პარტიულ ბილეთებს და პარტიის წევრის უფლებებს. მთელი პარტიის და თვითეული პარტიული ორგანიზაციის პირდაპირი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა გაწმინდოს თავისი რიგები მოღალატეებისა და გადაგვარებული ელემენტებისაგან. პლენუმმა ერთხელ კიდევ აღნიშნა ხაზგასმით პარტიის გენერალური ხაზისადმი იმ „სიტყვიერ-დეკლარატიული“ დამოკიდებულების აბსოლუტური დაუშვებლობა, რომელიც აშკარათ გამოიჩინეს მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილმა ბელადებმა —რიკოვმა და ტომსკიმ, რომელთაც თავის მოვალეობად არ მიაჩნდათ საქმით ებრძოლნათ პარტიის გენერალური ხაზისათვის თავის ყოველდღიურ მუშაობაში და რომელთაც კავშირი ჰქონდათ გაბმული ანტიპარტიულ ელემენტებთან. პლენუმმა კატეგორიული გაფრთხილება მისცა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ბელადებს.

პარტია, რომელმაც ძლევამოსილად განახორციელა პირველი ხუთწლედის პროგრამა, ახლა შედის მეორე ხუთწლედის პირველ სამეურნეო წელში. მეორე ხუთწლედი უმთავრესად იქნება ათვისების ხუთწლედი. „რაც არ უარყოფს, არამედ გულისხმობს ახალი მშენებლობის შემდგომ განვითარებას“.

„... მეორე ხუთწლედმა ... უნდა შეავსოს ახალი მშენებლობის დღევანდელი ლოზუნგი ახალ საწარმოთა და ახალი ტეხნიკის ათვისების ახალი ლოზუნგით“ (პლენუმის რეზოლიუცია ამხ. სტალინის, მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებათა გამო).

უზრუნველვყოთ ახლად აშენებულ საწარმოების, მრეწველობის ახლად შექმნილი დარგების სწორი ექსპლოატაცია, მთლიანად გამოვიყენოთ მათი შინაგანი რესურსები, უზრუნველვყოთ ისინი მუშათა მტკიცე კადრებით და, ამით, უზრუნველვყოთ მათი ნორმალური შეუფერხებელი მუშაობა, ავსწიოთ მუშაობის ხარისხი და შრომის დისციპლინა. —ასეთია უაღრესად სერიოზული ამოცანა ამჟამად.

სოფელში ჩვენ გვაქვს ხუთი ათასი საბჭოთა მეურნეობა, ორნახევარ ათასზე მეტი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, 200 ათასი კოლმეურნეობა. ეს კოლოსალური ორგანიზაცია, რომელიც სწორი და ნორმალური მუშაობის დროს სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი სასოფლო მეურნეობის კოლოსალურ ზრდას და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებას. ამას ხელს უშლის ის, რომ ბევრი ჩვენი საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-სატრაქტორო სადგური, კოლმეურნეობა და სამიწადმოქმედო ორგანო დანაგვიანებულია მტრულად განწყობილი ელემენტებით, მეურნეობრივად განადგურებული კულაკობის აგენტებით: ყოფილი კულაკებით და თეთრგვარდიელებით, რომელნიც პოულობენ თანამშრომლებს, თანამოაზრეებს და დამფარველებს ზოგიერთ გადაგვარებულ კომუნისტებს შორის. ნამდვილ მტრებს შორის, რომელნიც შეძვრენ პარტიულ ორგანიზაციებში.

კულაკურ და თეთრგვარდიელურ ელემენტებმა, რომელნიც გაძევებული არიან ყველა თავისი ეკონომიური პოზიციებიდან და რომელნიც [illegible] ჩვენს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში, სამიწათმოქმედო ორგანოებში, იყენებენ რა ისინი ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის დაუდევრობას და ცალკე კომუნისტების დახმარებას მთელი თავისი ყურადღება წარმართეს იქითკენ, რომ ძირი გამოუთხარონ შრომის დისციპლინას, დაიტაცონ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ქონება, გაფუჭონ ინვენტარი, მოსპონ პირუტყვი, დაანაგვიანონ მინდვრები, ჩაშალონ თესვა, მოსავლის აღება, დამზადება. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კი ყველგან ვერ გაუსინჯეს კბილი კლასობრივი მტრის ამ ახალ ტაქტიკას, ყველგან ვერ გაიგეს, რომ კოლექტივიზაცია მათგან მოითხოვს ყურადღების გაძლიერებას, და არა შესუსტებას სოფლის მეურნეობისადმი, თესვის, მოსავლის აღების, დამზადების ორგანიზაციისადმი; ისინი ძალიან ხშირად გადაჭარბებით აფასებდნენ კოლმეურნეობის ფორმას და ფიქრობდნენ, რომ მარტო ეს ფორმა თავისთავად გვაძლევს ჩვენ გარანტიას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პლენუმმა მკაცრი ბოლშევიკური კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მიერ სოფ. მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის წარმოებული მუშაობის დეფექტები, რომლებიც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოაშკარავდა უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში და ქვემო ვოლგის მხარეში.

ინდუსტრიალიზაციის, მრეწველობის განვითარების და სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანებს შორის არსებობს უაღრესად მჭიდრო კავშირი. ვინც ნამდვილად არ მუშაობს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, თუნდაც მრეწველობაზე ზრუნვის საბაბით, იგი შლის ინდუსტრიალიზაციის ტემპებს, რომლებიც დასახა და რომლებსაც ატარებს პარტია, იგი ხელს უწყობს კლასობრივ მტერს.

პარტიის საბრძოლო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებასთან ერთად, გასწმინდოს ისინი კონტრრევოლიუციონური მავნებლური ელემენტებისაგან, გასტეხოს კულაკობის ნაშთების წინააღმდეგობა, ფართოდ გაშალოს მუშაობა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების სოციალისტური აღზრდისათვის, დარაზმოს ისინი საზოგადოებრივი საკუთრების—ჩვენი წყობილების საფუძვლის — დასაცავად კლასობრივი მტრის ხელყოფისაგან.

ამ თვალსაზრისით, პლენუმმა მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო სატრაქტორო სადგურებში პოლიტგანყოფილებათა მოწყობის შესახებ. ეს პოლიტგანყოფილებანი უნდა გადაიქცნენ პროლეტარული დიქტატურის უძლიერეს დასაყრდენ პუნქტებად სოფელში, პარტიის მუშაობის უძლიერეს ბერკეტად სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ან კოლმეურნეთა მასების სოციალისტურად აღზრდის საქმეში.

სოფლის მეურნეობას სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ნამდვილად მობრუნებასთან. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ამოცანის წარმატებით გადაჭრასთან, მათ გაწმენდასთან მტრული ელემენტებისაგან, ჩვენი სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის სწრაფად განვითარების და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების უზრუნველყოფა, საბჭოთა, კერძოდ. საკოლმეურნეო ვაჭრობის და საქონლის ბრუნვის გაშლა, მუშათა მომარაგების გაუმჯობესება, მსუბუქი მრეწველობის სანედლეულო ბაზის გაფართოება, ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპების უზრუნველყოფა, რომლებიც დასახულია მეორე ხუთწლედის პროგრამით.

კულაკობა, რომლის ლიკვიდაციასაც ძლევამოსილად ვაწარმოებთ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, წარმოადგენდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელ დასაყრდენს ჩვენს ქვეყანაში. მისი ნაშთები ამჟამად გაავთრებულ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენს სოციალისტურ შეტევას სოფლად. მაგრამ ცალკე კულაკური ელემენტები ახერხებენ ჩვენს მრეწველობაში, ახალ საწარმოებში და ახალშენებებზე შეპარვას. ისინი იქაც ცდილობენ აწარმოონ გამხრწნელი მუშაობა, ძირს უთხრიან შრომის დისციპლინას. დამკვრელობას. სოცშეჯიბრებას და აწყობენ სამუშაო დღის გაცდენას.

შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება საწარმოებში, შრომის დისციპლინის განმტკიცება. შრომის ნაყოფიერების აწევა, სამუშაო დღის გაცდენის აღმოფხვრა. მუშაობის ხარისხის ამაღლება, თვითღირებულების შემცირება მოითხოვს მაქსიმალურ სიფხიზლეს და დაუზოგავ ბრძოლას ჩვენდამი მტრულად განწყობილ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ძვრებიან ჩვენ საწარმოებში, ზოგჯერ კი კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებშიაც, მოითხოვს ამ ორგანიზაციების მასიურ მუშაობის გაუმჯობესებას, მათი შემადგენლობის გაუმჯობესებას.

გაერთიანებულმა პლენუმმა მოიწონა პოლიტბიუროს გადაწყვეტილება ურასაიმედო, მერყევ და მიტმასნილ ელემენტებისაგან პარტიის გაწმენდის შესახებ.

თვითეულმა კომუნისტმა არა მარტო სიტყვიერად უნდა მიიღოს პარტიის გენერალური ხაზი, არამედ აგრეთვე დაიცვას იგი თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, იგი უნდა იცნობდეს პარტიის პროგრამას და ტაქტიკას, ატარებდეს ცხოვრებაში მის გადაწყვეტილებებს, ნამდვილად ებრძოდეს ყოველგვარ ოპორტუნიზმს და მემარჯვენე ოპორტუნიზმს, როგორც მთავარ საფრთხეს, ნამდვილად ააშკარავებდეს პარტიის მომტყუებლებს და მოღალატეებს და იცავდეს და ანმტკიცებდეს რკინისებურ ბოლშევიკურ დისციპლინას.

ჩვენ ვიმყოფებით მეორე ხუთწლედის მიჯნაზე. რადიკალურად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე. პირველი ხუთწლედი შესრულდა ოთხ წელიწადში, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განადგურებული ჩვენს ქვეყანაში, პირწავარდნილი იმპერიალისტურ ჯგუფებს უცხოეთში ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი თავიანთი ინტერვენციონისტურ ცდებზე.

კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და კიდევ უფრო განვავითაროთ შეტევა, განვამტკიცოთ მოპოებული პოზიციები, გადაჭრით გავაკრიტიკოთ და დავსძლიოთ გზადაგზა ყველა დეფექტები, მოუწესრიგებლობა, ბიუროკრატიზმის, უთაურობის, თვალლის ახვევის და — „ალილუიშჩინის“ ელემენტები, გავაუმჯობესოთ კონკრეტული ხელმძღვანელობა შეტევის ყველა უბნებზე, რომელსაც განვაგრძობთ, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბნებზე, საბოლოოდ გავანადგუროთ მტრის ნაშთები, ვამხილოთ და გავაძევოთ მათი აგენტურა ჩვენი რიგებიდან,—ასეთია პარტიის ამოცანა.

„ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენა რომ პარტია უძლეველია. მან იცის როგორ წაიყვანოს საქმე და მას არ ეშინია სიძნელეების“ (სტალინი).

(„პრავდა“-ს 14 იანვრის მოწინავე წერილი).

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურ განყოფილებათა მიზნები და ამოცანები

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუცია

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო, მიღებული 1933 წლის 11 იანვარს

I

პოლიტიკური მუშაობის სისუსტე სოფლად და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტ-განყოფილებათა შექმნის აუცილებლობა

ბრძოლა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მისი სოციალისტური გარდაქმნის დასათავრებისათვის ამჟამად პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

ღარიბი და საშუალო გლეხობის ძირითადი მასების კოლექტივიზაციამ, კოლმეურნეობათა საწარმოო-ტეხნიკური ბაზის გაფართოებამ და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარებამ შექმნა საჭირო წინასწარი პირობები სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის, ინდუსტრიალიზაციის სასურსათო და სანედლეულო ბაზის განმტკიცებისათვის და როგორც კოლმეურნეობათა, ისე ცალკე კოლმეურნეთა შემოსავალის განუწყვეტელი ზრდისათვის.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრას სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ სოფლის ანტი-საბჭოთა ელემენტები. კულაკი, რომელიც მეურნეობრივად განადგურდა, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ დაუკარგავს თავისი გავლენა, ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცრები, ყოფილი მღვდლები, მათი შვილები, მემამულეების და შაქრის ქარხნების პატრონთა ყოფილი მოურავები, ყოფილი „ურიადნიკები“ და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტები ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ და მათ შორის ესერულ და პეტლიურელთა ინტელიგენციიდან, რომლებმაც მოიკალათეს სოფლად და ყოველნაირად ცდილობენ გახრწნან კოლმეურნეობანი, ცდილობენ ჩაშალონ პარტიის და მთავრობის ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის დარგში, იყენებენ რა ამ მიზნით კოლმეურნეთა ნაწილის შეუგნებლობას საზოგადოებრივი, საკოლმეურნეო ინტერესების წინააღმდეგ, საკოლმეურნეო გლეხობის ინტერესების წინააღმდეგ, ახერხებენ კოლმეურნეობებში გაძვრომას, მოანგარიშეებად, მნეებად, მეკუჭნავეებად, ბრიგადირებად და სხვ. ხოლო ზოგჯერ კოლმეურნეობათა გამგეობების ხელმძღვანელ მუშაკებადაც. ანტი-საბჭოთა ელემენტები ცდილობენ მოაწყონ მავნებლობა, აფუჭებენ მანქანებს, სთესავენ ხარვეზებით, იტაცებენ საკოლმეურნეო ქონებას, ძირს უთხრიან შრომის დისციპლინას, აწყობენ თესლის ქურდობას, საიდუმლო ბეღლებს, პურის დამზადების საბოტაჟს, — და ზოგჯერ ისინი ახერხებენ კოლმეურნეობების გახრწნას.

მიძვრებიან რა კოლმეურნეობებში მნეებად, ბუხჰალტრებად, მოანგარიშეებად, მეკუჭნავეებად, განყოფილებათა გამგეებად და სხვ. ეს ანტი-საბჭოთა ელემენტები ზიანს აყენებენ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, ტრაქტორების და კომბაინების განზრახ გაფუჭებით, მიწის ცუდად დამუშავებით. პირუტყვის ცუდად მოვლით, შრომის დისციპლინის დარღვევით. საბჭოთა მეურნეობების ქონების, განსაკუთრებით მისი პროდუქციის (მარცვლეული, ხორც, რძე, ერბო, მატყლი და სხვ.) დატაცებით.

ყველა ეს ანტი-საბჭოთა და ანტი-კოლმეურნეო ელემენტები ისახავენ ერთ საერთო მიზანს: ისინი ცდილობენ აღადგინონ მემამულეების და კულაკების ძალაუფლება მშრომელ გლეხობაზე, ცდილობენ აღადგინონ ფაბრიკების და ქარხნების პატრონების ძალაუფლება მუშებზე.

კომუნისტებს და მათ თანამგრძნობ უპარტიოებს მართებთ განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა იმისთვის, რომ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ ამ ხალხის მტრებს და საბოლოოდ გაანადგურონ ისინი. ამავე დროს, სოფლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მათ შორის საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების უჯრედები. რომელნიც ხშირად მოკლებულნი არიან რევოლიუციურ ალღოს და სიფხიზლეს, მთელ რიგ ადგილებში მტრული ელემენტების ამ ანტი-საბჭოთა მუშაობას არა თუ არ უპირისპირებენ კლასობრივ სიფხიზლეს და ბოლშევიკურ ყოველდღიურ ბრძოლას საბჭოთა გავლენის გაძლიერებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ფართო უპარტიო მასებზე, არამედ ზოგჯერ თვითონ ექცევიან ამ მავნებლურ ელემენტების გავლენის ქვეშ, ხოლო პარტიის ზოგიერთი წევრები. რომელნიც პარტიაში შეძვრენ კარიერისტულ მიზნებით, უკავშირდებიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს და მათთან ერთად აწყობენ თესლის მოპარვას თესვის დროს, მარცვლეულის მოპარვას მოსავლის აღებისა და გალეწვის დროს, პურის გადამალვას, საიდუმლო ბეღლებში, პურის დამზადების საბოტაჟს და, მაშასადამე, ცალკე კოლმეურნეობებს, კოლმეურნეთა ჯგუფებს და საბჭოთა მეურნეობების ჩამორჩენილ მუშაკებს აბამენ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს განსაკუთრებით ეხება საბჭოთა მეურნეობებს. სადაც ხშირად საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ანტი-საბჭოთა ელემენტების ზეგავლენით ბურჟუაზიულ გადაგვარებას განიცდიან. საბოტაჟს უწყობენ საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებებს. არ ერიდებიან პარტიის და მთავრობის პირდაპირ მოთხოვნებს და ცდილობენ საბჭოთა მეურნეობის სახელმწიფო პროდუქცია მიითვისონ როგორც პირადი საკუთრება. ამასთან დაკავშირებით სოფლის კომუნისტებისა და კომკავშირელთა წინაშე ამჟამად ისმება შემდეგი ამოცანები: კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნამდვილი პარტიული და საბჭოთა აქტივის ორგანიზაცია და მისთვის ხელმძღვანელობის გაწევა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში [illegible] დაცვა და კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ანტი-საბჭოთა ელემენტების განდევნა —თავდაპირველად მნეების, მოანგარიშეების, ბუხჰალტრების და მეკუჭნავეების რიგებიდან, ენერგიულად და თანამიმდევრობით გატარება საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ადმინისტრატიული და დამსჯელი ზომების მიღების შესახებ, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ქონების დატაცების ორგანიზატორთა წინააღმდეგ, აგრეთვე იმათ წინააღმდეგ, ვინც აწყობს პარტიის და მთავრობის ღონისძიებათა საბოტაჟს მარცვლეულის აკრეფის და თესვის, მოსავლის აღებისა და გალეწვის, პურის და ხორცის დამზადების გეგმის შესრულების ხაზით და სხვ. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის და კოლმეურნეებზე საბჭოთა გავლენის განუწყვეტელ გაძლიერების მთავარ ბერკეტს წარმოადგენენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობანი, როგორც სოციალისტური მიწათმოქმედების უდიდესი ფაბრიკები. სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მტკიცე ადგილი დაიკავეს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, როგორც განსაზოგადოებული მეურნეობების სისტემის ორგანიზატორებმა. მაგრამ მიუხედავად სამანქანო - სატრაქტორო სადგურების უდიდესი ორგანიზაციულ - სამეურნეო როლისა და გავლენისა სოფლის მეურნეობის ხელახალი ტეხნიკური შეიარაღების და სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. მათი **პოლიტიკური** გავლენა კოლმეურნეთა ფართო მასებზე ჯერ - ჯერობით სრულიადაც არ არის საკმაო. სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს ხშირად არა აქვთ პოლიტიკური სახე.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს შიგნით ხშირად გამეფებულია დანაშაულებრივ - დაუდევარი დამოკიდებულება პარტიის და მთავრობის ამოცანებისადმი. დანაშაულებრივი დამოკიდებულება სახელმწიფო ქონებისადმი, ქურდობა და საკოლმეურნეო ქონების და სახელმწიფო საკუთრების დატაცება. კლასობრივად მტრული ელემენტები ხშირად ახერხებენ თვით სამანქანო სატრაქტორო სადგურებში შეძრომას და შიგნიდან აწარმოებენ მუშაობას კოლმეურნეებზე ანტი-საბჭოთა გავლენის გასაძლიერებლად.

ეს საგრძნობლად შეეხება საბჭოთა მეურნეობებსაც; მიუხედავად საბჭოთა მეურნეობების მოწინავე როლისა სოფლის მეურნეობის ხელახალი ტეხნიკური შეიარაღების და სოციალისტური გარდაქმნის საქმეში, მათი პოლიტიკური და სამეურნეო გავლენა კოლმეურნეობებზე ამჟამად არ არის საკმაო. სანიმუშო მუშაობის ნაცვლად საბჭოთა მეურნეობების ტეხნიკური შეიარაღების დაუფლებისა და გამოყენების ხაზით, აგრეთვე იმის ნაცვლად, რომ პრაქტიკულად უჩვენონ მსხვილი სასოფლო - სამეურნეო საწარმოს უპირატესობა წვრილი ინდივიდუალური მეურნეობის წინაშე. საბჭოთა მეურნეობებში, ზოგჯერ თავს იჩენს ბურჟუაზიული ტენდენციები, გამეფებულია დანაშაულებრივ - დაუდევარი დამოკიდებულება სახელმწიფო ქონებისადმი, ბარბაროსული მოპყრობა ტრაქტორებისა. ავტომანქანებისა. კომბაინებისა და პირუტყვისადმი, იტაცებენ და ანიავებენ საბჭოთა მეურნეობების პროდუქციას, არ ასრულებენ პარტიის დავალებებს სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების შესახებ.

იმ მიზნით, რომ პოლიტიკურად განმტკიცდეს სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობანი, გაძლიერდეს სამანქანო სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკური როლი და გავლენა; სოფლად და გადაჭრით გაუმჯობესებულ იქნას ჩვენი უჯრედების პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოეწყობინა ყველა სამანქანო - სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში **პოლიტგანყოფილებანი,** რომლის სათავეში იქნებიან სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მოადგილენი პოლიტიკურ ნაწილში, რომელნიც ამავე დროს არიან სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა უფროსები.

II

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა ამოცანები

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა, ერთი მხრით, მასიურ - პოლიტიკური მუშაობის გაშლით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და, მეორე მხრით — კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებით უნდა უზრუნველჰყონ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც დასმულია კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა წინაშე მოსავლიანობის გადიდების, პირუტყვის უკეთ მოვლის, საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის თავის დროზე ორგანიზაციის, მოსავლის აღების და გალეწვის თავის დროზე ჩატარების, კოლმეურნეების და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე ყველა თავის ვალდებულებათა თავის დროზე და მთლიანად შესრულების დარგში.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა უნდა უზრუნველჰყონ პარტიული მეთვალყურეობა და კონტროლი როგორც თვით სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების, ისე იმ კოლმეურნეობების მუშაობის და ცხოვრების ყველა დარგებში, რომელთაც სამანქანო - სატრაქტორო სადგურები სამსახურს უწევენ, თესლის ხარისხის უზრუნველყოფა თესვის პერიოდში. თესლის მტაცებლობის თავიდან აცილება, გალეწვის სწორად ჩატარებისათვის თვალყურის დევნება, ბრძოლა გალეწილი მარცვლის მტაცებლობასთან, ბრძოლა სამუშაოზე გამოუცხადებლობასთან, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის გულდასმითი მოვლის უზრუნველყოფა. კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ყველა ანტი-საბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო ელემენტების განდევნა, საუკეთესო შემოწმებული კადრების შერჩევა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, — ყველა ეს და მსგავსი საკითხები უნდა იდგეს პოლიტიკურ განყოფილებათა ყურადღების ცენტრში.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა უნდა უზრუნველჰყონ პოლიტიკური კონტროლი და მეთვალყურეობა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა განაწილების და გამოყენების საქმეში. ამასთან მათ უნდა ახსოვდეთ, რომ იმაზე, ვინც მუშაობს სათეს მანქანაზე, სალეწ მანქანაზე, [illegible] საბჭოთა მეურნეობის განყოფილებაში. მარცვლის და მთელი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ქონების აღრიცხვაზე, — დამოკიდებულია კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა, დამოკიდებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტიკურ განყოფილებათა პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყონ სახელმწიფოს წინაშე **კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა** მიერ თავის ვალდებულებათა უთუოდ და თავის დროზე შესრულება და, განსაკუთრებით აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა საკოლმეურნეო დოვლათის მტაცებლობასთან. ბრძოლა პარტიისა და მთავრობის მიერ კოლმეურნეობებში პურის დამზადების და ხორცის დამზადების ხაზით დასახულ ღონისძიებათა საბოტაჟის მოვლენებთან.

საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა უთუოდ და თავის დროზე შესრულება, და, განსაკუთრებით, აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა ცალკე დირექტორების და მათი მოადგილეების ცდებთან დაუპირისპირონ თავის საბჭოთა მეურნეობის ვიწრო ინტერესები სახელმწიფოს საერთო ინტერესებს. აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა ზედმეტი. პროდუქციის გადამალვის ცდასთან, სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების ნაცვლად.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა უნდა უზრუნველყონ ადმინისტრატიული და დამსჯელი ზომების შესახებ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემული კანონების მტკიცედ, სწორად და თავის დროზე გამოყენება საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლებისა და სოფლის მეურნეობის დარგში პარტიის და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა საბოტაჟის ორგანიზატორების მიმართ.

ზემოთ აღნიშნული ბოროტმოქმედებათა გამო მიღებული დასჯის ყველა ამ ზომების, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ ბოროტმოქმედებათა გამო, პოლიტიკურმა განყოფილებებმა უნდა აცნობონ კოლმეურნეთა ფართო მასებს და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს. ამასთან გაშალონ მსგავსი ფაქტების გარშემო და მათ საფუძველზე ფართო მასიური ახსნა - განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს შორის. ყველა ეს ამოცანები სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებმა უნდა განახორციელონ ორგანიზაციულ - პარტიული და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გზით. პარტიის და კომკავშირის წევრთა შორის საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში და იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც ეს უკანასკნელნი ემსახურებიან: მასიურ - პოლიტიკური მუშაობის მოგვარებით, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა პარტიული და კომკავშირული ძალების და საკოლმეურნეო საქმის ერთგული უპარტიო აქტივის სწორი შერჩევით და განაწილებით, საკოლმეურნეო კადრების ყოველდღიური შესწავლით და წარმოების საპასუხისმგებლო გადამწყვეტ უბნებზე ყველაზე უფრო მოწინავე, ნამდვილად ერთგული აქტივის კოლმეურნეობის დაწინაურებით.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა. უნდა ამხილონ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების [illegible] ამა თუ იმ [illegible] მავნებლური მუშაობის ფაქტები; ამხილონ [illegible] საბჭოთა მეურნეობებში. ამხილონ [illegible] ორგანიზატორები კოლმეურნეობებში [illegible] ამა თუ იმ წევრთა რიგებიდან. აწარმოონ ბრძოლა კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის საკუთრების დამტაცებლობის, [illegible] წინააღმდეგ, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების (ცოცხალი და მკვდარი) ინვენტარისადმი დაუდევარი და [illegible] დამოკიდებულების წინააღმდეგ და, ამრიგად, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ყოველდღიური მუშაობის და ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებზე დარაზმონ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ფართო მასები საბრძოლველად კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებისათვის, კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისა და ხელშეუხებლობისათვის, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდისათვის; კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე ყველა თავის ვალდებულებათა თავის დროზე და მთლიანად შესრულებისათვის.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა თავიდან უნდა აიცილონ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა დარღვევა და დამახინჯება და აწარმოონ ბრძოლა ამ დარღვევის და დამახინჯების წინააღმდეგ, უხეში ზეგავლენის და ადმინისტრირების მეთოდების გამოყენების წინააღმდეგ, ამასთან მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ზემოთაღნიშნულ ამოცანების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ორგანიზაციულ - სამეურნეო ხელმძღვანელობის ყოველნაირად გაუმჯობესებით და განმტკიცებით. კულაკისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მისი პროლეტარული დიქტატურის ყველა ბერკეტების გამოყენებით, კოლმეურნეთა შორის ფართო პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაშლით.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასწიონ თავის მუშაობაში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მაგიერობა, ამასთან მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სადგურის და საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო ხელმძღვანელობას სამანქანო - სატრაქტორო სადგურის და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ახორციელებს ერთმმართველობის პრინციპების საფუძველზე უნდა ახსოვდეთ. რომ პოლიტგანყოფილებანი თავისი მასიურ - პოლიტიკური. ორგანიზაციულ - პარტიული და აღმზრდელობითი მუშაობით ხელს უნდა უწყობდნენ საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო - სატრაქ-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის ბრძოლის შედეგები

ამხ. ვ. კუიბიშევის მოხსენება

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრ. საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წ. 8 იანვარს

ამხანაგებო, მას შემდეგ, რაც აქ ამხ. სტალინმა მოგვცა პირველი ხუთწლედის შედეგების ბრწყინვალე ლენინური ანალიზი და ამხ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში ნათლად დაახასიათა 1933 წლის ამოცანები, მე გადავალ პირდაპირ ჩემი მოხსენების თემაზე ე. ი. **პირველ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის შედეგებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ აქედან 1933 წლისათვის.**

ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ ყველაზე უფრო საერთო გამოხატულება, რა თქმა უნდა, ჰპოვა კაპიტალისტური მშენებლობის მოცულობაში. პირველი ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში კაპიტალურ სამუშაოზე დავაბანდეთ 48,4 მილიარდი მანეთი, ხუთწლიანი გეგმით კი გათვალისწინებული იყო 45 მილიარდი მანეთის დაბანდება სახალხო მეურნეობაში ხუთი წლ. მანძილზე.

კერძოდ, მრეწველობაში ოთხი წლის მანძილზე დავაბანდეთ 23 მილიარდი მანეთი, ნაცვლად 18,8 მილიარდი მანეთისა, რაც განზრახული იყო ხუთწლიანი გეგმით. სოფლის მეურნეობაში დავაბანდეთ 9,4 მილიარდი მან., იმ დროს, როცა ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო 7,2 მილიარდი მან. დაბანდება. ამასთან დაბანდება სწარმოებდა გაძლიერებული ტემპებით და მარტო 1932 წელს დავაბანდეთ 17,9 მილიარდი მანეთი, ე. ი. პირველ ხუთწლედში ჩატარებულ კაპიტალურ სამუშაოებზე დახარჯული თანხის 37 პროც.

ამ დიდძალმა კაპიტალურმა დაბანდებამ გამოიწვია ის, რომ ჩვენში არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელსაც არ მიეღწიოს საგრძნობი გარდატეხისათვის ტექნიკურ რეკონსტრუქციის საქმეში. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ყურადღებით შესწავლის დროს დავინახავთ, რომ მთელ სახალხო მეურნეობაში, თვითეულ მის დარგში ვაწარმოებდით ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებას თანამედროვე მოწინავე ტექნიკის დონეზე.

ავიღოთ, პირველ ყოვლისა, სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომლებიც კანონიერად ითვლებიან ჩვენი ეკონომიკის ბურჯებად.

მეტალურგია

შავი მეტალურგიის ახალი მშენებლობის დარგში განვლილი პერიოდის მანძილზე აშენდა მრავალი ქარხანა და მძლავრი აგრეგატი, რომლებიც უკვე ამუშავდა. ყველასათვის ცნობილია. ვოიკოვის სახელობის ქარხანა ქერჩში, მაგნიტოგორსკის ქარხანა, კუზნეცკის ქარხანა, ხოლო **ფერადი მეტალურგიის** დარგში აშენდა: კრასნოურალსკის სპილენძის კომბინატი, ბელოვსკის თუთიის ქარხანა, კონსტანტინოვსკის თუთიის ქარხანა, ვოლხოვსკის ალუმინის კომბინატი, რვა გამამდიდრებელი ფაბრიკა და სხვ. ჩავატარეთ მთელი რიგ ქარხნების საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, რომლებშიაც ან დაიდგა ახალი მძლავრი აგრეგატები. ბრძმედები, მარტენის ღუმელები, საგლინავი დანადგარები, ან გადაკეთდა ძველი აგრეგატები. რომლებიც ახლა დიდი ტექნიკური სიმძლავრის არიან. მათ რიცხვს ეკუთვნიან სამხრეთის თითქმის ყველა ქარხნები და ურალის მთელი რიგი ქარხნები. დიდი რეკონსტრუქცია ჩატარდა ძერჟინსკის, ტომსკის, პეტროვსკის, ლენინის და ვოროშილოვის სახელობის ქარხნებში. სტალინსკის ქარხანაში (დონბასი), „ელექტროსტალ"-ში, „კრასნი ოქტიაბრ"-ში (სტალინგრადი) და სხვ.

პირველი ხუთწლედის მანძილზე შავ მეტალურგიაში საერთო სიმძლავრის ზრდა გამოიხატება შემდეგ მაჩვენებლებში: ჩვენ მივიღეთ 40 რეკონსტრუქტირებული და ახალი ბრძმედი, ამათგან 17 არის ახალი მძლავრი ბრძმედი. მარტენის ღუმელების შემატება 66 ღუმელი, ამათგან 45 ახალია. საგლინავ დანადგარებს შემატა 28 ერთეული, ამათ შორის 11 ახალი. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა ყველა ჩვენი მეტალურგიული ქარხნების მასშტაბი და სახე. თუ 1913 წელს თუჯის საშუალო წლიური გამოდნობა ერთ ქარხანაზე მოდიოდა — 60.000 ტონა, 1932 წელს ერთი ქარხნის საშუალო გამოდნობა გაიზარდა 145000 ტონამდე, ე. ი. **ორნახევარჯერ.**

კიდევ მეტი, ხუთწლედის დასაწყისში იყო **მხოლოდ ერთი** ბრძმედი, რომლის მოცულობა უდრიდა 700 კუბიკურ მეტრს. 1932 წლის დამლევს კი ჩვენ გვაქვს **ათი ასეთი ბრძმედი.** ამასთან ამ ათი ბრძმედიდან ორი არის 1.180 კუბ. მეტრის მოცულობით. ცუდად იყო დატვირთვის მექანიზაციის და ლითონის გადასხმის საქმე და სხვ. ჩვენ არც ერთი გადამსხმელი მანქანა არ მოგვეპოვებოდა. ხუთწლედის დამლევს კი უკვე გვქონდა ათი გადამსხმელი მანქანა. ჩვენ გვაქვს 11 ღუმელი, რომლებიც დატვირთვის მხრივ უაღრესად მექანიზებულნი არიან. აშენდა პირველი 150 ტონიანი მარტენის ღუმელი კუზნეცკში, ამუშავდა შესანიშნავი ბლუმინგი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა. ჩვენს კოქსის დანადგარი კუზნეცკში პირველხარისხოვანია მოწინავე კაპიტალისტური ტექნიკის თვალსაზრისით. ჩვენ შევქმენით **წარმოების ახალი სახეები,** მაგალითად, ელექტრომეტალურგია. საკმარისია დავასახელოთ ქარხანა „ელექტროსტალ"-ი, ეს პატარა საცდელი ქარხნიდან გადაიქცა მეტალურგიის გიგანტად, რომლის ბადალი ძალიან ცოტაა მსოფლიოში. ელექტროფოლადის წარმოება 1932 წელს ჩვენში შეადგენდა მთელი ფოლადის წარმოების 2,1 პროცენტს. ელექტროფოლადის და მთელი ფოლადის წარმოების შეფარდების მხრით ჩვენ უკვე გავუსწარით ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს და გერმანიას; ელექტროფოლადის პროცენტი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენს სულ 1,5 პროცენტს, ხოლო გერმანიაში—1,2 პროცენტს. ჩვენ მოვაწყვეთ **ხარისხოვანი ფოლადის** წარმოება. მოვაგვარეთ სწრაფმჭრელი ფოლადის წარმოება. მოვაგვარეთ სატრანსფორმატორო, დაუჟანგავი, ბურთოსაკისურის, ხრომომოლიბდენის, ხრომო-ნიკელიანი, ნიკელიანი და სხვ. ფოლადის წარმოება. ხარისხოვანი ლითონის გამოშვება ხუთწლედში გაიზარდა 7-ჯერ. ჩელიაბინსკში ავაგეთ ფეროშენადნობთა ქარხანა. მალე ამუშავდება ფეროშენადნობთა ქარხნები დნეპროპეტროვსკში და ამიერ-კავკასიაში. მოგვარდა სხვადასხვა სახის ფეროშენადნობთა: ფერო-სილიციუმის, ფერო ხრომის, ფერო-ვოლფრამის წარმოება, მალე დაიწყება ფერო-ვანადიუმის წარმოება და სხვ. მოვაწყვეთ ძალზე მაგარშენადნობთა პობედიტის და სტალინიტის წარმოება, თანდათან ინერგება წარმოებაში ელექტროტექნიკური მოკალვის გაუმჯობესებული საშუალებანი: ტყვიით და თუთიით მოკალვა ქარხანა „კრასნი გვოზდილშჩიკ"-ში, ბელორეცკის ქარხანაში, „სერპ ი მოლოტ"-ში და სხვ.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა ის, რომ **შეიქმნა შავი მეტალურგიის მანქანათმშენებლობის ბაზა:** მოეწყო ბლუმინგების, მძლავრი საგლინავი დანადგარების და გადამსხმელი მანქანების, [illegible], საკოქსავე ღუმელების მოწყობილობის, ელექტროღუმელების, რკალური ელექტროღუმელების, მაღალი სიხშირის ელექტროღუმელების და სხვ. წარმოება. ეს მანქანათმშენებლობის ბაზა რომლის ძირითადი გიგანტებს წარმოადგენენ კრამატორის და ურალის ქარხნები (რომლებიც მალე ამუშავდებიან), რა, თქმა უნდა, საშუალებას მოგვცემს ავიყვანოთ შავი მეტალურგია კიდევ უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე.

ფერადი მეტალურგიის დარგში ყურადღებას იპყრობს მისი სამთო მეურნეობის მექანიზაციის წარმატებანი. ხელით ბურღვა უკვე სრულიად განდევნილია. ბურღვა მექანიზებულია 100 პროცენტით, ყველა მაღაროებში ბურღვა სწარმოებს პნევმატიური პერფორატორების შემწეობით. რომლებიც უკვე მზადდება ჩვენს ქარხნებში — ქარხანა „პნევმატიკა"-ში და ნევიანსკის ქარხანაში. ჩვენ რადიკალურად შევცვალეთ მადნეულის გამდიდრების მეთოდები. მაგალითად, 50—60 პროც. ამოკრეფის ნაცვლად სელექციური ფლოტაციის საშუალებით ჩვენ მივაღწიეთ ამოკრეფას 80-დან 92 პროცენტამდე.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში დამთავრდა 8 გამამდიდრებელ ფაბრიკის მშენებლობა. ეს ფაბრიკები უკვე მუშაობენ. ამჟამად ვამთავრებთ მთელი რიგ გამამდიდრებელ ფაბრიკებს, რომლებიც ამუშავდებიან 1933 წელს.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მსუბუქ ლითონების წარმოებაზე, რადგან მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. დამთავრდა და ამუშავდა ვოლხოვის ალუმინის კომბინატი, რომლის პირველი რიგის სიმძლავრე უდრის 5.000 ტონას, საერთო სიმძლავრე კი 10 ათას ტონას. მალე დამთავრდება დნეპრის ალუმინის ქარხნის მშენებლობა. ამ ქარხნის პირველი რიგის სიმძლავრე შეადგენს 20 ათ. ტონა ალუმინს წელიწადში. ჯერ კიდევ 1931 წელს საცდელ ქარხნებში ჩვენ მივიღეთ პირველი საკუთარი მაგნიუმი. დაწყებულია მაგნიუმის ქარხნის მშენებლობა 1 ათასი ტონა მაგნიუმის სიმძლავრით. შემუშავებულია ურალის მადნებიდან ნიკელის მიღების მეთოდი და მალე დამთავრდება ურალის ნიკელის ქარხნის მშენებლობა 3 ათასი ტონა სიმძლავრით პირველი რიგისათვის.

მოხსენების ფარგლებში შეუძლებელია დაწვრილებით განხილვა ყველაფრის, რაც გაკეთებულია მეტალურგიაში. მაგრამ ჩამოთვლილი უკვე საკმაოა იმისათვის, რომ მივიღოთ იმ უდიდესი მუშაობის სურათი, რომელიც სწარმოებდა და სწარმოებს მეტალურგიაში. თვითეული ახალი მძლავრი აგრეგატის შექმნა—ეს არის მუშების და სპეციალისტების გმირული შრომის და თავდადების გამოხატულება ჩვენი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ჩვენი კავშირის მძლავრი ინდუსტრიის შექმნისათვის ბრძოლაში.

1933 წელს ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას ახალი მძლავრი მეტალურგიის შექმნის საქმეში.

შავ მეტალურგიაში ჩვენ ავამუშავებთ 15 ბრძმედს:

მაგნიტოგორსკი—2 ახალი ბრძმედი,
კუზნეცკის ქარხანა—2 ახალი ბრძმედი,
ზაპოროჟიე—2 ბრძმედი,
„აზოვსტალ"-ი—2 ბრძმედი,
კრივოი როგის ქარხანა—1 ბრძმედი,
ლიპეცკის ქარხანა—1 ბრძმედი,
და სამხრეთის მომქმედი ქარხნები — 5 ბრძმედი.

ავამუშავებთ 51 მარტენის ღუმელს, 15 ელექტროღუმელს, 4 ბლიუმინგს, 15 საგლინავ დანადგარს და 4 მილსაგლინავ დანადგარს.

სიმძლავრეთა ასეთი ზრდა ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს **დავაყენოთ თუჯის წლიური პროდუქციის რაოდენობა**—9 მილიონი ტონა, ფოლადის—8,9 მილიონი ტონა და ნაგლინის — 6.200 ათასი ტონა.

ყველა ეს ბრძმედები, მარტენები, საგლინავი დანადგარები უკვე საგრძნობლად მომზადებულია კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობით 1932 წელს.

ყველა ეს მშენებლობის პროცესში მყოფი აგრეგატები ძირითადათ უზრუნველყოფილი არიან როგორც მოწყობილობით, ისე სხვა ტექნიკური რესურსებით. ამიტომ საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე ავამუშაოთ ისინი 1933 წელს.

ფერადი მეტალურგიის დარგში 1933 წელს ამუშავდება: დნეპრის ალუმინის კომბინატი, უფალეისკის ნიკელის კომბინატი, კაზკოლიტმეტალ-ტყვია. თუთიის ელექტრო - ჩამომსხმელი ორი ქარხანა—ერთი ქალაქ ორჯონიკიძეში, მეორე ჩელიაბინსკში, გამამდიდრებელი ფაბრიკები კრასნოურალსკის კომბინატში, კალატაში, ყარამში და სხვ.

ეს შესაძლებლობას მოგვცემს თვალსაჩინოდ გავადიდოთ პროდუქცია.

ასეთია მდგომარეობა მეტალურგიაში.

გადავდივარ სახალხო მეურნეობის მეორე უმნიშვნელოვანეს დარგზე—სათბობ მრეწველობაზე.

სათბობი მრეწველობა

რაც შეეხება სათბობის მოპოვებას, ჩვენ ხუთწლიანი გეგმა მთლიანად ვერ შევასრულეთ მხოლოდ ქვანახშირის დარგში. აქ გეგმა შესრულებული იქნა ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალების 87.5 პროცენტით. **ნავთის, ტორფის და შეშის დარგში ჩვენ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულეთ გეგმა.** მაგრამ ქვანახშირის მიმართაც საჭიროა აღინიშნოს, როგორც ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი შედეგი, ის, რომ **ქვანახშირის მრეწველობაში მტკიცე და მძლავრი** [illegible] შექმნა საფუძველი წინსვლისათვის. მას აქვს ყველა შესაძლებლობანი დასძლიოს ის დეფიციტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა განვლილ წლებში.

მართლაც, პირველი ხუთწლედის განმავლობაში ქვანახშირის მრეწველობაში დაბანდებულ იქნა დიდი თანხები: კაპიტალური სამუშაოები ქვანახშირის მრეწველობაში შეადგენს 1.800 მილიონ მანეთს, მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 1.250 მილიონი მანეთი.

ამ კაპიტალურ მუშაობათა შედეგად გაძლიერებულია წარმოების კონცენტრაციის ღრმა პროცესი როგორც მაღაროების გადიდების, ისე წინასწარმოწყობილ ერთეულებში დიდ მასშტაბში სამუშაოთა გამსხვილების ხაზით. მაღაროების საშუალო სიმძლავრე დონბასში გაიზარდა 60 პროცენტით, ხოლო დანარჩენი ტრესტების ხაზით კიდევ უფრო მეტად. [illegible] მექანიზაციამ დონბასში 1932 წელს მიაღწია 72 პროცენტს, საინტერესოა შევადაროთ ეს სხვა ქვეყნებში არსებულ მექანიზაციასთან. [illegible] მექანიზაციის პროცენტის მხრივ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით ჩვენ გვაქვს 77 პროცენტი, ე. ი. ვუახლოვდებით იმას, რაც ამერიკაში კეთდება; საფრანგეთში არის 71 პროცენტი, ე. ი. ქვანახშირის მოპოვების მექანიზაციის მხრივ ჩვენ უკვე გავუსწარით საფრანგეთს; ინგლისში მექანიზაცია 31 პროცენტსაც კი არ სცილდება და მხოლოდ გერმანიაში მიღწეულია ისეთი პროცენტი, რომელიც საგრძნობლად აღემატება იმას, რაც ჩვენ გვაქვს—98 პროც.

ამრიგად, ჩვენ ვიკავებთ მესამე ადგილს [illegible] მექანიზაციის მხრივ.

საჭრელი მანქანების რაოდენობა მეორე ხუთწლედის მანძილზე დონბასში გაიზარდა 2,4-ჯერ. თითქმის მთლიანად ელექტროფიცირებულია ქვანახშირის ამოღება, მიტანა, დაგორება. ქვანახშირის მტკიცე ბაზის შექმნის და განვითარების ამ პროცესს თან სდევდა მანქანათმშენებლობის ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს ქვანახშირის მრეწველობის [illegible].

ხუთწლედის განმავლობაში ათვისებულ იქნა ამწევი, დამგორებელი, სამაგრი ჯალამბრების წარმოება, ამასთან 1932 წელს უკვე ათვისებულ იქნა 250 ცხენის ძალის მძლავრი დოლიანი ამწევი ჯალამბრ-ების წარმოება. თუ 1928 წელს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის ქარხნების მიერ ჯალამბრების წარმოება შეადგენდა სულ 80 ერთეულს, უკვე 1931 წელს მან მიაღწია 1.740 ერთეულს.

სამაღარო ელექტრომავლების ჯერ კიდევ არასაკმაო რაოდენობის გამოშვებასთან ერთად, დიდად განვითარდა სამაღარო სამდემო ვაგონეტების წარმოება. შეიქმნა მანქანათმშენებლობა სამაღარო მრეწველობისათვის, როგორიცაა მძიმე მანქანები, ვენტილატორები, მაღაროს ზედაპირზე მომუშავე საკომპრესორო მანქანები, სხვადასხვაგვარი ელექტრო აპარატურა ქვანახშირის მრეწველობისათვის და სხვ.

სულ მშენებლობაში პირველ ხუთწლედში იყო მეტ-ნაკლებად მოწყობილი 300 მაღარო, რომელთა საპროექტო სიმძლავრე უდრიდა 185 მილიონ ტონას. აქედან 200 მაღარო ამუშავდა 1930 და 1931 წლებში. მაღაროების სიმძლავრის ამ ფონდიდან პირველ ხუთწლედში ამუშავდა 150-მდე მაღარო, რომელთა სიმძლავრე შეადგენს 48 მილიონ ტონას.

თუ 1932 წელს ახალ მაღაროებში ქვანახშირის ამოღების პროცენტი სულ 2,5 პროცენტს შეადგენდა, 1933 წელს ჩვენ გვაქვს ქვანახშირის ამოღების 35 პროცენტი იმ მაღაროებში, რომლებიც უკანასკნელ 5—6 წელს ამუშავდა.

1933 წელს გათვალისწინებულია ახალი 70 მაღაროს ამუშავება. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს ქვანახშირის მრეწველობისათვის დავსახოთ დიდი პროგრამა 1932 წლის ამოღებასთან შედარებით, პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 90 მილიონი ტონის ამოღებას 1933 წელში.

როცა ქვანახშირის მრეწველობის რეკონსტრუქციაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ შეიცვალა ქვანახშირის ამოღების გეოგრაფიული მდებარეობა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ შევქმენით ქვანახშირის და მეტალურგიის მეორე ბაზა,—წინ წავსწიეთ კუზბასის განვითარება, მოვაწყვეთ კარაგანდის ახალი საქვანახშირო ბასეინი, წინ წავსწიეთ ურალის ქვანახშირის წარმოება და სხვ.

დასკვნები ქვანახშირის ხაზით: ჩვენ გავშალეთ მშენებლობის უზარმაზარი ფრონტი ქვანახშირის წარმოებაში, ავამუშავეთ ახალი მაღაროების დიდძალი რაოდენობა, ქვანახშირის ახალი ბაზების ექსპლოატაციის დაჩქარებით სწორად ვატარებთ ქვანახშირის რეკონსტრუქციას, მექანიზაციას, მაგრამ ახალი მშენებლობის და ახალი ტექნიკის ათვისების საქმეში ჯერ კიდევ დიდი დეფექტები გვაქვს, რამაც გამოიწვია ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში არამთლიანად შესრულება რაოდენობრივი მხრით.

გადავდივარ **ნავთის მრეწველობაზე.** ნავთი ხდება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კერძოდ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, ჩვენი ექსპორტის უმნიშვნელოვანეს ნაწილად და სხვ.

აეროპლანების, ავტომობილების, ტრაქტორების პარკის ზრდა მოითხოვს, რომ ნავთის მრეწველობა ვითარდებოდეს ისეთი ტემპებით, რომლებიც დააკმაყოფილებენ სახალხო მეურნეობის ყველა საჭიროებას. ნავთის მრეწველობა ისეთი დარგია, რომელიც პირველი დაადგა რეკონსტრუქციის გზას, და ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედამდე, განსაკუთრებით ბურღვის და ნავთის ამოღების ხაზით, რეკონსტრუქციის ეს პროცესი ძირითადად დამთავრებული იყო. საფუძველი ჰქონდა ჩაყრილი ნავთობის საქარხნო გადამუშავების რეკონსტრუქციას, ნავთობის ტრანსპორტის რეკონსტრუქციას ნავთობსადენების სახით.

რა გაკეთდა ამ ხუთწლედში?

მექანიზებული და საშადრევნო ამოღება ერთად ხუთწლედის დამლევისათვის უკვე შეადგენს დაახლოებით მთელი ამოღების ას პროცენტს, სავსებით მოისპო ნავთობის მილით ამოქაჩვა, როგორც საშუალო-საუკუნეობრივი და დაძველებული მეთოდი. ახლანდელი ამოღება სწარმოებს ღრმა ტუმბოებით და კომპრესორებით.

ბურღვის დარგში—ბურღვის ჩამორჩენილი დაკვრითი მეთოდი — შემცირდა 7 პროცენტამდე მთელს საბჭოთა კავშირში, მას იყენებენ მხოლოდ ახალ, ჯერ კიდევ აუთვისებელ რაიონებში. ყველგან ჩვენ უკვე გვაქვს ბურღვის უფრო გაუმჯობესებული მეთოდი, მბრუნავი მეთოდი; რომელიც 1932 წელს შეადგენდა 93 პროცენტს. ელექტროენერგიის გამოყენება მექანიზებულ ამოღებაში ხუთწლედის დამლევისათვის უდრიდა დაახლოებით 100 პროცენტს. ნავთის მრეწველობის [illegible] მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დარგში მიღწეულ წარმატებათა შედეგად ნავთობის თვითღირებულება შემცირდა 26 პროცენტით.

პირველმა ხუთწლედმა **ძირითადათ გადასწყვიტა ნავთობის გადამუშავების რეკონსტრუქციის პრობლემა.** ათვისებულია ახალი, უფრო გაუმჯობესებული ტექნიკური დანადგარები, როგორიცაა მილები, კრეკინგის დანადგარები, რის შედეგად ნავთობის [illegible] პროდუქტების მიღება გადიდდა 1928 წლის არსებულ 31 პროცენტიდან 41 პროცენტამდე. 1932 წელს ათვისებულია ისეთი ობიექტების ახალი წარმოება, როგორიცაა ზეთი (ბრაიტსტოკი [illegible], ნავთობის კოქსი, [illegible] პარაფინი და სხვ.). ამ ტექნიკურ რეკონსტრუქციას თან სდევდა ნავთობის ამოღების და გადამუშავების მაღალი დონე. 1932 წელს ნავთობის ნედლეულის ამოღება უდრიდა 22,2 მილიონ ტონას, 21,7 მილიონ ტონის ნაცვლად, რაც დაპროექტებული იყო ხუთწლედის მეხუთე წლისათვის. ნავთობის გადამუშავება მიაღწევს 22,1 მილ. ტონას, 19,1 მილ. ტონის ნაცვლად რაც დაპროექტებული იყო ხუთწლიანი გეგმით. ამგვარად, ხუთწლედის უკანასკნელი, მეხუთე წლის ვარაუდი **ნავთის მრეწველობის ხაზით გადაჭარბებითაა შესრულებული 4 წელიწადში.**

ნავთისათვის მანქანათმშენებლობის დარგში ჩვენ აგრეთვე დიდი მიღწევები გვაქვს. შექმნილია აპარატურის წარმოება კრეკინგებისა და მილებისათვის, შექმნილია მძლავრი ელექტროძრავები, ტურბობურღები, ნავთსაქაჩები და სხვ. ხაზის მოწყობილობა. ოთხი წლის განმავლობაში აშენებულია 12 მილიონ ტონის სიმძლავრის 27 მილი, აშენებულია 8,2 მილიონი ტონა სიმძლავრის 28 კრეკინგი, აგებულია 2.000 კილომეტრის სიგრძის ნავთსადენები, რომელთა საპროექტო სიმძლავრე აღწევს 5 მილიონ ტონამდე ნავთს (ნავთის პროდუქტების სადენი არმავირ-ტრუდოვაია, ნავთობსადენი გროზნო-ტუაპსე, ნავთობსადენი ბაქო-ბათუმი, გადაკეთებული ნავთსადენი [illegible]) და დაწყებულია ემბა-ორსკის ნავთობსადენის მშენებლობა.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ნავთობის ამოღების და ბურღვის ხაზით ჩვენ ვაწყდებით ერთგვარ სიძნელეს.

ჩვენ განზრახული გვაქვს 1933 წელს ამოვიღოთ 24,4 მილიონი ტ. ნავთის, ნაცვლად 1932 წელს ამოღებულ 22,2 მილიონი ტონისა, მაგრამ მოთხოვნილების ზრდა საგრძნობლად აღემატება ნავთის ამოღების ამ ზრდას. სახალხო მეურნეობა ავია-ავტო - სატრაქტორო ინდუსტრიის აყვავების პერიოდში მოითხოვს 1933 წლის ნავთის ამოღების პროგრამის მთლიანად შესრულებას, ამასთან 1934 წლისათვის ისე უნდა მოვემზადოთ, რომ კიდევ გავადიდოთ ნავთის პროდუქცია სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ამას კი მივაღწევთ ბურღვის გაფართოებით.

დასკვნა: პირველი ხუთწლედის შედეგად ნავთის მეურნეობამ დაამთავრა თავისი ხელახალი ტექნიკური შეიარაღება, დააგროვა ორგანიზაციულ - ტექნიკური გამოცდილება წარმოებასა და მშენებლობაში და განაგრძობს მუშაობას ცალკე პროცესების გაღრმავებას და გაუმჯობესებას.

რამდენიმე სიტყვა **ტორფის მრეწველობის** შესახებ. ტორფის მრეწველობას ახასიათებს ის, რომ ხუთწლედის შედეგად იგი გადაიქცა მსხვილ სამრეწველო დარგად მექანიზაციის საგრძნობი პროცენტით და რამდენიმე მილიონი ტონა ტორფის წარმოებით. ამ ოთხი წლის მანძილზე ტორფის მრეწველობაში დავაბანდეთ 32 პროცენტით მეტი კაპიტალი, ვიდრე განზრახული იყო ხუთწლიანი გეგმით — 395 მილიონი მანეთი, ნაცვლად 300 მილიონი მანეთისა.

როგორია ამ დაბანდების შედეგები? ჯერ-ერთი, დიდი გარდატეხა მოხდა ტორფის ამოღების წესებში. 1928 წელს მექანიზებული ამოღება შეადგენდა 15 პროცენტს, ხუთწლედის დამლევისათვის განზრახული იყო ამოღების მექანიზაცია 30 პროცენტით. 1932 წელს მიღწეულია მექანიზაციის 64 პროცენტი, ე. ი. ჩვენ ორჯერ დავაჩქარეთ ტორფის ამოღების მექანიზაციის პროცესი იმასთან შედარებით, რაც განზრახული იყო ხუთწლიანი გეგმით, და ოთხჯერ გადავაჭარბეთ ხუთწლედის დასაწყისში არსებული მექანიზაციის დონეს.

დიდათ გაიზარდა ტორფის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზების გაყვანის და საფრენ დანადგართა რაოდენობის მხრით. ტორფის მეურნეობის ხაზითაც სწარმოებს სამუშაოთა კონცენტრაცია მსხვილ საწარმოო ერთეულებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ხუთწლედში ჩვენ ავაშენეთ ელექტროენერგიის ისეთი გიგანტები, რომელთა სათბობ ბაზას წარმოადგენს უზარმაზარი ტორფის მეურნეობა: ეს ელსადგურებია: შატურა, ნიგრესი, დუბროვსკის სადგური ლენინგრადში; რეზინის კომბინატის ელსადგური; „კრასნი ოქტიაბრ"-ი და სხვ. მიუხედავად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა შრომის ორგანიზაციის, ახალი მექანიზმების დაუფლების და სხვ. ხაზით, **ტორფის მრეწველობა 5 წლედში მაინც დაადგა დამოუკიდებელ გზას და მას აქვს შესაფერი მატერიალური ტექნიკური და ორგანიზაციული ბაზა.**

ცენტრალურ პრობლემას ტორფის მრეწველობისათვის წარმოადგენს მუშა-ხელი. აქაც, მექანიზმების არადამაკმაყოფილებელი გამოყენების და ახალი ტექნიკის სუსტად ათვისების მიუხედავად, ადგილი აქვს ასეთ შეფარდებას: „სოიუზტორფ"-ის პროდუქციის ამოღება ხუთწლედში გაიზარდა 100 პროცენტით, ე. ი. ორჯერ უფრო მეტად, მუშა-ხელი გაიზარდა 25—30 პროცენტით, ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდა ხუთწლედში შეადგენს 62 პროცენტს. ეს ზრდა, რა თქმა უნდა, უმთავრესად, გამოწვეულია მექანიზაციის ზრდით და ტორფის მეურნეობის გადაქცევით მსხვილ წარმოებად ახალი ტექნიკის ბაზაზე.

გადავდივარ სახალხო მეურნეობის შემდეგ უმნიშვნელოვანეს დარგზე — ელექტრომშენებლობაზე.

ელექტროფიკაცია

ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვა სამრეწველო წარმოების ყველა დარგში მოითხოვდა ელექტრომომარაგების მძლავრი ბაზის შექმნას ჩვენს ქვეყანაში და **ეს ამოცანა პირველ 5 წლიდში ძირითადად შევასრულეთ.**

1928 წელს მუშაობდა 18 რაიონული ელსადგური 610 ათასი კილოვატის სიმძლავრით, ამჟამად მუშაობს 44 რაიონული სადგური 2 ნახევარი მილიონი კილოვატის სიმძლავრით.

თუ ამ სიმძლავრეს მივუმატებთ კიდევ იმ ელსადგურების სიმძლავრეს, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო, როგორც სამრეწველო ელსადგურები, მაგრამ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პროცესში გადაიქცნენ რაიონულ სადგურებად როგორიცაა, მაგალითად, კუზნეცკის თბოსადგური და ბერეზნიკის თბოსადგური მაშინ საერთო დაყენებული სიმძლავრე აღწევს 2.700 ათას კილოვატსაათს. თუ ავიღებთ ყველა სადგურებს, არა მარტო რაიონულს, არამედ საქარხნო სადგურებსაც, დავინახავთ, რომ მათი დაყენებული **სიმძლავრე გაიზარდა 1 875 ათას კილოვატიდან (ხუთწლედის დასაწყისში) 4.600 ათას კილოვატამდე 1932 წელს.** რაიონული სადგურების ხვედრითი წონა საერთო დაყენებულ სიმძლავრეში 35 პროცენტიდან გაიზარდა 58 პროცენტამდე, რაც ნიშნავს ქვეყნის ენერგეტიკის ბაზაში მსხვილ, ტექნიკურად უფრო მოწინავე სადგურების დიდათ ზრდას წვრილი და არა ეკონომიური სადგურების განდევნის ხარჯზე.

ამას ადასტურებს აგრეთვე შემდეგი ცნობები: ყველა სადგურების მიერ გამომუშავებულ ენერგიის რაოდენობა 1928 წელს უდრიდა 5 მილიარდ კილოვატ საათს, აქედან რაიონული სადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის რაოდენობა—1950 მილიონ კილოვატ-საათს, ან 39 პროცენტს. 1932 წელს საერთო გამომუშავება უდრიდა უკვე 13,5 მილიარდ კლვტ.-საათს ნაცვლად 5 მილიარდისა 1928 წელს, აქედან რაიონულ სადგურებს წილად მოდის 8 მილიარდი კილოვატ-საათი, ანუ ენერგიის საერთო გამომუშავების 60 პროცენტი.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შორს მივიტოვეთ 1928 წლის დონე, აღარაფერს ვამბობ მეფის რუსეთის ელექტრო ენერგიის უმნიშვნელო გამომუშავებაზე, რაც შეადგენდა დაყენებული სიმძლავრის ერთ მილიონ კილოვატ-საათს და ენერგიის საერთო გამომუშავების 2 მილიარდ კილოვატ-საათს. ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 7-ჯერ, ძველ რუსეთთან შედარებით, და 2 ნახევარ-ჯერ და უფრო მეტადაც ხუთწლედის განმავლობაში.

ჩვენ ელექტრომშენებლობაში თანმიმდევრობით ვახორციელებთ ტექნიკურ-ეკონომიურ პრინციპებს, რომლებიც მოცემულია რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის გეგმაში, აღნიშნული გეგმა შემუშავდა ვლადიმერ ილიჩის უშუალო ხელმძღვანელობით. ეს მოწინავე ტექნიკური პრინციპებია: ენერგიის გამომუშავების კონცენტრაცია მძლავრ რაიონულ ცენტრალებში, სადგურების რგოლებრივ დაკავშირება და მათთვის პირველ რიგში, ადგილობრივი დაბალი ხარისხის სათბობის და ჰიდროენერგიის გამოყენება.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ პრინციპების განხორციელებას შეუძლებელსა ხდის კერძო საკუთრების ინსტიტუტის არსებობა და მხოლოდ სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის პირობებში ჩვენ შეგვიძლია თანამიმდევრობითი, სისტემატიურად გავატაროთ ცხოვრებაში ეს პრინციპები.

რაც შეეხება სიმძლავრეთა კონცენტრაციას, პირველი ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ ამ მხრივ ძალიან დიდი შედეგები მივიღეთ.

ხუთწლედის დაწყებამდე, 1929 წლამდე ჩვენ არ გვქონდა არც ერთი სადგური 100 ათასი კილოვატის სიმძლავრით. უდიდესი სადგურის სიმძლავრე არ აღემატებოდა 75 ათას კილოვატს. 1913 წელს არ იყო არც ერთი სადგური 25 ათას კლვტ.-ზე მეტი სიმძლავრით. **ამჟამად ჩვენში მუშაობს 10 სადგური, რომელთა სიმძლავრე სათითაოდ 100 ათას კილოვატს აღემატება.**

ეს სადგურებია:

კაშირა	— 186 ათასი კლვტ.
შატურა	— 136 ათასი კლვტ.
მოჰესი	— 107 ათასი კლვტ.
„კრასნი ოქტიაბრ"-ი	—110 ათასი კლვტ.
შტეროვკა-დონბასი	— 157 ათასი კლვტ.
ზუევკა	— 150 ათასი კლვტ.
დნეპროგესი	— 310 ათასი კლვტ.
ნიჟგესი	— 310 ათასი კლვტ.
ჩელიაბინსკის სარაიონო ჰიდროელსადგური	— 110 ათასი კლვტ.
ბაქოს „კრასნაია ზვეზდა"	— 109 ათასი კილოვატი.

ამგვარად ამ 10 გიგანტს შორის თვითეულის სიმძლავრე 100 ათას კილოვატს აღემატება, მაშინ, როცა 1928 წელს არ იყო ასეთი სიმძლავრის არც ერთი სადგური, ხოლო რევოლუციის წინანდელი რუსეთში ყველაზე მძლავრი სადგურები იძლეოდნენ 25 ათას კლვტ. ენერგიას.

ყველა ეს სადგურები ან აგებულ გაფართოებულ იქნა პირველი ხუთწლედის განმავლობაში. აქ ვხვდებით ძველ სახელებსაც, როგორიცაა მაგალითად კაშირა, შატურა, რომელთა პირველი რიგი ამუშავდა ჯერ კიდევ ვლადიმერ ილიჩის დროს, მაგრამ ის, რაც ჩვენ ეხლა გვაქვს კაშირასა და შატურაში, არავითარ შედარებაში არ შეიძლება შევადაროთ იმ 30 ათას კილოვატიან პატარა სადგურებს, რომლებიც აგებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში. ეხლა კაშირას სიმძლავრე აღწევს 186 ათას კილოვატს ე. ი. იგი მთელი ჩვენი ელექტრომშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი გიგანტია.

ეს 10 გიგანტი სადგური საერთო იძლევა ჩვენი ქვეყნის ელექტროენერგიის მთელი გამომუშავების 38 პროცენტს. თავისთავად ცხადია, ჩვენი დიდი სადგურები აღჭურვილი არიან ყველაზე მოწინავე ტექნიკური მოწყობილობით. ხუთწლედის დასაწყისში, — ეს მტკიცედ დამახასიათებელია,— ჩვენ ელექტროსადგურებში არ გვქონდა 20 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის ტურბოგენერატორები, ამჟამად კი უკვე გვაქვს 50 და 62 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის ტურბინები და გენერატორები. 20 ათას კილოვატზე უფრო მძლავრი აგრეგატი ჩვენში სულ დადგმულია 59. რომელთა საერთო სიმძლავრე აღწევს 1.750 ათას კილო-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ტორო სადგურის დირექტორის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრას.

ახლანდელ მომენტში პოლიტგანყოფილების და მისი უფროსის პირველი ამოცანაა შექმნან პარტიული და კომკავშირული აქტივი სამანქანო - სატრაქტორო სადგურისა და იმ კოლმეურნეობათა შიგნით, რომელთაც სამანქანო - სატრაქტორო სადგური სამსახურს უწევს, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებსა და მათ განყოფილებებში. ამასთან ისინი არ უნდა გამოეკიდონ წევრების რაოდენობას და მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მათ ხარისხს. მათ ერთგულებას პარტიისადმი და უნარს გაჰყოლიონ კოლმეურნენი და საბჭოთა მეურნეობის მუშაკები.

მეორე ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას პირველთან მჭიდრო დაკავშირებით, ესაა შექმნან უპარტიო აქტივი პარტიულ - კომკავშირული უჯრედების გარშემო. ამასთან სრულიადაც არ უნდა გაიმიჯნონ უპარტიო კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისაგან. არამედ, პირიქით, დაამყარონ მათთან კავშირი და თანამშრომლობა და მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეობანი, გამოუკლებლივ ყველა კოლმეურნეობანი, ხელმძღვანელობით [illegible] გახდნენ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად.

პოლიტგანყოფილებამ და სოფლის იმ პარტიულმა და კომკავშირულმა უჯრედებმა, რომელთაც იგი ხელმძღვანელობს, ყოველნაირად უნდა მიიზიდონ საუკეთესო უპარტიო კოლმეურნენი და საბჭოთა მეურნეობის მუშები. დაუშვან ისინი უჯრედების ღია კრებებზე, გაათვითცნობიერონ ისინი პოლიტიკურად კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის კონკრეტულ საკითხებში და, ამგვარად, შექმნან პარტიულების, კომკავშირელების და უპარტიო კოლმეურნეების და მუშების შემჭიდროებული ბირთვი თვითეული კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის შიგნით კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მავნებლურ, ანტისაზოგადოებრივი და ანტი-საკოლმეურნეო ელემენტებთან საბრძოლველად.

პარტიულებს და კომკავშირელებს არ უნდა აშინებდეთ ბრძოლა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების შიგნით ანტისაზოგადოებრივი, ანტი - საკოლმეურნეო ელემენტების განმარტოებისა და განდევნისათვის ის შემცდარი მოსაზრებით, რომ ასეთ ბრძოლას შეუძლია დაარღვიოს კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის მთლიანობა.

ჩვენთვის საჭიროა არა ყოველგვარი მთლიანობა, არამედ საჭიროა ისეთი მთლიანობა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც უზრუნველყოფს იმ ბოლშევიკური ბირთვის ხელმძღვანელობას, და მეთაურობას, რომელსაც მხარს უჭერს უპარტიო აქტივი. ხოლო ასეთი მთლიანობის მიღწევა შეუძლებელია თუ არ იქნა წარმოებული სისტემატიური ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი და ანტი-საკოლმეურნეო ელემენტების გასაძევებლად კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. ამიტომ პარტიულ - კომკავშირული ბოლშევიკური ბირთვის ბრძოლა კოლმეურნეობებში უპარტიო აქტივის შექმნისა და ანტი-საზოგადოებრივი [illegible] ლისობის დასაპყრობად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში [illegible] წარმოადგენს ჩვენს ამოცანას ახლანდელ მომენტში.

რაიონების და სოფლების კომუნისტებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ ჩვენი კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წარმოადგენენ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმაგრებელ სამეურნეო ორგანიზაციებს, რომ ისინი თავიანთ ორგანიზაციულ მშენებლობაში განიცდიან დაახლოებით ისეთივე პერიოდს, როგორსაც განიცდიდნენ ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები 1920-21 წლებში. როცა ისინი ჯერ კიდევ მოუმაგრებელი იყვნენ. რამდენიმე წლის განმავლობაში შევძელით ჩვენ შეგვექმნა 200 ათას კოლმეურნეობაზე მეტი და 5 ათასი საბჭოთა მეურნეობა. ე. ი. შევქმენით სრულიად ახალი საწარმოები. რომლებსაც სოფლის მეურნეობისათვის აქვთ ისეთივე მნიშვნელობა. როგორიც აქვს ქარხნებს და ფაბრიკებს მრეწველობისათვის.

ისტორიამ არ იცის სხვა ისეთი ქვეყანა. რომელსაც სამ წელიწადში შეექმნას არამც თუ 205 ათასი, არამედ თუნდაც 25 ათასი ახალი ტექნიკით შეიარაღებული ახალი მსხვილი საწარმო. მხოლოდ საბჭოთა კავშირმა, მხოლოდ ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ შესძლო განეხორციელებია შემოქმედებითი მუშაობის ეს სასწაული. ამის გამო სასაცილო იქნებოდა მოგვეთხოვა, რომ სოფლის კულტურული და ტექნიკური ჩამორჩენილობის პირობებში შექმნილი ყველა მრავალრიცხოვანი ახალი მსხვილი საწარმოები, ერთბაშად ერთი წლის განმავლობაში გადაქცეულიყვნენ სანიმუშო და უაღრესად რენტაბელურ საწარმოებად. როგორც, სჩანს საჭიროა დრო, საჭიროა დაუღალავი, მუყაითი და ბეჯითი მუშაობა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულად განმტკიცების და იქიდან მავნებლური ელემენტების განდევნის საქმეში, აგრეთვე ახალი შემოწმებული ბოლშევიკური კადრების გულდასმით შერჩევის და აღზრდის საქმეში, რომ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი გახდენ ნამდვილად სანიმუშონი; და „შონი, ისე როგორც გახდა სანიმუშონი. ისე როგორც გახდა სანიმუშოდ ბევრი ჩვენი ფაბრიკა და ქარხანა, რომლებიც 1920-21 წლებში იყვნენ მოუწყობელი და სუსტად ორგანიზებული.

რაც შეეხება მავნებლობის და საბოტაჟის მოვლენებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქ მათ. ბოლოს და ბოლოს. უნდა შეასრულონ ისეთივე დადებითი როლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საჭირო ახალი. ბოლშევიკური კადრების ორგანიზაციის საქმეში, როგორიც შეასრულეს მავნებლობამ და „შახტის პროცესმა" მრეწველობის დარგში.

„შახტის პროცესი" გადაიქცა გამოსავალ წერტილად მრეწველობის დარგში კომუნისტების რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების და წითელი სპეციალისტების ორგანიზაციის საქმეში. საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მავნებლობის და საბოტაჟის მოვლენები ზოგიერთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებმაც იჩინეს თავი მიმდინარე წელს გახდებიან ისეთივე გამოსავალ წერტილად ჩვენი რაიონის და სოფლის კომუნისტების რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საჭირო ახალი ბოლშევიკური კადრების შერჩევის საქმეში. და ეს მოხდება მით უფრო ჩქარა, რაც უფრო ჩქარა გახდებიან სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები სოფლად **ფართო პოლიტიკური და ორგანიზაციული** მუშაობის ცენტრებად.

ამრიგად, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა უნდა უზრუნველყონ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების, რომლებიც ამჟამად უმთავრესად წარმოადგენენ სამეურნეო - ტექნიკურ ცენტრებს სოფლად, გადაქცევა როგორც სამეურნეო ტექნიკური. ისე პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის და კოლმეურნეთა ფართო მასებზე გავლენის ცენტრებად.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურ განყოფილებათა მთელი მასიურ - პოლიტიკური, ორგანიზაციულ - პარტიული და აღმზრდელობითი მუშაობა უნდა მიმართული იქნას იქითკენ, რომ საბოლოოდ ამოითხაროს კლასობრივი მტრის გავლენა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და [illegible] იქნას [illegible] ერთპიროვნული — მესაკუთრის. [illegible] კოლმეურნის წვრილბურჟუაზიული ნაშთების და მესაკუთრეობრივი ტენდენციების [illegible].

საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტიკურმა განყოფილებებმა როგორც თვით სადგურების, ისე იმ კოლმეურნეობების, რომლებსაც ისინი უწევენ სამსახურს, მთელი ყოველდღიური მუშაობა უნდა დაუკავშირონ სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანებს ორგანიზაციულ - პარტიული მუშაობის [illegible], პარტიის და კომკავშირის წევრების [illegible], უპარტიო კოლმეურნეებს შორის იმ [illegible] ფართო მასიური [illegible], რომლებსაც [illegible] პარტია და მუშათა კლასი [illegible] განვითარების დარგში. ჩვენი ქვეყნის [illegible] თავდაცვის უნარის გაძლიერების დარგში, მუშების, წითელი არმიის [illegible] კოლმეურნეების მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში.

კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს შორის პოლიტიკურ - ახსნაგანმარტებითი მუშაობის უმნიშვნელოვანეს ღერძს უნდა წარმოადგენდეს იმ ლოზუნგთა ფართო პოპულარიზაცია, რომელთაც მიმართავენ პარტია და მთავრობა საზოგადოებრივი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის საკუთრების ხელშეუხებლობისათვის ბრძოლაში.

საჭიროა განემარტოს პარტიის და კომკავშირის წევრებს, კოლმეურნეთა ფართო მასებს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, რომ ეს ლოზუნგები მიმართულია ზარმაცების წამგლეჯების და ქურდების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოადგენენ კლასობრივი მტრის აგენტებს, მუშებისა და კოლმეურნეების მტრებს.

პოლიტიკურმა განყოფილებებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ კოლმეურნეებზე მტკიცე პოლიტიკური გავლენის უზრუნველყოფა და ამ გავლენის დაპირისპირება ანტისაბჭოთა ელემენტების ცდებისათვის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობათა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არიან იდეურად შემჭიდროებულნი, პოლიტიკურად მომზადებულნი და სარგებლობენ ავტორიტეტით კოლმეურნეთა ფართო მასაში. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურმა განყოფილებებმა უნდა ამხილონ და გააძევონ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებიდან ოპორტუნისტული ელემენტები და კლასობრივი მტრების აგენტები, რომლებიც შეპარენ ორგანიზაციაში და აწარმოებენ დამნგრევ მუშაობას პარტიული და კომკავშირული ბილეთების საფარქვეშ.

პოლიტიკურმა განყოფილებებმა უნდა გაშალონ პარტიის და კომკავშირის წევრების მარქსისტულ - ლენინური აღზრდა სოფლად, სისტემატიურად გასწმინდონ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მერყევი, კარიერისტულ, გახრწნილ და კლასობრივ მტერთან [illegible] ელემენტებისაგან, აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების თვითშემოფარგვლის ცდების წინააღმდეგ, იდეურად შეაკავშირონ ორგანიზაცია კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო უპარტიო მასაზე პოლიტიკური ბოლშევიკური გავლენის მოხდენისა და ხელმძღვანელობისათვის საბრძოლველად.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურ განყოფილებათა უმნიშვნელოვანეს, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს პოლიტგანყოფილებების გარშემო მტკიცე ბირთვის დარაზმვა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების უჯრედთა ნამდვილი აქტივისტებისაგან და ამ უჯრედების გარშემო უპარტიო აქტივის შექმნა ერთგულ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში შემოწმებულ კოლმეურნეებისაგან და საბჭოთა მეურნეობების მუშებისაგან. ცენტრალური კომიტეტი ერთხელ კიდევ აღნიშნავს. რომ ამ მუშაობაში საჭირო არ არის რაოდენობის გამოდევნება, მცირერიცხოვანი, მაგრამ პოლიტიკურად მომზადებული და ბრძოლით მჭიდროდ შეკავშირებული ბირთვი ყოველთვის შესძლებს გაიყოლიოს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მთელი მასა.

საკოლმეურნეო უჯრედებსა და უპარტიო კოლმეურნეებს შორის აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლასთან ერთად, პოლიტგანყოფილებებმა პირველ რიგში უნდა უზრუნველყონ აქტივის პოლიტიკური ზრდა.

პოლიტგანყოფილებებმა უნდა უზრუნველჰყონ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საღი ზრდა ნამდვილ მოწინავე და აქტიური კოლმეურნეების ხარჯზე, რომლებიც შემოწმებული არიან კოლმეურნეობებში კულაკის და მისი აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამასთან პოლიტგანყოფილებებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებენ თავიანთ როლს — ბოლშევიკური ბირთვის როლს სოფლად და გაიყოლიებენ კოლმეურნეთა მასებს, თუ ისინი შესდგებიან, დეე მცირერიცხოვან, მაგრამ პარტიის საქმისადმი უეჭველად ერთგულ, იდეურად შემჭიდროებულ და კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში გამობრძმედილ ბოლშევიკებისაგან.

ამ ამოცანების შესრულების დროს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებმა არ უნდა გასწიონ ადგილობრივი რაიონული პარტიული კომიტეტების მაგივრობა და თავიანთი მუშაობა უნდა აწარმოონ მათთან სრული კონტაქტით. ამასთან, რაიონულმა პარტიულმა კომიტეტებმა უნდა შეიგნონ, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შექმნით ისინი სრულიადაც არ თავისუფლდებიან პარტიის მიერ მათზე დაკისრებულ ამოცანებისა და პასუხისმგებლობისაგან.

III

დებულება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა შესახებ

ა) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებანი

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებანი ეწყობა თვითეულ სამანქანო - სატრაქტორო სადგურში შემდეგი შემადგენლობით: უფროსი, მისი ორი მოადგილე —საერთო პარტიული მუშაობის ხაზით და ერთი თანაშემწე კომკავშირული მუშაობის ხაზით. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი ამავე დროს არის სამანქანო სატრაქტორო სადგურის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ დარგში.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი მთლიანად ახორციელებს, როგორც სამანქანო - სატრაქტორო სადგურის, ისე იმ კოლმეურნეობების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, რომლებსაც სამსახურს უწევს აღნიშნული სამანქანო-სატრაქტორო სადგური, და მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პარტიულ - პოლიტიკური მუშაობისათვის, ამასთან თავისი მუშაობის გეგმას იგი ათანხმებს სამანქანო - სატრაქტ. სადგურის დირექტორთან.

ვატს, ანუ საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურების მოწყობილობის მთელი სიმძლავრის 36,5 პროცენტს.

აი ის ციფრები და ფაქტები, რომელნიც ახასიათებენ ელექტროენერგიის მსხვილ ბაზაზე კონცენტრაციის პოლიტიკას. ეხლა რგოლებად დაკავშირების შესახებ. ამ დარგში ჩვენ ხუთწლედის მანძილზე თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ. რაიონული მაღალვოლტიან რგოლების შექმნის იდეამ, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებსაც ჩვენ განვიცდით, განსაკუთრებით ფერადი ლითონების მხრივ, თავისი განხორციელება ჰპოვა პირველი ხუთწლედის ელექტრომშენებლობაში. მოსკოვის უდიდესი მაღალვოლტიანი ქსელი, რომელიც აერთიანებს ნახევარ მილიონზე მეტ სიმძლავრეს, ნიჟნი-ნოვგოროდის ხარაითოს ჰიდროელსადგურის ქსელი, დონბასის ფართოდ გაშლილი ქსელი, დნეპროგესის გადამცემი ხაზი, რომელიც იყენებს მაღალვოლტიან ძაბვას 161 ათას ვოლტის რაოდენობით — ყოველივე ეს არის ენერგეტიული კვანძები რომლებიც წინად უცნობი იყო საბჭოთა კავშირისათვის და არ ჩამოუვარდება ამერიკული ტექნიკის ყველაზე დიდ ნიმუშებს. ხუთწლედის განმავლობაში ამუშავდა 7 ათასი კილომეტრი მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზი იმ დროს, როცა ხუთწლედის დასაწყისში ასეთი ხაზი იყო მხოლოდ 3 ათასი კილომეტრი.

დიდი ტექნიკური ცვლილებები გვაქვს კაბელის წარმოების საქმეში. ზეთით გაჟღენთილი კაბელის აგება 115 ათასი ვოლტის ძაბვით, წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ ფაქტს, რომელიც მოწმობს, რომ ჩვენ დიდ ტექნიკურ ცვლილებებს მივაღწიეთ. ჩვენ უკვე ასეთი კაბელი ავაგეთ და გავუყვანეთ ათს კილომეტრზე. დაბოლოს, „ელექტრო“-ს მიერ დაბალხარისხოვან სათბობის და ჰიდროენერგიის გამოყენებაზე აღებულ კურსს ჩვენ თანამიმდევრობით ვახორციელებთ. მე უკვე ჩამოვთვალე ის სადგურები, რომელნიც სარგებლობენ ტორფის მეურნეობით იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ქვანახშირის და ნავთის შორიდან შემოზიდვა. 1933 წელს უნდა ამუშავდეს სვირის ჰიდროსადგური, რომელიც ენერგიას მიაწვდის ლენინგრადს ისე, რომ არ არ დასჭირდება ძვირად ღირებული სათბობის შემოზიდვა დონბასიდან ან ნავთის სარეწაოებიდან. ვაჩქარებთ ბობრიკოვის დამთავრებას. და, ბოლოს, მსოფლიოში უდიდესი ჰიდროსადგურის დნეპროგესის ამუშავება ჩვენს ქვეყანას აძლევს ყველაზე უფრო იაფ ენერგიას, რომლის ბაზაზე ვითარდებიან ტექნიკურად მოწინავე ელექტრომეტალურგიული წარმოებანი.

მინდა აღვნიშნო საბჭოთა ელექტრიფიკაციის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება პირველ ხუთწლედში—ეს არის **დონბასის ელექტრო - მომარაგების პრობლემის გადაჭრა.** ყველა, ვინც თვალყურს ადევნებდა გასულ წლების, მაგალითად, ხუთწლედის პირველ წლების სამეურნეო ცხოვრებას, მას ალბად ახსოვს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის დონბასის ელექტრო - მომარაგებას. დონბასის ელექტრომომარაგებაზე დამოკიდებული იყო ქვანახშირის მოპოვება და მაშასადამე ისეთი სამრეწველო ცენტრების სათბობით მომარაგება, როგორიცაა მოსკოვი, ლენინგრადი და სხვ. ჯამს ვუკეთებთ რა ხუთწლედს, ჩვენ ეხლა შეგვიძლია პირდაპირ განვაცხადოთ, რომ **ეს ამოცანა გადაჭრილია.** 1928 წელს დონბასის ელექტრო-მომარაგება ეყრდნობოდა მრავალ წვრილ სამადნო და საფაბრიკო - საქარხნო სადგურებს, რომელნიც სწვავდნენ დიდძალ ქვანახშირს და იძლეოდნენ ძვირ და ხშირად არასაიმედო დენს. ამავე დროს, დონბასის სადგურების საერთო სიმძლავრე 180 ათას კილოვატს არ აღემატებოდა. აქედან მხოლოდ 20 ათასი კილოვატი მისცა დონბასს 1928 წელს შტეროვკამ. მიუხედავად იმისა რომ მაღაროებს შეეძლოთ ჩაეშალათ დონბასის ელექტრომომარაგება, ჩვენ უკვე 1931 წელს რადიკალურად გარდავქმენით და განვამტკიცეთ მისი ელექტრომეურნეობა. მას შემდეგ, რაც ამუშავდა ზუევის სადგური — 150 ათასი კლვ., შტეროვკის სადგური — 157 ათასი კლვ., დონსოდის თბოელექტროცენტრალი — 70 ათასი კლვ., დონბასის სადგურების სიმძლავრემ მიაღწია 630 ათას კილოვატამდე, ნაცვლად 180 ათასი კილოვატისა, რომელიც გვქონდა 1928 წელს, ე. ი. სიმძლავრე გაიზარდა 3,5-ჯერ. ამ 630 ათას კილოვატიდან 60 პროცენტ ენერგიას დონბასი ღებულობს მწვერვალად მოწყობილ, საიმედო რაიონულ სადგურებიდან, რომელნიც იყენებენ ქვანახშირის მრეწველობის ნარჩენებს და ამიტომ იძლევიან განსაკუთრებით იაფ ენერგიას. ყველა სადგური ურთიერთ შორის და მომხმარებლებთან დაკავშირებული არიან ფართოდ გაშლილი ქსელით. მართალია, აქ ჯერ კიდევ ზოგიერთი რამ დაუმთავრებელი დარჩა ხაზის მოწყობილობის, საიმედო დაცვის, დაბალვოლტიან ქსელის გაფართოების მხრივ. მაგრამ ყოველივე ეს უკვე უმნიშვნელო სამუშაოა იმასთან შედარებით, რაც ჩვენ უკვე გავაკეთეთ ამ უმნიშვნელოვანეს სახალხო - სამეურნეო ამოცანის გადაჭრის საქმეში.

ამ წლების განმავლობაში ჩვენში ფართოდ გაიშალა თბოელექტროცენტრალების მშენებლობა. 1929-30 წლებში პირველად ამუშავდა პირველი 26 ათასი კილოვატი ხოლო 1932 წელს ჩვენ უკვე გვაქვს მრავალი სადგური, ამავე დროს თბოფიკაციის, საწარმოების და ქარხნების სათბობით მომსახურების მხრივ ჩვენ უკვე ერთ-ერთ საპატიო ადგილზე გამოვდივართ ევროპის ქვეყნებს შორის.

ისევე, როგორც მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობაში და ნავთის მრეწველობაში, ელექტრომშენებლობის ასეთი განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, **რომ ჩვენ შევქმენით საკუთარი ელექტროტექნიკური მრეწველობა.** ჩვენს ელექტროტექნიკურ მრეწველობას ძალიან დიდი მიღწევები აქვს.

ტექნიკის დონის მხრივ ჩვენ ძალიან ბევრ დარგში ვეწევით და ვუსწრებთ ევროპის ტექნიკას; უდიდესი ტურბოგენერატორები—ჰიდროგენერატორები, ტრანსფორმატორები, ელექტრო-საძრავები, მუდმივი დენის მაღალვოლტიანი მანქანები, და მთელი რიგი სხვა მანქანები, რომლებიც ახასიათებენ ელექტრომშენებლობის მომსახურებას ჩვენი ელექტროტექნიკური მრეწველობის მიერ. ხოლო თუ ავიღებთ კიდევ მცირე დენის მრეწველობას, მაშინ, კიდევ შეიძლებოდა იმ ახალი აგრეგატების, ახალი მანქანების და ახალი აპარატურის ჩამოთვლის გაგრძელება, რომელთა დადგმაც ჩვენ უკვე შევძელით. მივუთითებთ თუნდ იმ გარემოებაზე, რომ 1933 წელს ამუშავდება რადიოგადამცემი სადგური, რომელიც თავისი სიმძლავრით ყველაზე უფრო დიდი სადგური იქნება მსოფლიოში.

მრეწველობის ელექტროფიკაციის დარგში, ე. ი. სამრეწველო საწარმოების საწარმოო პროცესებში ელექტრო - ენერგიის დანერგვის დარგში მოხდა სერიოზული ტექნიკური გარდატეხა. გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს ელექტრო-ენერგიის დანერგვა ძალოვან აპარატებსა და ტექნოლოგიურ პროცესებში. ელექტროსაძრავების, ელექტროთერმიის, ელექტროქიმიის, ელექტროშედუღების და სხვ. გამოყენების ხაზით. აი ზოგიერთი ფაქტები და ციფრები:

ელექტროფიკაციის დონის მხრივ საბჭოთა კავშირის მრეწველობა ოთხ წლიწადში ასრულებს იმ გეგმას, რომელიც მიცემული იყო ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის. ხუთწლედის დამლევისათვის თითქმის 100 პროცენტით ხდება მრეწველობის მთელი რიგი ძირითადი დარგების, მაგალითად, ელექტროტექნიკური, ავტოსატრაქტორო და სხვ. დარგების ელექტროფიკაცია. მანქანათმშენებლობის მრეწველობაში დაზგების თითქმის მთელი პარკი მუშაობს ელექტროსაძრავზე, ამასთან დაზგების დაახლოებით 35 პროცენტს უკვე აქვს ინდივიდუალური და მრავალმოტორიანი საძრავი. ავტოსატრაქტორო და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში ასეთი ინდივიდუალური საძრავი აქვს დაზგების 80 პროცენტზე მეტს, ამასთან ყველა ახლად აგებული ქარხნები — სტალინგრადის, ხარკოვის, ამო, ბურთოსაკისრის და გორკის საავტომობილო ქარხნები საძრავის მხრივ დგანან ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნების დონეზე. უკანასკნელ დროს ძლიერ განვითარდა ელექტრო-შედუღება, ამასთან ეს საქმე ჩვენ დავიწყეთ არაფრიდან და უდიდესი ტემპებით მივდიოდით წინ ჩვენს მრეწველობაში ელექტროშედუღების დანერგვის გზით.

აქ ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. ჩვენ მაგალითად მივაღწიეთ ქვაბების შედუღებას, რომლის დანერგვამ მოსკოვის ქარხანა „მოსტიაჟარტ“-ში მოგვცა თვითღირებულების შემცირება 39 პროცენტით, და 3-ჯერ გადიდდა ქვაბების გამოშვება, იმავე საწარმოო ფართობით. ჩვენ ავაგეთ მთლიანად შედუღებული ფოლადის აეროპლანი — ეს პირველი ნაბიჯია, როცა სახალხო მეურნეობის ზრდისა და განვითარების პროცესში მყოფ ისეთ დარგში, როგორიცაა ავიაცია, ინერგება ეს რევოლუციური მეთოდი.

გემთმშენებლობაში გამოშვებულია შედუღებული კატარღები და ბუქსირები. შეიქმნა სპეციალური გემთსაშენი, რომელიც გამოუშვებს შედუღებულ გემებს. სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობაში 1932 წელს ელექტროშედუღება უკვე გავრცელდა მთელი მოსახმარებელი ლითონის დაახლოებით 33 პროცენტზე. მაგრამ, რასაკვირველია, მიუხედავად ამ უდიდესი მიღწევებისა შედუღების დარგში, იგი მრეწველობის დარგების უმრავლესობაში ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა ძირითად პროცესად ნაწარმის დამზადების დროს.

მე უკვე არ ვჩერდები იმაზე, თუ როგორ გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება კომუნალური საწარმოების მიერ. დასკვნა ჩემ მიერ თქმულიდან ასეთია: ჩვენ სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ **ხუთწლედის შედეგად ელექტროენერგია მტკიცედ დამკვიდრდა, როგორც ჩვენს წარმოებაში, ისე ჩვენს ყოფაცხოვრებაშიაც.**

და სავსებით ნათელია, რომ აღნიშნული წარმატებების მიღწევა შეიძლო მხოლოდ ჩვენს სოციალისტური მეურნეობის სისტემას. ელექტროფიკაციის ბაზა ვითარდება 1933 წელშიაც. მთელი რიგი ელექტროტექნიკური და ტურბინების ქარხნების რეკონსტრუქციის დამთავრების გარდა, მალე ამუშავდება ახალი ქარხნები: ხარკოვის ტურბინმშენი, ელექტროლიზის ქარხანა მოსკოვში, ზუსტი ელექტრომექანიკის ქარხანა მოსკოვში და სხვ. 1933 წლისათვის დავალება ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ დაწესებულია 16,3 მილიარდი კილოვატ - საათით, იმ დროს, როცა 1932 წელს იგი უდრიდა 13.5 მილიარდ კილოვატ საათს. ე. ი. 1933 წელს ჩვენ დავიხარჯავთ 3 მილიარდ კილოვატ საათით მეტს ვიდრე 1932 წელს. ომის წინადროინდელი რუსეთის სადგურები სულ წელიწადში იძლეოდნენ 2 მილიარდ კილოვატ - საათ ენერგიას. ამრიგად, **ჩვენი ერთი წლის ენერგიის მატება მეტი იქნება იმაზე რასაც სულ იძლეოდნენ ძველი რუსეთის სადგურები.** ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენ ელექტროფიკაციის დარგში 1933 წელშიაც მივდივართ წინ უმაღლესი ნაბიჯებით. რა უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გადიდებას? მას უზრუნველყოფს მთელი რიგი სადგურების ამუშავება. მოსკოვში — 50 ათას კილოვატიან პირველი აგრეგატის ამუშავება ბობრიკოვსკის სადგურზე, თბოტექნიკური ინსტიტუტის მაღალი წნევის თბოცენტრალის (60 ათასი კილოვატი) ამუშავება. ლენინგრადში — სვირის (72 ათასი კილოვატი) ამუშავება, დუბროვკის სადგურის (100 ათასი კილოვატი) და სხვ. ამუშავება. ურალისათვის მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ბერეზნიკოვის თბოელექტროცენტრალის სავსებით ათვისება, რომელიც აგებულია ძალიან მაღალი წნევის ქვაბების გამოყენებით. ვინაიდან დღემდე ვერ მოხერხდა მათი სწორად გამოყენება. (სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოშიაც თითქმის სრულიად არ ხმარობენ ასეთი დიდი წნევის — 60 ატმოსფერიან ქვაბებს ან ხმარობენ მხოლოდ უნიკუმების (ცალკე სადგურებზე ცალკე სახით). ქვაბების მთლიანად გამოყენება აძლევს სადგურს დიდ უპირატესობას: საერთოდ ეკონომიას მუშაობაში, ორთქლის საჭირო რაოდენობას ბერეზნიკოვის ქარხნისათვის და ამასთან ერთად ენერგიის საჭირო რაოდენობას არა მარტო ბერეზნიკოვის ქარხნებისათვის, არამედ ჩრდილოეთის ქვანახშირის მთელი რაიონისათვის. აღნიშნული თბოცენტრალის ათვისების ამოცანა წარმოადგენს ურალის ბოლშევიკების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო ამოცანას.

ასეთია მოკლედ ჩვენი შედეგი ელექტროფიკაციის დარგში.

ქიმიური მრეწველობა

ამხანაგებო, გადავდივარ მრეწველობის შემდგომ უმნიშვნელოვანეს დარგზე — ქიმიაზე. ქიმიური მრეწველობის გაშლა ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მანამდე ქიმიური მრეწველობა წარმოადგენდა ნახევრად კუსტარული საწარმოების ჯგუფს და მას არ შეეძლო ეტარებინა მსხვილი მრეწველობის სახელწოდება. ქიმიური მრეწველობის თითქმის ყველა ძირითად პროდუქტებს იღებდნენ საზღვარგარეთიდან. პირველი ხუთწლედის განმავლობაში ქიმიის განვითარება ძალიან ინტენსიურად მიდის. ამ პერიოდში მოხდა, არსებითად, ქიმიური მრეწველობის ყველა საწარმოების რადიკალური რეკონსტრუქცია.

უწინარეს ყოვლისა, ამ ხუთწლედის განმავლობაში დიდი სახსრები იქნა დაბანდებული ქიმიურ მრეწველობაში. 1928—32 წლების განმავლობაში დაბანდებული კაპიტალის მთელი რაოდენობა უდრის 1,460 მილიონ მანეთს, ე. ი. თითქმის მილიარდნახევარ მანეთს, ნაცვლად 1,100 მილიონი მანეთისა, რაც გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით ხუთივე წლისათვის. პირველი ხუთწლედის განმავლობაში ქიმიური მრეწველობის ხაზით (აზოტის, პარფიუმერიისა და ცხიმის, ძვლის დამმუშავებელი მრეწველობის გამოკლებით) ამუშავდა 58 დიდი ქარხანა, რომლებიც ცალკე წარმოების მიხედვით ნაწილდებიან შემდეგნაირად: ძირითადი ქიმია — 13 ქარხანა, და კომბინატი, „ქიმპლასტმას“-ის მრეწველოზა — 2 ქარხანა, ლაქსალებავი — 1 ქარხანა, ხელოვნური ბოჭკო — 3 ფაბრიკა, ქიმიურ-ფარმაცევტიული მრეწველობა — 4 ქარხანა, სინთეტიური კაუჩუკი — 2 ქარხანა, რეზინის მრეწველობა—მძლავრი კომბინატი იაროსლავში (ამუშავებულია ნაწილობრივ), კოქსის და კოქს-ქიმიური მრეწველობა — 13 დანადგარი, სატყეო ქიმია — 19 ქარხანა, ეს ქარხნები, როგორც ცა დედამიწისაგან ისე განსხვავდებიან იმისგან, რასაც რუსეთში ეძახოდნენ ქიმიურ მრეწველობას. ეს არის — ქარხნები — გიგანტები. აიღეთ მაგალითად: ბერეზნიკის ქარხანა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ქარხანას მთელს მსოფლიოში, ბობრიკოვის ქარხანა, რომელიც მალე ამუშავდება, ვოსკრესენსკის ქარხანა, ლენინგრადის ქარხანა, სოლიკამსკის, კონსტანტინოვსკის, უგრეშსკის, იაროსლავის და პერმის ქარხნები, სამხრეთის ქარხნების ჯგუფი და მრავალი სხვა.

ყველა ეს მსხვილი საწარმოება, აგებული ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, რომლებმაც მტკიცე ბაზა შექმნეს ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ მსხვილ მშენებლობას თან სდევდა ისეთი ახალ წარმოებათა წარმატებით დაუფლება, რომლებსაც აქამდის არ ქონიათ ადგილი საბჭოთა კავშირში. 1928 წლამდე ჩვენი ქვეყანა თითქმის სრულებით არ იცნობდა **აზოტის მრეწველობას.** ამ მხრივ იგი სავსებით დამოკიდებული იყო იმპორტზე.

1929 წელს ამუშავდა ჩერნორეჩენსკის სინთეტიური ამიაკის ქარხანა, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში, ხუთწლედის უკანასკნელ წელს ამუშავდა ბერეზნიკის ქარხანა (პირველი რიგი) და გრძელდება მეორე რიგის მშენებლობა. მალე დამთავრდება ბობრიკის ქარხნის მშენებლობა. 1933 წელს უნდა ამუშავდეს ამიაკის ქარხნები კოქსის გაზზე: კუზნეცკი, გორლოვკა. ამიაკის ქარხანა შენდება აგრეთვე მაგნიტოგორსკში.

გოგირდმჟავას წარმოების მხრით, ხუთწლედის განმავლობაში მისი ორნახევარჯერ გადიდების გარდა (199 ათასიდან 510 ათასამდე, იმ დროს როცა (გამოტოვებულია) დამზადებულ იქნა 121 ათასი ტონა), რადიკალურად შეიცვალა თვით წარმოების ტექნიკა. ალმადანის დასამუშავებელი ხელის ღუმელების ადგილი დაიკავა მძლავრმა მექანიკურმა ღუმელებმა. ეს ღუმელები ამასთანავე, მზადდება საბჭოთა ქარხნებში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ შემოვიღეთ ბეშენის სისტემა, რომელიც წინად სრულიად უცნობი იყო ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ბეშენის სისტემები უკვე არა თუ გაუთანასწორდნენ უცხოეთის უდიდეს დანადგარებს, არამედ მუშაობის ინტენსიობით კიდეც სჯარბობენ მათ. ალმადანის იმპორტი ჩვენ არა თუ შევცვალეთ საკუთარი ალმადანით, არამედ დავსახეთ გზები აგრეთვე გოგირდმჟავას მრეწველობისათვის ახალი ნედლეულის და, პირველ ყოვლისა, ხიბინის აპატიტების აღმოჩენა და საყენებლად. უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე ხუთწლედში გამოყენებული იქნება ახალი სახის ნედლეულები, განსაკუთრებით თაბაშირი.

სასუქი ტუკების წარმოების სფეროში ჩვენ არსებითად შევქმენით სუპერფოსფატის ახალი მრეწველობა, რომლის წარმოება ომის წინადროინდელს 25-ჯერ აღემატება. ხიბინის აპატიტების აღმოჩენა და მათი მოპოვების ორგანიზაცია ერთ-ერთ უბრწყინვალეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქიმიის განვითარების ისტორიაში პირველი ხუთწლედის მანძილზე. ჩვენ მივიღეთ სასუქის ისეთი მძლავრი წყარო, როგორიცაა ხიბინის აპატიტები. მალე დამთავრდება მეთოდების გამომუშავება რთული მაღალ პროცენტიან ტუკების მისაღებად. მეორე ხუთწლედში მათ უნდა შესცვალონ უფრო ნაკლები კონცენტრირებული და ნაკლებ რთული სასუქი. ამავე დროს უკვე 1933 წელს განზრახულია ამ რთულ კონცენტრირებულ სასუქის წარმოების დაწყება.

კალიუმის სასუქის აღმოჩენას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი ჩვენში ქმნის ქიმიური მრეწველობის ახალ დარგს — კალიუმის მრეწველობას, რომელიც ჩვენ გვათავისუფლებს იმპორტისაგან. სოლიკამსკში კალიუმის მოპოვებასთან ერთად მოეწყობა ახალი წარმოებანი: ლითონის მაგნიუმის, ქლორის მაგნიუმის, მარილის სიმჟავის და, სხვ. წარმოებანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **სინთეტიური კაუჩუკის** წარმოების ორგანიზაცია. ამ მხრივ საბჭოთა ქიმიკოსებმა პირველად მსხვილ სამრეწველო მასშტაბით განახორციელეს ეს რთული ორგანიული სინთეზი. თქვენ ალბად ყველას გახსოვთ, როგორ ცდილობდა ამერიკაში ფართოდ გამოჩენილი ისეთი დიდი მსოფლიო გამომგონებელი, როგორიც იყო ედისონი, იმისთვის რომ მიეღო სინთეტიური კაუჩუკი და თქვენ ალბად გახსოვთ რომ ედისონს აქედან არაფერი გამოუვიდა. სინთეტიური კაუჩუკის მიღება არა ერთხელ სცადეს აგრეთვე სხვა ქვეყნებში. მაგრამ არსად არ მიუღიათ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი. ამგვარად სინთეტიური კაუჩუკის მრეწველობის შექმნა ჩვენში (ავაგეთ და ავამუშავეთ რა ორი ქარხანა. ჩვენ უკვე შეგვიძლია ვსთქვათ რომ დავეუფლეთ ამ მრეწველობას) მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს ტექნიკის დარგში; საბჭოთა ქიმიკოსებმა დამოუკიდებლად შეიმუშავეს სინთეტიური კაუჩუკის წარმოების მეთოდი, ისე როგორც მისი რეზინის მრეწველობაში გამოყენების მეთოდი. პირველ ხუთწლედში დავეუფლეთ ხელოვნური ბოჭკოს რთულ წარმოებას, აქ ჩვენ მაინცდამაინც სწრაფად ვერ მივდივართ წინ, იმასთან შედარებით, როგორც ეს ჩვენ გვსურს, აგებულია მხოლოდ 3 ფაბრიკა: ლენინგრადის, მოგილევსკის და კლინსკის ფაბრიკები და საგრძნობლად რეკონსტრუქტირებულია მიტიშჩენსკის ფაბრიკა, მოსკოვის მახლობლად ამ დარგში ჩვენს წინაშე დასმულია მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პირველმა ხუთწლედმა საფუძველი ჩაუყარა დიდ მრეწველობას, რომელსაც ყოველგვარი შესაძლებლობები აქვს იმისთვის, რომ სწრაფი ნაბიჯით წავიდეს წინ მომავალში.

საჭიროა აღინიშნოს **პლასტიური მასების** წარმოება, რომელიც თითქმის ხელახლა შექმნილია, ეს წარმოება განსაკუთრებით დიდი ყურადღების ღირსია; რამდენადაც პლასტიური მასების საშუალებით სახალხო მეურნეობაში შეიძლება შევცვალოთ მეტად დეფიციტური ლითონები. შენდება მთელი კომბინატები. ვლადიმირსკის და ორეხოვის კომბინატების დამთავრების შემდეგ ჩვენ გვექნება რამდენიმე ათეული ათასი ტონა პლასტიური მასები.

ჩამოთვლილ წარმოებათა გარდა უნდა აღინიშნოს აგრეთვე მთელ რიგ სხვა მეტად მნიშვნელოვან წარმოებათა განვითარება. ამათ რიცხვს ეკუთვნის კინოფირის წარმოების დაუფლება, საცდელი ქარხნის მშენებლობა მერქანის ჰიდროლიზისათვის, ანილინის სალებავების მრეწველობა, რომელიც ხელახლა მოეწყო ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედამდე, მაგრამ სწრაფი ტემპით მიდის წინ უკანასკნელ წლებში. ამ მრეწველობაში ჩვენ დავეუფლეთ ახალი სალებავების წარმოებას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გავნთავისუფლდეთ მათ იმპორტისაგან. მოგვარებულ იქნა აზოსალებავების და სხვ. სინთეტიურ სალებავების წარმოება. ნახევარ ფაბრიკატების გამომუშავება განსაკუთრებით გაიზარდა რუბეჟანსკის და დოროგომილოვსკის ქარხნებში და ამ ნახევარ ფაბრიკატების იმპორტი თითქმის სრულიად შეწყდა.

მოგვარებულ იქნა პლავიკის სიმჟავის, ქლორის ნატრიუმის, დარიშხანის მარილების, გოგირდ ნახშირბადის, ბორის სიმჟავის და ბურის წარმოება. ამუშავდა ქრომპიკის ქარხანა. ეწყობა იოდის წარმოება წყლის ბალახისა და ბურის წყლებისაგან და. ბოლოს, არ შეიძლება არ მოვიგონოთ ფარმაცევტიული მრეწველობა რომელიც წინადაც იყო, და რომელიც ამჟამად ამზადებს ბევრ წმინდა ქიმიურ რეაქტივებს, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს გავთავისუფლდეთ მედიკამენტების იმპორტისაგან.

ქიმიური მრეწველობის უდიდეს დარგს, რომელიც სახალხო მეურნეობაში კოლოსალურ როლს თამაშობს, წარმოადგენს კოქსის მრეწველობა. ეს მრეწველობა თითქმის ახლად აგებულია რაც ნათლად სჩანს იქიდან, რომ კოქსის 80 პროცენტის გამოწვა სწარმოებს რევოლუციის შემდეგ აგებულ ღუმელებში.

ქიმიური მრეწველობის ასეთი სწრაფი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა ამ მრეწველობისათვის, რომ არ შეგვექმნა მანქანათმშენებლობის ბაზა; ჩვენ უკვე ვამზადებთ მძლავრ კომპრესორებს, ტუმბოებს, ცენტროფუგებს, ელექტროცენტროფუგებს ხელოვნური ბოჭკოს წარმოებისათვის, შემშრალებლებს, ფილტრებს, აპარატურას და სხვ. მანქანებს ქიმიური მრეწველობის გოგირდმჟავას წარმოებისათვის და ქიმიური მრეწველობის სხვა დარგებისათვის. ახლ წარმოიშვა ჩვენში ახალი ქიმიური მრეწველობა. ამ ზრდის გაგრძელებას წარმოადგენს ბობრიკოვის ქარხნის პირველი რიგის ამუშავება 1933 წელს. აგრეთვე სტალინსკის და გორლოვსკის ქარხნების აპარატების გამაძლიერებელი ფაბრიკის, კალიუმის პირველი მაღაროს (ორნახევარი მილიონი ტონის სიმძლავრით) იაროსლავსკის რეზინის კომბინატის. ეფრემოვსკის სინთეტიური ქარხნის (მოსკოვის მახლობლად). პლასტიკური მასების მთელ რიგ საწარმოთა, სუპერფოსფატის საწარმოს და სხვა საწარმოების ამუშავება. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს 1933 წლისათვის დავსახოთ პროდუქციის შემდგომი თვალსაჩინო ზრდა.

მსუბუქი მრეწველობა

ამხანაგებო! როგორც იცით, მსუბუქი მრეწველობა ვითარდებოდა უფრო ნაკლებ სწრაფი ტემპით, ვიდრე მძიმე მრეწველობა. ეს იყო პარტიის განსაზღვრული კურსი და, როგორც ეს ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ დაასაბუთა ამხ. სტალინმა, სხვა პოლიტიკა, სხვა კურსი პარტიას არ შეეძლო აეღო. მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის განვითარებით შევქმენით სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის შემდგომი განვითარების ბაზა, კერძოთ, მსუბუქი მრეწველობის განვითარების ბაზა, რაც ამხ. სტალინმა აღნიშნა ჯერ კიდევ მე-16 ყრილობაზე. მაგრამ მსუბუქი მრეწველობის განვითარების ასეთ ტემპებსაც თან სდევდა ფართო რეკონსტრუქცია მძიმე ინდუსტრიის წარმატებათა საფუძველზე.

ეს რეკონსტრუქცია მსუბუქი მრეწველობის დარგში, **ჯერ-ერთი,** სწარმოებდა წარმოების ახალი პროცესების დაუფლების და ახალი დარგების შექმნის ხაზით, მეორე — საკუთარი მანქანათმშენებლობის ბაზის შექმნის ხაზით, მესამე — საკუთარი სანედლეულო ბაზის შექმნის ხაზით. აი ამ სამი მიმართულებით ჩატარდა უდიდესი მუშაობა, რათა საკუთარ ფეხზე დაგვეყენებინა მსუბუქი მრეწველობა და გაგვეხადა იგი დამოუკიდებელი იმპორტისაგან. ამოცანათა განხორციელება ამ სამი მიმართულებით ქმნის მსუბუქი ინდუსტრიის შემდგომი განვითარების ისეთ ბაზას, რომელიც საშუალებას მისცემს მას საგრძნობლად გაიზარდოს უახლოეს წლებში მუშათა და გლეხთა ფართო მასების გაზრდილი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ოთხი წლის განმავლობაში ამუშავდა: 13 ბამბეულის საწარმო (ერთი მილიონი თითისტარი), 3 სატრიკოტაჟო ფაბრიკა, სელის ფაბრიკა, 6 შალეულის ფაბრიკა 3 სამკერვალო ფაბრიკა, 4 ფეხსაცმლის ფაბრიკა, 11 ტყავის ქარხანა, 2 კინოფირმის ქარხანა და სხვ.

თქვენ ხედავთ, რომ აქაც ადგილი აქვს სულ ახალ-ახალ საწარმოთა მშენებლობას.

ვიატკაში აშენდა სასწავლო-თვალსაჩინო სახელმძღვანელოების მძლავრი ფაბრიკა, აშენდა კინოფილმების მძლავრი ფაბრიკა, რამდენიმე ათეული დიდი და პატარა სტამბა და სხვ.

გაიზარდა და ახალ დარგად განვითარდა **სატრიკოტაჟო მრეწველობა,** რომელსაც წინად ჰქონდა შინასამრეწველო ან ნახევრად - შინასამრეწველო ხასიათი. ეხლა კი მას აქვს უდიდესი საწარმონი, როგორიცაა, მაგალითად, ვიტებსკის ფაბრიკა და ლენინგრადის ფაბრიკა.

სამკერვალო მრეწველობა შინასამრეწველო სახელოსნოებიდან, როგორიც იგი იყო რევოლუციამდე, გადაიქცა მსხვილ მექანიზებულ მრეწველობად. მას ამჟამად აქვს ძალიან დიდი საწარმონი, რომელთაგან ზოგიერთი კონკურენციას უწევს მსოფლიო გიგანტებს;

ტყავის მრეწველობის ბაზითაც მოხდა წარმოების ანალოგიური კონცენტრაცია კარგად მოწყობილ ახალ ქარხნებში. ასეთივე მდგომარეობაა **ფეხსაცმლის მრეწველობაშიაც,** რომელიც ნახევრად შინასამრეწველო წარმოებიდან გადაიქცა მსხვილ მექანიზებულ მრეწველობად.

მსუბუქი ინდუსტრიის ყველა საკულტურო დარგები შეიქმნა სწორედ ამ ხუთწლედში — მუსიკალური ინსტრუმენტების მრეწველობა, სასწავლო - თვალსაჩინო სახელმძღვანელოების მრეწველობა, ფოტოაპარატურა, პატეფონების, ფირფიტების და სხვ. წარმოება. ყოველივე ეს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენს გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს. მაგრამ ეს დარგები უკვე ფეხზეა დაყენებული და მათი შემდგომი განვითარება უზრუნველყოფილია.

მსუბუქი ინდუსტრიის მთელ რიგ ძველ დარგებში ჩვენ დავეუფლეთ სხვადასხვა სახის ახალ წარმოებას: **ბამბეულის მრეწველობაში** დავეუფლეთ ავტოკორდის წარმოებას, ვამზადებთ ტილოებს ძაფის საკრავებისათვის, ნართის მაღალ ნომრებს ელექტროტექნიკური და თევზის მრეწველობისათვის და სხვ.; **შალეულის მრეწველობაში** ვამზადებთ ტექნიკურ მაუდს ქაღალდის მრეწველობისათვის, ვამუშავებთ ნახევრად უხეშ და უხეშ მატყლს საკამლო და სუფთა მაუდის წარმოებაში; **აბრეშუმის მრეწველობაში** დავეუფლეთ აბრეშუმის საცრების წარმოებას; **სელის და ქერელის** მრეწველობაში მექანიზებულია სელის და ქერელის პირველადი დამუშავება, მოგვარდა ძაფის შესაკრავი წარის და საავიაციო ტილოს წარმოება. **ცხიმების და ძვალის დამმუშავებელ მრეწველობაში** დავეუფლეთ პარაფინის სანთლების, ეთეროვანი ზეთების და ფოტოჟელატინის წარმოებას; კინო-მრეწველობაში დავეუფლეთ ხმოვანი სურათების, და ხმოვანი, აპარატურის წარმოებას. **კარდოლენტის ტრესტის** ხაზით დავეუფლეთ ქუდ-კოშების, სატრიკოტაჟო ნემსების და სხვ. წარმოებას. ამრიგად, მთელ რიგ დარგებში შეიქმნა ახალი წარმოებანი, რომლებიც კიდევ უფრო ამცირებენ ჩვენს დამოკიდებულებას უცხოეთისაგან.

მაგრამ მთავარია **მანქანათმშენებლობის ბაზის შექმნა მსუბუქი ინდუსტრიისათვის.** მეფის რუსეთის მანქანათმშენებლობის ბაზა შესდგებოდა რამდენიმე ნახევრად შინასამრეწველო პატარა ქარხნებიდან, რომლებშიც აწარმოებდნენ მარტივ საქსოვ დაზგებს და პრიმიტიულ მოწყობილობას ხელით რთვისათვის, სამღებრო წარმოებისათვის და სხვ., ყოველივე ის, რასაც ამზადებდა მეფის რუსეთის საფეიქრო მანქანათმშენებლობის დარგში. **მსუბუქი ინდუსტრიის** ყველა დარგები — ფეხსაცმლის, საფეიქრო და სხვ. მოწყობილი იყო საიმპორტო მანქანებით.

მანქანათმშენებლობის არსებულ ქარხნების საგრძნობი რეკონსტრუქციის შედეგად **ახლა შექმნილია მანქანათმშენებლობის საკუთარი ბაზა მსუბუქი ინდუსტრიისათვის.** დავეუფლეთ მეტად რთული მანქანების წარმოებას, როგორიცაა მეტად ზუსტი მანქანები ბამბეულის მრეწველობისათვის, მატყლის საჩეჩი მანქანები შალეულის მრეწველობისათვის, კაზაპლანკის სისტემის მაღალი ამწოვი ვატერები, ბამბის საპენტი მანქანები, ჩქარმბრუნავი ვატერები, ინჟენერ ზვორიკინის კონსტრუქციის სწრაფმბრუნავი სელის ვატერები ხელოვნური ბოჭკოსათვის და ბოლოს, **სატრიკოტაჟო მრეწველობისათვის ვამზადებთ 125-ზე მეტი ტიპის მანქანას.**

ასეთივე მიღწევები გვაქვს მსუბუქი ინდუსტრიის სხვა დარგების მანქანათმშენებლობაშიაც. შექმნილია ტყავფეხსაცმლის მანქანათმშენებლობის ბაზა, დავეუფლეთ როტაციების წარმოებას პოლიგრაფიული მრეწველობისათვის, ლინოტიპის წარმოებას და სხვ.

თავის თავად ცხადია, რომ მსუბუქი ინდუსტრიისათვის საჭირო მოწყობილობის წარმოების ფარგლები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. 1933 წლისათვის განზრახულია 110 მილიონი მანეთის (შედარებით ფასებში) პროდუქციის გამოშვება (დეტალებთან ერთად) მარტო საფეიქრო მანქანათმშენებლობის ხაზით, 1927—28 წელს კი გამოშვებულ იქნა მხოლოდ 17—18 მილიონი მანეთის პროდუქცია, ე. ი. აღნიშნული სახის პროდუქცია გაიზრდება 6,5-ჯერ. მსუბუქი ინდუსტრიის დარგების მომსახურებისათვის მანქანათმშენებლობის ასეთი ზრდის მეოხებით, მსუბუქი მრეწველობის ყველა ახალი ქარხნები, მათ შორის მსუბუქი ინდუსტრიის ორი გიგანტი — საფეიქრო კომბინატები ტაშკენტსა და ბარნაულში ამუშავდებიან საბჭ. ქარხნებში და საბჭოთა მანქანით დამზადებულ მოწყობილობაზე.

ამ წარმატებებმა მოგვცეს შესაძლებლობა დაგვეპროექტებინა მომავალი წლისათვის კაპიტალური დაბანდებანი მსუბუქ მრეწველობაში იმ ოდენობით, რაც ორჯერ აღემატება 1927—28 წელს დაბანდებულ თანხებს, სახელდობრ 750 მილიონი მანეთი. ეს კაპიტალური დაბანდებანი მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება საშინაო მანქანათმშენებლობით.

ბოლოს ჩვენ მსუბუქი ინდუსტრიის რეკონსტრუქციის მესამე გზა — ეს არის ნედლეულის ბაზის შექმნა. ბამბის წარმოება ჩვენს ქვეყანაში ორჯერ გაიზარდა და მან საშუალება მოგვცა სრულიად განვთავისუფლებულიყავით დასავლეთის ბამბის შემოტანისგან. სელის მრეწველობაში წლითიწლობით იზრდება ნათესი ფართობი და მატულობს დამზადება. ასეთი სურათი გვაქვს ჩვენ ტყავის და ფეხსაცმლის მრეწველობაში. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ თვით ნედლეულის ბაზაშიაც ხდება რეკონსტრუქციული პროცესები — ნათესი ფართობების უბრალო რაოდენობრივი გადიდების გარდა, ჩვენ გვაქვს ახალი სახის ნედლეულის წარმოება: კენდირი, კენაფი, სამხრეთის კანაფი და, ბოლოს, ძირითადი ნედლეულის სუროგატების წარმოება — ხელოვნური აბრეშუმი, ხელოვნური მატყლი, კოტონინი, ტყავის სუროგატი და სხვ.

ამ დამატებითი სახის ნედლეულის წარმოება საგრძნობლად აფართოებს ჩვენს ნედლეულ რესურსებს და უზრუნველყოფს საწარმოო დავალებათა ოდენობას. კიდევ მეტი, არამც თუ ნედლეულის დარგში, **არამედ ქიმიკალიების დარგშიაც ჩვენ შევქმენით საკუთარი ბაზა.** წინად ჩვენ შემოგვქონდა მთრიმლავი და სალებავი ნივთიერებანი. სალებავზე, ქიმიურ მრეწველობასთან დაკავშირებით, მე უკვე აღვნიშნე, რომ მათი იმპორტი შეწყვეტილია, იგივე ითქმის მთრიმლავ ნივთიერებებზე. ჩვენში აგებულია მთრიმლავ ნივთიერებათა დამამზადებელი მთელი რიგი საწარმოები, რომლებსაც შეუძლიათ სრულიად განგვათავისუფლონ მისი შემდგომი იმპორტისაგან.

როგორი შედეგი გვაქვს, მსუბუქი მრეწველობის დარგში? მსუბუქმა მრეწველობამ ვერ შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. რასაკვირველია, მსუბუქ მრეწველობას თავისუფლად შეეძლო მთლიანად და გადაჭარბებითაც შეესრულებინა თავისი გეგმა, თუ ჩვენ მანქანების, ლითონის წარმოების და ქვეყნის თავდაცვის უფრო განმტკიცების წინაშე უპირატესობას მივცემდით მსუბუქი ინდუსტრიის წარმოების გაძლიერებას. საჭირო იყო რამდენიმე ათეული და ასეული მილიონი მანეთი გადაგვეხადა ნედლეულის და მოწყობილობის შემოსატანად მსუბუქი მრეწველობისთვის. მაგრამ მაშინ ჩვენ ვერ შევქმნიდით ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ხელახალი შეიარაღების საკუთარ ბაზას.

მაგრამ **მსუბუქი მრეწველობა,** თუმცა მან ვერ შეასრულა ხუთწლიანი გეგმა რაოდენობის ხაზით, **იგი შევიდა მეორე ხუთწლედში შინაური მანქანათმშენებლობით უზრუნველყოფილი, გაზრდილი შინაური ნედლეულის ბაზით და საკუთარი ქიმიკალიების საგრძნობი რეზერვებით.**

კვების მრეწველობა

კვების მრეწველობამ დაამთავრა ხუთწლიანი გეგმა, შეასრულა რა ხუთწლედის უკანასკნელი წლის საწარმოო დავალებანი 108,9 პროცენტით, ე. ი. გადააჭარბა თითქმის 9 პროცენტით.

ისეთი დარგების განვითარების საქმეში, როგორიცაა შაქრის, თევზის, თამბაქოს, მრეწველობა ადგილი აქვს უდიდეს ტექნიკურ გარდატეხას. თევზის მრეწველობა ამჟამად, რასაკვირველია, სრულიადაც არ არის ისე, რაც ძველად იყო. ეს არის—მძლავრი ტრაულერები, ყველა პროცესების მექანიზაცია, თევზის გაწმენდის, დამარილების და გადამუშავების დროს მიღებულ ყველა ნარჩენების გამოყენება, რაც თევზის მრეწველობას ხდის ნამდვილ მსხვილ მრეწველობად და განსაზღვრავს თევზის მრეწველობის განვითარების შემდგომ გზებს.

შაქრის მრეწველობის დარგში მოხდა მთელი რიგი გარდატეხა. ჯერ ერთი — ჩვენი ქვეყნის არსებობის მთელი დროის განმავლობაში ჩვენ პირველად ვცდილობთ გადავიტანოთ შაქრის წარმოება და ჭარხლის თესვა აღმოსავლეთის რაიონებში. შესაფერი ნედლეული ბაზის შექმნა და ქარხნების აშენება ამ რაიონებში საშუალებას მოგვცემს უფრო ეკონომიურად გავანაწილოთ შაქრის წარმოება, შაქრის რაიონების მიხედვით შაქრის გაზიდვის და მისი თვითღირებულების თვალსაზრისით.

მაგრამ, უეჭველად, ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს **წარმოების ახალი დარგების** მოწყობა კვების მრეწველობის დარგში. მე უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს **ხორცის მრეწველობა,** ის დარგი, რომელსაც ამერიკაში მსუბუქი ინდუსტრიის ყველა დარგებიდან პირველი ადგილი უჭირავს. ჩვენში იგი სულ ამ უკანასკნელ დრომდე მეტად უმწეო მდგომარეობაში იყო, გვქონდა პირველყოფილი, პრიმიტიული, მამაპაპური სასაკლაოები, სადაც პირუტყვის დაკვლა სწარმოებდა ხელით და სადაც ილუპებოდა საკლავის ნაწილების უდიდესი რაოდენობა, რომელთა გამოყენება შესაძლო იყო სხვადასხვაგვარი წარმოებისათვის. ჩვენ მხოლოდ ეხლა ვაყენებთ ფეხზე ამ მრეწველობას და მოსკოვის, ლენინგრადის, სემიპალატინსკის და ბაქოს კომბინატები, რომლებიც უნდა ამუშავდნენ 1933

(გაგრძელება. იხ. მე-4 გვერდზე)

პოლიტგანყოფილების უფროსი, რომელიც დახმარებას უწევს სამანქანო - სატრაქტორო სადგურის დირექტორს მთელს მის მუშაობაში, მაგრამ რომელმაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიითვისოს მისი ფუნქციები, პასუხისმგებელია დირექტორთან ერთად. სამანქანო - სატრაქტორო სადგურის საწარმოო და დამზადების გეგმების შესრულებისათვის.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებანი სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონში ყოველდღიურ სისტემატიურ დახმარებას უწევენ საკოლმეურნეო პარტიულ და კომკავშირულ უჯრედებს, აძლევენ მათ ინსტრუქციებს და ამოწმებენ მათ მუშაობას, ამასთან თავიანთ საქმიანობას ისინი ატარებენ პარტიის ადგილობრივ რაიკომთან კონტაქტში.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილება აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სამანქანო - სატრაქტორო სადგურის კადრების და იმ კოლმეურნეობათა გამგეობების და მოსამსახურეების შერჩევაში, რომლებსაც სამსახურს უწევს აღნიშნული სამ. სატრ. სადგური, ამასთან მხედველობაშია მიღებული როგორც ხელმძღვანელი შემადგენლობა, ისე ადმინისტრატიულ-სამეურნეო მუშაკებიც. (საწყობ განყოფილების გამგე, ბეღლის გამგე, მოანგარიშე და სხვ.).

სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი უშუალოდ ემორჩილება სამხარეო (საოლქო) მიწათმოქმედების სამმართველოს, ნაცრესპუბლიკათა მიწსახკომების სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორს და პასუხისმგებელია მის წინაშე თავის მუშაობაში.

ამასთან ერთად თავის მუშაობას იგი უკავშირებს პარტიის ადგილობრივ რაიკომს შემდეგი გზით:

ა) პოლიტგანყოფილების უფროსი შედის რაიონული პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში.

ბ) პერიოდულად აწვდის რაიკომს ინფორმაციას პოლიტგანყოფილების მუშაობის შესახებ.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსებს ნიშნავს და ხსნის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და ნაც. კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნების წარდგენით.

ბ) სამხარეო (საოლქო) მიწათმოქმედების სამმართველოების და ნაციონალური რესპუბლიკათა მიწსახკომების სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორი.

სამხარეო (საოლქო) მიწათმოქმედების სამმართველოებთან და ნაცრესპუბლიკათა მიწსახკომებთან ეწყობა სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორები შემდეგი შემადგენლობით: პოლიტსექტორის უფროსი, ორი მოადგილე საერთო-პარტიული მუშაობის ხაზით, ერთი თანაშემწე კომკავშირული მუშაობის ხაზით და პასუხისმგებელი ინსტრუქტორები დარგობრივ სამხარეო ტრაქტორცენტრების ხაზით. სამხარეო (საოლქო, რესპუბლიკანური) სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორის უფროსი არის სამხარეო (საოლქო) მიწათმოქმედების სამმართველოს გამგის მოადგილე; სამხარეო (საოლქო) მიწათმოქმედების სამმართველოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორ. უფროსი უშუალოდ ემორჩილება საბჭოთა კავშირის მიწსახკომის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტსამმართველოს, ათანხმებს და აკავშირებს თავის მუშაობას შესაფერ სამხარეო და საოლქო კომიტეტებთან და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან, პერიოდულად აბარებს მათ ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ და შედის აღნიშნული კომიტეტების შემადგენლობაში.

სამხარეო, საოლქო მიწათმოქმედების სამმართველოების და ნაცრესპუბლიკათა მიწსახკომების სამანქანო სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორების უფროსებს ნიშნავს და ხსნის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სამხარეო, საოლქო კომიტეტების და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნების წარდგენით.

გ) საბჭოთა კავშირის მიწსახკომის სამანქანო - სატრაქტორო სადგურთან პოლიტსამმართველო.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომთან ეწყობა სამანქანო - სატრაქტორო სადგურთან პოლიტსამმართველო შემდეგი შემადგენლობით: უფროსი, მისი ორი მოადგილე საერთო-პარტიული მუშაობის ხაზით, ერთი თანაშემწე კომკავშირული მუშაობის ხაზით და პასუხისმგებელი ინსტრუქტორები საოლქო დარგობრივ ტრაქტორცენტრების ხაზით.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომის სამანქანო - სატრაქტორო სადგურთა პოლიტსამმართველოს უფროსი არის სახალხო კომისრის მოადგილე და ემორჩილება როგორც სახალხო კომისარს, ისე უშუალოდ საკ. კ. პ. (ბ) ცეკასაც.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომის სამანქანო - სატრაქტორო სადგურთა პოლიტსამმართველო ახორციელებს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პარტიული, კომკავშირული და პოლიტიკურ - მასიური მუშაობის ხელმძღვანელობას თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით: სამხარეო (საოლქო) მიწათმოქმედების სამმართველოების და ნაცრესპუბლიკათა მიწსახკომების სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა პოლიტსექტორები.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომის სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტსამმართველოს უფროსს ნიშნავს და ხსნის საკ. კ. პ. (ბ) ცეკა.

IV

დებულება საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შესახებ

ა) საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებანი

საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებანი ეწყობა თვითეულ საბჭოთა მეურნეობასთან შემდეგი შემადგენლობით: უფროსი, მისი ორი მოადგილე საერთო - პარტიული მუშაობის ხაზით და ერთი თანაშემწე კომკავშირული მუშაობის ხაზით.

საბჭოთა მეურნეობის პოლიტგანყოფილების უფროსი ამავე დროს არის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე პოლიტმუშაობის დარგში.

საბჭოთა მეურნეობის პოლიტსამმართველოს უფროსი ახორციელებს პარტიული და კომკავშირული მუშაობის სრულ ხელმძღვანელობას და მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საბჭოთა მეურნეობის პარტიულ - პოლიტიკური მუშაობისათვის. ამასთან თავისი მუშაობის გეგმას იგი ათანხმებს საბჭოთა მეურნეობის დირექტორთან.

პოლიტგანყოფილების უფროსი დახმარებას უწევს საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მთელს მის მუშაობაში, ამასთან მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიითვისოს დირექტორის ფუნქციები, იგი საბჭოთა მეურნეობის დირექტორთან ერთად პასუხისმგებელია საბჭოთა მეურნეობის საწარმოო გეგმების შესრულებისა და პარტიის და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის. რომლებიც ეხება სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების ზუსტად შესრულებას.

საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებანი ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა მეურნეობების კადრების, მათ შორის ადმინისტრატიულ - სამეურნეო მუშაკების, შერჩევაში.

საბჭოთა მეურნეობის პოლიტგანყოფილების უფროსი უშუალოდ ემორჩილება საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს და თავის მუშაობაში პასუხისმგებელია საოლქო კომიტეტის. სამხარეო კომიტეტის ან ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების სამდივნოს წინაშე. საბჭოთა მეურნეობის პოლიტგანყოფილების უფროსს ნიშნავს და ხსნის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნების წარდგენით.

ბ) საბჭოთა მეურნეობების პოლიტსამმართველო ს. ს. რ. კ. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატთან

ს. ს. რ. კ. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატთან ეწყობა საბჭოთა მეურნეობების პოლიტსამმართველო შემდეგი შემადგენლობით: უფროსი, ორი მისი მოადგილე და ერთი თანაშემწე კომკავშირული მუშაობის ხაზით.

საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების პოლიტსამმართველოს უფროსი არის სახალხო კომისრის მოადგილე და ემორჩილება როგორც სახალხო კომისარს, ისე უშუალოდ საკ. კ. პ. (ბ) ცეკასაც.

მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების პოლიტსამმართველო ახორციელებს პარტიული, კომკავშირული და პოლიტიკურ - მასიური მუშაობის ხელმძღვანელობას საბჭოთა მეურნეობებში.

საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების პოლიტსამმართველოს უფროსს ნიშნავს და ხსნის საკ. კ. პ. (ბ) ცეკა.

პარტიის წმენდის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია, მიღებული 1933 წლის 12 იანვარს

1. ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი იწონებს ცეკას პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას 1933 წლის განმავლობაში პარტიის წმენდის ჩატარების და წმენდის დამთავრებამდე პარტიაში მიღების შეჩერების შესახებ.

2. ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ავალებს ცეკას პოლიტბიუროს და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს მოაწყონ პარტიის წმენდის საქმე იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას რკინისებური პროლეტარული დისციპლინა პარტიაში და პარტიის რიგების გაწმენდა ყველა არასაიმედო, მერყევ და მიტმასნილ ელემენტებისაგან.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია

მიღებული 1933 წლის 12 იანვარს ამხ. რუძუტაკის მოხსენების გამო ეისმონტის, ტოლმაჩევის, ა. პ. სმირნოვის და სხვ. ანტიპარტიული დაჯგუფების შესახებ

I

1. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი აღნიშნავს, რომ ეისმონტი, ტოლმაჩევი, სმირნოვი და სხვ., რომლებიც სიტყვით აცხადებდნენ, რომ ეთანხმებიან პარტიის ხაზს, საქმით აწარმოებდნენ ანტიპარტიულ მუშაობას პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ მიზნით მათ შექმნეს არალეგალური ფრაქციული ჯგუფი, ამასთან ეისმონტი და ტოლმაჩევი აგროვებდნენ თავიანთ მომხრეებს გახრწნილ ელემენტებს შორის, მუშათა მასებისაგან მოწყვეტილ ბურჟუაზიულად გადაგვარებულ ელემენტებს შორის.

2. იმ დროს, როცა პარტია აჯამებს ხუთწლედის უდიდეს გამარჯვებათა შედეგებს, ეს ჯგუფი რიუტინ-სლეპკოვის ანტიპარტიული დაჯგუფების მსგავსად, თავის ამოცანად ისახავდა არსებითად უარის თქმას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკაზე და კაპიტალიზმის, კერძოდ კულაკობის, აღდგენას.

3. ამის გამო საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ადგენს:

ა) მოწონებულ იქნას ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, რომლითაც პარტიიდან გამორიცხულნი არიან ეისმონტი და ტოლმაჩევი, როგორც გახრწნილი და გადაგვარებული ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც ცდილობდენ მოეწყოთ ბრძოლა პარტიის და პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ;

ბ) პარტიის მე-10 ყრილობის რეზოლუციის საფუძველზე, გამორიცხულ იქნას სმირნოვი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან და მიეცეს მას გაფრთხილება, რომ იმ შემთხვევაში თუ იგი მთელი თავისი მუშაობით შემდეგში არ დაიმსახურებს პარტიის ნდობას, გამორიცხული იქნება პარტიიდან.

II

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი აღნიშნავს, რომ ცეკას წევრები ამხ. ტომსკი და რიკოვი და ცეკას წევრობის კანდიდატი ამხ. შმიდტი იმის ნაცვლად, რომ ეწარმოებინათ ნამდვილი და აქტიური ბრძოლა ანტიპარტიული ელემენტების წინააღმდეგ პარტიის გენერალური ხაზისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკული პოლიტიკისათვის, განზე იდგენ ანტიპარტიულ ელემენტებთან ბრძოლისაგან და კავშირიც კი ჰქონდათ სმირნოვთან და ეისმონტთან, რითაც არაპირდაპირ აქეზებდნენ მათ ანტიპარტიულ მუშაობაში, ამასთან მთელი თავიანთი საქციელით ისინი საბაბს აძლევდნენ ყოველგვარ ანტიპარტიულ ელემენტებს ჰქონოდათ იმედი, რომ მათ მხარს დაუჭერენ მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ბელადები.

ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი მოითხოვს ამხ. რიკოვის, ტომსკის და შმიდტისაგან რადიკალურად შესცვალონ თავიანთი ყოფაქცევა ანტიპარტიულ ელემენტებთან ბრძოლის საკითხებში და აფრთხილებს მათ, რომ მათი ეხლანდელი საქციელის გაგრძელების შემთხვევაში, მათ მიმართ გამოყენებული იქნება პარტიული სასჯელის მკაცრი ღონისძიებანი.

წლის, წარმოადგენენ ამ ახალი მრეწველობის პირმშოს.

შეიქმნა **ახალი მარგარინის მრეწველობა** სრულიად ცარიელ ადგილზე. უკვე მუშაობენ ქარხნები, და პირველხარისხოვანი ქარხნები, ტექნიკის და მექანიზაციის პროცესის თვალსაზრისით. 1933 წელს ამუშავდება კიდევ 7 ახალი საწარმო.

თითქმის **ახლად შეიქმნა საკონსერვო მრეწველობა.** ხუთწლედის დასაწყისში ნახევრად კუსტარული ტიპის ყველა 22 ქარხნის სიმძლავრე უდრიდა 130—150 მილიონ ქილა კონსერვს წელიწადში.

მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის ჩვენ გვაქვს 48 საწარმო, რომელთა საწარმოო სიმძლავრე წელიწადში უკვე ერთ მილიარდ ქილას უდრის. 1933 წელს ამუშავდება კიდევ 7 ახალი ქარხანა. მართალია 1933 წლის პროგრამა საკონსერვო მრეწველობის ხაზით მოცემულია შედარებით უფრო ნაკლები — 850 მილიონი ქილა, მაგრამ ეს ხდება იმის გამო, რომ რამდენადმე დაგვიანდება საწარმოების ამუშავება. ბოლო მეორე მხრით — ახალი პროცესების ნელნელა დაუფლება და საკუთარი ნედლეული ბაზის შექმნის ხარისხი არ გვაძლევენ საშუალებას გამოვიყენოთ საკონსერვო საწარმოების მთელი სიმძლავრე.

შემდეგ, შეიქმნა მოუხდელი რძის მრეწველობა, ფრინველის გადამამუშავებელი მრეწველობა საჩქების საწარმოები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ უკანასკნელთა ზრდა, ვინაიდან ისინი გადაიქცევ სახალხო მეურნეობის ახალ მსხვილ დარგად.

კვების მრეწველობის დარგში მიღწეულმა წარმატებებმა შექმნეს მტკიცე საფუძველი ფართო მშრომელთა მასების მომარაგების გაძლიერებისათვის.

სატყეო მრეწველობა

სატყეო მრეწველობამ მთლიანად ვერ შეასრულა პირველი ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში, თუმცა გეგმის შესრულებას ბევრი არ დაკლებია. მიუხედავად ამისა, სატყეო მრეწველობა ამ ოთხი წლის განმავლობაში მეტად დიდი ტემპებით იზრდებოდა, რაც ჩანს, მაგალითად, შემდეგიდან. თუ 1927—28 წელს 100-ად მივიღებთ, მაშინ გამოსაყენებელი მერქანის ხაზით გვექნება 256 პროცენტი, ე. ი. ორნახევარჯერ მეტი, შეშის—218 პროცენტი, სახერხი მასალის წარმოების ხაზით—198 პროც., ფანერის 247 პროც., ე. ი. აგრეთვე ორნახევარ ჯერ მეტი. ეს, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მაინც თვალსაჩინო ტემპებია.

სავსებით აშკარაა, რომ სატყეო მრეწველობის ეს ზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ დიდი ტექნიკური გარდატეხის მეოხებით, რომელიც მოხდა მრეწველობის ამ დარგშიც. დამზადების მექანიზაციის, გამოტანის და ჩამოცურების დარგში სატყეო მრეწველობას აქვს მთელი რიგი მიღწევები. ვიწრო-ლიანდაგიანი გზები ათას ნახევარ კილომეტრის მანძილზე, 450 კილომეტრამდე საბაგირო გზები, 250 შპალსაჭრელი და მრავალი ათეული ხისსაჭრელი დაზგა, ათასამდე ტრაქტორი, რომელიც ტყეში მუშაობს, რამდენიმე ასეული სატვირთო ავტომობილი. ტრანსპორტერი, ძელსაზიდი, მოტორის ნავი და სხვ.—აი, ეს არის სატყეო მრეწველობის შექმნილი ძირითადი ფონდები.

ხის ხერხის დარგში ტექნიკური გარდატეხა გამოიხატა პირველ ყოვლისა იმაში, რომ ჩვენ ვაშენებთ მსხვილ ქარხნებს 6-8 და 12 ჩარჩოსთვისაც კი. სულ ხის დამამუშავებელ საწარმოებში, თუ ავიღებთ ხის გადამამუშავებელ ყველა საწარმოებს, და არა მარტო სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებს, 4 წლის განმავლობაში გვექნება 1000-მდე ჩარჩო.

მეორე ტექნიკური გაუმჯობესება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვიწროდ ალებულ ხის სახერხ ქარხნებიდან გადავედით ქარხანა-კომბინატებზე, რომელნიც შეიცავენ ისეთ საამქროებს, როგორიცაა საყუთე, სამშენებლო დეტალების. სტანდარტული სახლების, ხის მილების, სილოსების საამქროები და სხვ., ე. ი. ისეთ საამქროებს, რომელნიც იყენებენ ნახერხს ხე-ტყის ნარჩენებს, 1930 წელს და განსაკუთრებით 1931 წელს სატყეო მრეწველობამ პირველად იწყო ისეთი პროდუქციის გამოშვება, როგორიცაა სტანდარტული სახლები, სილოსები, 1932 წლიდან—ხის მილები. აი, მაგალითად, ისეთი წარმოების ხაზით, როგორიცაა სამშენებლო დეტალები, პროდუქცია 1932 წელს გაიზარდა 20-ჯერ უფრო მეტად, ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით.

მეტად დიდ გარდატეხას აქვს ადგილი ფანერის მრეწველობაში; აგებულია ახალი ქარხნები — მურომსკის, პოვოლჟიეს და ულუკემსკის ქარხნები. ყველაფერი ეს არასაკმაოდ აკმაყოფილებს სწრაფი ზრდის გზით მიმავალი ჩვენი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას და მაინც **პირველ ხუთწლედში მიღწეულია სატყეო მრეწველობისათვის უმნიშვნელოვანესი ტექნიკური გაუმჯობესებანი.**

ორიოდე სიტყვა ქაღალდის მრეწველობის შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინად განიხილა ქაღალდის საკითხი. ქაღალდის მრეწველობაში ჩამორჩა სამანქანათმშენებლო ბაზა. და ამჟამად ამოცანად უნდა დავისახოთ ქაღალდის მრეწველობისათვის საჭირო უფრო რთული მანქანების წარმოების მოწყობა უახლოეს პერიოდში, რათა საჭირო არ იქნეს იმპორტი. სავსებით ბუნებრივია, რომ აქ ჩვენ უნდა დავუმყაროთ საკუთარ მანქანათმშენებლობას და ეს ამოცანა, როგორადაც არ უნდა იყოს იგი ძნელი, უნდა გადავჭრათ ყოველ მიზეზს გარეშე, ვინაიდან შეუძლებელია შეურიგდეთ ქაღალდის მრეწველობის იმ ჩამორჩენას მოთხოვნილებისაგან, რომელსაც ახლა ადგილი აქვს.

მანქანათმშენებლობა

ამხანაგებო მე შევჩერდები სახალხო მეურნეობის დარგების განხილვის დასასრულს, მანქანათმშენებლობის იმ ნაწილებზე, რომლებიც შედის მრეწველობაში რომელთაც მე არ შევხებივარ მრეწველობის ცალკე დარგების განხილვისას, და შევეცდები გადავშალო მთელი მანქანათმშენებლობის საერთო სურათი.

მანქანათმშენებლობის განვითარება, მისი განვითარების ტემპები, შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ პირველი ხუთწლედის ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ბრწყინვალე შედეგს. დიდი, მძლავრი, სახალხო მეურნეობის ყველა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სამანქანათმშენებლო ბაზის შექმნის პროცესში, ყველაზე მკაფიოდ გამოაშკარავდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესი, პროცესი საბჭოთა კავშირის გადაქცევისა მანქანების და მოწყობილობის შემომტან ქვეყნიდან მანქანების და მოწყობილობის მწარმოებელ ქვეყნად, აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად.

სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში არ გაზრდილა ისე სწრაფად, როგორც მანქანათმშენებლობა. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მანქანათმშენებლობის პროდუქციის გადიდებას 3 ნახევარჯერ; ჩვენ უკვე 1931 წელს, 1927-28 წელთან შედარებით, გადაჭარბებით შევასრულეთ ეს დავალება, ხოლო 1932 წელს გამოშვებულ იქნა 54 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე დავალება მხედველობდა, ე. ი. მეოთხე წელში ჩვენ გამოუშვით 1 ნახ. ჯერ მეტი, ვიდრე ნავარაუდევი იყო ხუთწლედის მეხუთე წლისათვის.

ამ რაოდენობრივ ზრდას თან სდევდა უდიდესი ხარისხობრივი გარდატეხა მანქანათმშენებლობაში.

ამ ხნის განმავლობაში ათვისებულ იქნა მრავალი ახალი სახის პროდუქცია. შეიქმნა წარმოების მთელი ახალი დარგები, ათვისებულ იქნა წარმოების ახალი მეთოდები, გამოუკლებლივ ყველა ქარხნებში გაუმჯობესდა წარმოების ტექნიკა და ორგანიზაცია. ყველა მანქანები, რომლებსაც ახლა ჩვენს ქარხნებში ვამზადებთ. შევიტანეთ ტექნიკური ცვლილებანი და გავაუმჯობესეთ ზრდის და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი სახალხო მეურნეობის მოთხოვნებთან შეფარდებით.

მანქანების ტიპები და კონსტრუქციები ყველაზე უფრო სრულყოფილი მანქანებს. როგორიც კი არის მსოფლიო ტექნიკაში, ხოლო ცალკე შემთხვევებში ისინი აღემატებიან მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკის დონეს.

არ შეუშინდები გამეორებას და ჩამოვთვლი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წარმოებებს, რომლებიც ხელახლა შეიქმნა. ოთხი წლის განმავლობაში შეიქმნა ავტო-სატრაქტორო მრეწველობა, რომელსაც დაემატა რთული სატრაქტორო ინვენტარის, სატრაქტორო წევის სასოფლო - სამეურნეო მანქანების წარმოება, რაც პირველი შემთხვევაა ჩვენს ქვეყანაში. შეიქმნა ავტომშენებლობა. შეიქმნა აეროპლანების და ავიომოტორების წარმოება, რომელიც პირველ ხუთწლედამდე წარმოადგენდა მრეწველობის სუსტად განვითარებულ დარგს. ახლა ჩვენ გვაქვს დიდი მრეწველობა, რომელსაც შეუძლია იკისროს საპასუხისმგებლო დავალებანი.

კომერციული გემთმშენებლობა: რეფრიჟერატორები, ნავთმზიდავები, ხე-ტყის მზიდავები, მძლავრი სამგზავრო საზღვაო გემები და სხ.

შეიქმნა მძლავრი დიზელმშენებლობა, შეიქმნა სამხედრო მანქანათმშენებლობა. რომელიც საშუალებას იძლევა დავამზადოთ თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღები.

შეიქმნა ზუსტი ინდუსტრია, პნევმატიური ინსტრუმენტების წარმოება, პოლიგრაფიული მანქანების წარმოება და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **დაზგათმშენებლობა** აშენდა მსოფლიოში უდიდესი დაზგათმშენებლობის ქარხნები: სარევოლვერო დაზგების ქარხანა მოსკოვში. გორკის საფრეზე დაზგების ქარხანა. ამ ორი გიგანტის აგებით და ყველა ძველი ქარხნების რეკონსტრუქციით შექმნილია ბაზა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა სავსებით განთავისუფლდეს უკვე უახლოეს დროში დაზგების იმპორტისაგან. რეკონსტრუირებულია, მაგალითად ისეთი ქარხნები, როგორიცაა „კრასნი პროლეტარი“ მოსკოვში. რომელიც ფართო მასშტაბით ამზადებს ახალი ტიპის სახარატო დაზგებს; სვერდლოვის სახ. ქარხანა ლენინგრადში, რომელიც ამზადებს სახარატო და სარანდავ დაზგებს. აშენდა ინსტრუმენტების დიდი ქარხნები „კალიბრ“-ი და „ფრეზერ“-ი გადაკეთდა ქარხანა „პნევმატიკ“-ი და სხ.

ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს ამჟამად დიდი სიმძლავრის მანქანათმშენებლობა. აქ უნდა დავუმატოთ კიდევ მანქანათმშენებლობის მთელი რიგ საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ მანქანების დამზადებას და რემონტს და, რომლებიც იმყოფებიან სხვა სახკომატების — გზათა სახ. კომისარიატის წყლის ტრანსპორტის, მსუბუქი მრეწველობის და სხვა სახ. კომისარიატების —გამგებლობაში, ამასთან უკვე 1932 წელს ამ ქარხნებმა გამოუშვეს 800 მილიონი მანეთის პროდუქცია. სავსებით ცხადია, რომ ეს ქარხნები კიდევ უფრო განვითარდებიან. ამრიგად ჩვენ აქ გვაქვს მანქანათმშენებლობის დამატებითი ბაზა, რომელიც დახმარებას უწევს ძირითად მანქანათმშენებლობას.

1933 წელს ამუშავდება კიდევ მანქანათმშენებლობის მთელი რიგი საპირველო გიგანტები. ამუშავდება **ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა**, რომელიც გამოუშვებს პირველ 2.000 ახალ მუხლუხოიან მძლავრ ტრაქტორს. ამუშავდება **ლუგანსკის ორთქლმავლების ქარხანა** რომელიც გამოუშვებს მძლავრ ორთქლმავლებს; **კრამატორსკის მეტალურგიული მოწყობილობის ქარხანა; ურალის მეტალურგიული მოწყობილობის ქარხანა; ხარკოვის ტურბინების ქარხანა** და სხ. და სავსებით ცხადია, რომ მთელი პარტიის და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ამ მშენებლობათა დამთავრება 1933 წელს. მაგრამ ყველაზე უფრო მთავარია მათი ათვისება, რათა რაც შეიძლება მალე ავამოქმედოთ. ამუშავების პერიოდის საყმაწვილო [illegible] რაც შეიძლება დაჩქარდეს ამ გიგანტების დაუფლება. 1933 წელს მანქანათმშენებლობა რომელიც სამსახურს გაუწევს რა თქმა უნდა. პირველ რიგში მეტალურგიას, ქვანახშირის და ნავთის მრეწველობას და ტრანსპორტს. ამავე დროს მიზნად ისახავს წინ წაწევის მანქანათმშენებლობის ის დარგები რომლებიც უზრუნველჰყოფენ მსუბუქ მრეწველობას და აგრეთვე ლითონის ნაწარმის გამოშვებას ფართო მოხმარებისათვის. ამ მიმართულებით ადგილი იქნება დიდ ზრდას. თუ 1932 წელს გამოშვებული იქნა 370 მილიონი მანეთის ლითონის ნაწარმი. ფართო მოხმარებისათვის. 1933 წლის გამოშვებული იქნება 580 მილიონი მანეთის. მანქანათმშენებლობა საერთოდ უფრო ძლიერი ტემპებით იზრდება ვიდრე მთელი მრეწველობა. თუ საერთო საშუალო ზრდა მრეწველობისათვის განიზომება 16.5 პროცენტით 1933 წლის გეგმაში, მანქანათმშენებლობა იზრდება 22 პროცენტით.

სავსებით ცხადია. რომ მანქანათმშენებლობის განვითარების და კერძოდ, 1933 წლის პროგრამის შესრულების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს მისი მომარაგება ლითონით. ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხრით მდგომარეობა დაძაბულია. ავიღოთ ასეთი ცნობები. 1928 წელთან შედარებით, თუჯის რესურსები. რომლებიც ხმარდება სახალხო მეურნეობას, გაიზარდა 90 პროცენტით, დატკეცილი შავი ლითონის რესურსები კი — 143 პროცენტით. ამავე დროს მანქანათმშენებლობა გაიზარდა 4,5 ჯერ. სავსებით ცხადია, რომ აქ ადგილი აქვს დიდ სიმწვავეს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც ენიჭება პარტიის დავალებათა შესრულებას შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარების ხაზით. აი ამიტომ არის გამახვილებული ყურადღება 1933 წლის გეგმაში დატკეცილი ლითონის საკითხზე. აი ამიტომ უნდა შესრულდეს მანქანათმშენებლობის ხაზით 1933 წლის გეგმის დავალება ლითონის ხარჯვის ნორმების 10 პროცენტით შესრულების შესახებ.

იმ უდიდესი მშენებლობას, რომელიც სწარმოებს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, არ შეუძლია არ დასვას ჩვენს წინაშე **მშენებლობის მექანიზაციის** ამოცანა.

ამ დარგში უკვე მოხდა ერთგვარი გარდატეხა — გვაქვს მრავალი მანქანა და საამშენებლო მექანიზმები. მშენებლობის პროცესები უმჯობესდება და იცვლება, იზრდება უფრო შრომის ტევად პროცესების მექანიზაცია მშენებლობაში, უმჯობესდება დაპროექტების საქმე, მშენებლობათა ტიპის შერჩევის საქმე, და ჩვენ მეორე ხუთწლედში შევდივართ უკვე საამშენებლო ინდუსტრიით, რომელიც საგრძნობლად გადახალისდა საამშენებლო საქმის ტექნიკის მხრით.

რა თქმა უნდა, არც აქ გვაკმაყოფილებს წარმატებანი, გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში. ჩვენ უკვე გვაქვს საამშენებლო ინდუსტრია რაც სრულიად არ ყოფილა პირველი ხუთწლედის დასაწყისში.

მე გადავდივარ ამხანაგებო, სოფლის მეურნეობაზე.

სოფლის მეურნეობა

აქ უკვე ითქვა სოფლის მეურნეობის სოციალურ - ტექნიკური რეკონსტრუქციის შესახებ. კოლექტივიზაციის ზრდამ; დიდმა ზრდამ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, რომლებიც 1933 წელს უკვე მოიცავენ კოლმეურნეობათა ფართობის 60 პროცენტს. მანქანებით მომარაგებამ, ტრაქტორების პარკის გადიდებამ, ყველა ამ ღონისძიებებმა შეცვალეს სოფლის სახე, გადააქციეს იგი საკოლმეურნეო სოფლად, სადაც გაბატონებულია სოციალიზმის ელემენტები.

რა მოხდა ტექნიკის დარგში სოფლად?

უპირველეს ყოვლისა სატრაქტორო პარკის შესახებ. 1928 წელს მექანიკური გამწევი ძალის პროცენტი სოფლის მეურნეობაში შეადგენდა მხოლოდ 1,6 პროც. 1932 წელს—13,7 პროცენტს. მექანიკური გამწევი ძალის ოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა მარცვლეულ კულტურების ძირითად რაიონებში და ტექნიკურ კულტურების რაიონებში.

ასე, მაგალითად ჩრდილოეთ კავკასიაში 1928 წელს გვქონდა მექანიკური გამწევი ძალა 3,7 პროცენტი. 1932 წელს უკვე 21 პროცენტი, შუა აზიაში—0,2 პროცენტი და 21.8 პროცენტი. ასეთივე საგრძნობი ზრდაა ციმბირში. უკრაინის ს.ს. რესპუბლიკაში მექანიკური ძალის ხვედრითი წონა გაიზარდა 2 პროცენტიდან 14 პროცენტამდე. ჩვენ მივეცით სოფელს 1.600 მილიონ მანეთის ინვენტარი, აქედან 43 პროცენტს შეადგენს მექანიკური გამწევი ძალის ინვენტარი. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოების ოდენობა 1932 წელში თითქმის 3.5 ჯერ აღემატება 1928 წლის წარმოებას, ამასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა მექანიკური გამწევი ძალის რთული ინვენტარის ხვედრითი წონა. აი ფაქტი, რომელიც ახასიათებს საფუძვლიან ცვლილებას სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებაში.

ხუთწლედის დამდეგს საბჭოთა კავშირში გლეხურ მეურნეობათა 27 პროცენტს არ ყავდა მუშა-საქონელი, არ ქონდა სასოფლო სამეურნეო ინვენტარი, ხოლო 47 პროცენტს ჰქონდა მხოლოდ სახნავი ინვენტარი. მაშასადამე გლეხების 74 პროცენტს ან სრულიად არ ჰქონდა ინვენტარი, ან ჰქონდა მხოლოდ სახნავი ინვენტარი, ხოლო 27 პროცენტს აქედან არ ყავდა მუშასაქონელიც კი. პირველი ხუთწლედის დამლევისათვის მთელი გლეხური მეურნეობების 25 პროც., რომელიც შედის კოლმეურნეობებში, ემსახურება სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, ეს კოლმეურნეობანი უკვე შეიარაღებულია მექანიკური გამწევი ძალის მანქანების სისტემით. აქ არის როგორც სახნავი, ისე სათესი, ისე მათოხი, ისე ამკრეფი და სალეწი ინვენტარი და სხვ.

რთულ მანქანათა მთელი სისტემა აქვს უკვე მთელ გლეხურ მეურნეობათა 25 პროცენტს.

80 პროცენტზე მეტი, რომლებიც შედიან დანარჩენ კოლმეურნეობებში სარგებლობს ცხენით სამუშაო სასოფლო-სამ. მანქანა-იარაღების ჯგუფით, არა ერთი რომელიმე სათესი ინსტრუმენტით, არამედ **ცხენით სამუშაო მანქანების ჯგუფით.**

1928 წელს კავით, ამ პრიმიტიული იარაღით მოიხნა საგაზაფხულო ნათესების ერთ მეათედამდე. ხელით თესვა სწარმოებდა საგაზაფხულო ნათესების სამ მეოთხედ ნაწილზე ნამგლითა და ცელით აღებულ იქნა მთელი ასაღები ფართობის მესამედზე მეტი. ხელით გალეწილი იქნა მთელი მოსავლის 40 პროცენტი. ეს იყო 1928 წელს.

ხუთწლედის განმავლობაში სოფლის მეურნეობისათვის სახ.-სამ. ინვენტარის საგრძნობი რაოდენობით მიწოდება საშუალებას გვაძლევს მომავალ 1933 წელს, ამავე დროს სოფლის მეურნეობის განკარგულებაში მყოფ და შესაძლებელ გათვალისწინებულ ინვენტარის, მანქანების და იარაღის რაციონალურად გამოყენების პირობებში, — ტრაქტორებით მოხვნით საგაზაფხულო კულტურებისათვის გამოყოფილი ფართობის თითქმის ერთი მესამედი, საგაზაფხულო კულტურები თითქმის მთლიანად დავთესოთ სათესი მანქანებით, მოსავლის სამი მეოთხედი ავიღოთ ცხენით სამუშაო მანქანებით, ერთ-მეექვსედამდე ტრაქტორზე მიბმული მანქანებით და კომბაინებით, მარცვლეული კულტურები მთლიანად გავლეწოთ ცხენით სამუშაო და ტრაქტორზე მიბმული სალეწი მანქანებით.

1928 წელს მოსავლის 40 პროცენტი ილეწებოდა ხელით, 1933 წელს ჩვენ საშუალება გვექნება მარცვლეული კულტურების მოსავალი მთლიანად სალეწი მანქანებით გავლეწოთ.

პირველი ხუთწლედის დამდეგს ჩვენ არ ვიცნობდით ტექნიკურ კულტურების ასაღებ მანქანებს.

ფართოდ გაშლილმა გამომგონებლობამ, საზღვარგარეთის ტექნიკის ნიმუშების გამოყენებამ უზრუნველყო ტექნიკური კულტურების: ბამბა, სელი, ჭარხალი. მზესუმზირა და სხვ. სათესი ფართობის საგრძნობი ნაწილის მექანიზაციის შესაძლებლობა.

ფართო პირიანი სელის საწეწი მანქანები, ტურბან-ვაკუუმები და სლედინგები ბამბისათვის, შაქრის ჭარხლის კომბაინები, სიმინდის ამკრეფი მანქანები და სხვა რთული მანქანები საგრძნობლად ადვილებენ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მუშათა შრომას. საგრძნობლად ამცირებენ მოთხოვნილებას მუშა-ხელზე. თუ ხუთწლედის დამდეგისათვის ასეთი მანქანები ტექნიკურ კულტურებისათვის ჩვენ სოფლად უმნიშვნელო თანხის—600 ათასი მანეთის ღირებულების მოგვეპოვებოდა მთელ სოფლის მეურნეობაში, ხუთწლედის დამლევისათვის 1932 წელს ამ ინვენტარის ღირებულება 44 მილიონამდე გაიზარდა.

რასაკვირველია, ამხანაგებო, ეს მხოლოდ დასაწყისია. უკვე 1933 წელი შეიტანს ამ საქმეში საგრძნობ ცვლილებას იმ ტომ, რომ მანქანების უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობისათვის დამზადდება სატრაქტორო წევის მანქანების სახით. მათი საგრძნობი ნაწილი დამზადდება ტექნიკური კულტურებისათვის. მაგრამ საფუძველი უკვე ჩაყრილია, ძალიან ძნელ სამუშაოში; ტექნიკური კულტურების გამარგვლის და მოთხევლის აღების დროს დავადექით მექანიზაციის გზას და მექანიზაციის ეს პროცესი წავა სწრაფი ტემპებით.

სათესი ფართობი ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა 21 მილ. ჰექტარით, ამასთან განსაკუთრებით სწრაფად გადიდდა ტექნიკური კულტურები—75 პროცენტით, 1928 წელთან შედარებით.

აი ის ტექნიკური გარდატეხანი და წარმატებანი, რომლებიც ჩვენ გვაქვს სოფლის მეურნეობაში. სავსებით ცხადია, რომ მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნის საქმეში მიღწეულ წარმატებებს არ შეეძლო არ გამოეწვია კულაკური ელემენტების, თეთრგვარდიელების გაკულაკებულ და ქალაქიდან განდევნილ კაპიტალისტური ელემენტების და სხვ. სასტიკი წინააღმდეგობა. აშკარა ბრძოლის მეთოდებიდან კულაკობა დაადგა საბოტაჟის, მანქანების და საკოლმეურნეო ქონების გაფუჭების, კოლმეურნეობის შიგნიდან დანგრევის, შრომის დისციპლინის შერყევის და სხვ. გზას.

სავსებით ცხადია, რომ სოფლის მეურნეობის ტექნიკურად ხელახალი შეიარაღების პროცესს არ შეეძლებოდა დიდი გაბოროტებით არ შეხვედროდა კულაკობა და კაპიტალისტური ელემენტები. და სავსებით ცხადია ისიც, რომ ტექნიკის შემდგომი დანერგვის პროცესი, სოფლის მეურნეობის შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესი გამოიწვევს სულ უფრო და უფრო მეტ საბოტაჟს, წინააღმდეგობას და მავნებლობას ყველა აღნიშნულ ელემენტების მხრით, ისე როგორც იმ კოლმეურნეების მხრით, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან წვრილმესაკუთრეობრივი ჩვევებისაგან, რასაც აღვივებენ კულაკი და სპეკულიანტურ - კაპიტალისტური ელემენტები.

ამიტომ შემდეგში სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პროცესების სწრაფად გატარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, ადგილებზე მათი ხელმძღვანელობის საგრძნობლად გაუმჯობესება და ის, რომ არ იქნას დაშვებული კოლმეურნეობების ხელში ჩაგდება ჩვენდამი მტრულად განწყობილ ჯგუფების მიერ, რომლებიც ცდილობენ გადააქციონ კოლმეურნეობანი ჩვენთვის უცხო ორგანიზაციებად.

მაშინ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და მისი რეკონსტრუქციის პროცესი, რასაკვირველია წავა უფრო სწრაფი ტემპებით. სხვათა შორის, კულაკობის წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამწვავებული იყო მეცხოველეობის ფრონტზე. სავსებით ცხადია, რომ ჯოგის შემცირება ზოგიერთ რაიონებში სხვადასხვა სახის პირუტყვის მიხედვით, წარმოადგენს სხვას არაფერს თუ არა სოფლად წარმოშობილ ამ გაძლიერებული კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ შედეგს.

ჩვენ არა გვაქვს მაინც და მაინც კარგი მდგომარეობა მეცხოველეობის დარგში. მართალია, აქ აღნიშნულ უნდა იქნას ის დადებითი მხარე, რომ განსაზოგადოებული მეცხოველეობა იზრდება უმაღლესი ტემპებით. მეცხოველეობის განსაზოგადოების დარგში ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს.

მაგრამ ჯოგის საერთო რაოდენობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მართალია, უკვე 1931 წელმა მოგვცა მეღორეობის ხაზით ძლიერი გარდატეხის დაწყების ნიშნები. 1932 წლის საგაზაფხულო აღრიცხვამ გვიჩვენა ღორების რაოდენობის შემდგომი ზრდა სასაქონლო წარმოების ძირითად რაიონებში. მაგალითად, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში 1932 წელს, 1931 წელთან შედარებით, ადგილი აქვს ღორების რაოდენობის ზრდას 40 პროცენტით, ჩრდილოეთ კავკასიაში—30 პროც., შუა ვოლგის მხარეში—40 პროცენტით და სხვა.

1932 წლის მეორე ნახევარი გვიჩვენებს, რომ დაიწყო გარდატეხა ჯოგის ზრდის საქმეში პირუტყვის ყველა დანარჩენ სახეების მიხედვითაც. ამას განსაკუთრებით ნათლად მოწმობენ ცნობები ტყავის დამზადების შესახებ. ეს ცნობები, თუმცა ისინი არაა ხელსაყრელი ტყავის დამზადების საქმისათვის, მაგრამ მაინც მოწმობენ, რომ ამ უკანასკნელ დროს დაიწყო პირუტყვის გაწყვეტის საგრძნობი შემცირება.

ეს, რასაკვირველია, წარმოადგენს პარტიისა და მთავრობის მიერ სახელმწიფო პროდუქციის ჩაბარების ახალი წესების (გადასახადის) შემოღების შესახებ მიღებულ უკანასკნელ გადაწყვეტილებათა შედეგს, იმ ორგანიზაციული ღონისძიებების შედეგს, რომლებიც მიღებულ იქნა კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცებისათვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მძლავრი სასაქონლო ფერმების შექმნა მეცხოველეობის დარგში. ამ ახალმა ფორმამ, რომელიც სულ ორი-სამი წელიწადია რაც ტარდება, გვიჩვენა, რომ მეცხოველეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება იწარმოებს სწრაფად ამ ორი ფორმით, ერთის მხრით— საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმები და მეორეს მხრით — მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები.

იზრდება საქონლიანობა. მე არ მოვიყვან შესაფერ ციფრებს, მაგრამ საკოლმეურნეო ფერმებშიაც და საბჭოთა მეურნეობებშიაც ჩვენ ვხედავთ საქონლიანობის საგრძნობ სისტემატიურ ზრდას. ხოლო დაბალი საქონლიანობა, როგორც სავსებით სწორად აღნიშნა ამხ. სტალინმა არის ჩვენი მეცხოველეობის ჩამორჩენის მაჩვენებელი. საკოლმეურნეო მეცხოველეობის საქონლიანობა იწყებს საგრძნობ ზრდას.

ამხანაგებო, კოლმეურნეობათა ორგანიზაციული განმტკიცების დარგში პარტიული ორგანიზაციების მუშაობისაგან, საერთოდ პარტიის მუშაობისაგან და საბჭოთა მეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებისაგან დამოკიდებულია ყველა იმ უდიდესი ტექნიკური საშუალებათა გამოყენება, რომლებსაც აძლევს სოციალისტური ინდუსტრია სოფლის მეურნეობას. სავსებით ნათელია, რომ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცება, რომელიც პარტიის მიერ დასახულია ეხლა, როგორც ყველაზე უფრო საბრძოლო პოლიტიკური ამოცანა, მიღწეულ იქნება და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გაძლიერების და კოლმეურნეობებიდან ყველა ჩვენდამი მტრულად განწყობილ ელემენტების განდევნის საფუძველზე, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სულ უფრო მეტად შეითვისებენ იმ ახალ ტექნიკურ ბაზას, რომელსაც უმზადებს მას ზრდისა და განვითარების პროცესში მყოფი მრეწველობა.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

რკინის გზის ტრანსპორტის მიერ ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა შეადგენს 791 მილიარდ ტონა კილომეტრს, რაც ხუთი წლის გეგმას 11,2 პროც. აღემატება. ვაგონების სადღე-ღამისო დატვირთვის რაოდენობა 40 ათასი ვაგონის ნაცვლად 4 წლის განმავლობაში საშუალოდ აღწევს 46 ათას ვაგონს დღე-ღამეში ე. ი. აქ ჩვენ გვაქვს ტრანსპორტის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულება.

ფაქტიური ასიგნობები ტრანსპორტის კაპიტალურ მშენებლობაში შეადგენს 6.700 მილ. მანეთს, ე. ი. აქაც გეგმით გათვალისწინებულ ციფრს გადავაჭარბეთ 1.811 მილ. მანეთით. დიდი ტვირთის დამტევი საქონლის ვაგონების შემადგენლობის რიცხვი 45 ათასი ცალით გაიზარდა, გაიზარდა აგრეთვე ღია მოძრავი შემადგენლობა. დიდი ტვირთის დამტევი საქონლის ვაგონები და ღია მოძრავი შემადგენლობა ხუთწლედის მეოთხე წლის დამლევს უდრის საქონლის ვაგონების საერთო რიცხვის 42 პროცენტს.

ავტო დამუხრუჭებით მოწყობილია ვაგონების საერთო რაოდენობის 11 პროც. აქ ჩვენ ვხედავთ ხუთწლედის გეგმის არა მთლიანად შესრულებას ამ მაჩვენებლების მიხედვით, ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ამ ელემენტების მიხედვით.

რკინის გზის ტრანსპორტის ტექნიკური ბაზა აქამდის დაბალ დონეზეა და ტრანსპორტი კვლავ ვიწრო ადგილად რჩება სახალხო მეურნეობაში. ამიტომ ტრანსპორტისათვის მეტი ყურადღების მიქცევა, ტრანსპორტზე რეკონსტრუქციის ჩატარება 1933 წლ. და საერთოდ მთელი მეორე ხუთწლედის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს.

მაგრამ მიუხედავად ამისა რკინის გზის ტრანსპორტი მეორე ხუთწლედში შედის რეკონსტრუქციის თვალსაჩინო ელემენტებით. პირველი ხუთწლედის დასაწყისთან შედარებით საქონლის მატარებლების წევის საერთო ძალა 20 პროც. გაიზარდა, საქონლის ვაგონების საერთო ტონაჟი გაიზარდა 25 პროც., მძლავრ სატვირთო ორთქლმავლების პროცენტი—30-დან 42 პროცენტამდე გაიზარდა. პირველად გამოჩნდა, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, ელექტრო-წევის მატარებლები. სწარმოებს ცდები თბომავლების წევის შემოღებისათვის და 1933 წლის პროგრამაში შეტანილია თბომავლების დამზადება.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მოხდა ცვლილებები სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის დარგში. ჩვენ უკვე დავამზადეთ მაგისტრალური ელექტრომავლები, თბომავლები, ლუგანსკის ქარხანაში ჩვენ დავამზადეთ მძლავრი ორთქლმავალი ფდ (ფელიქს ძერჟინსკის სახელობისა), კოლომენსკის ქარხანაში — ზემძლავრი ორთქლმავალი ის (იოს. სტალინის სახელობისა), დავამზადეთ ხოპერები, ორ და ოთხღერძიანი ვაგონები, იზოთერმიული ვაგონები, ცისტერნები, გონდოლები, ახალი მოწყობილობა ავტო გადაბმისათვის, ავტობლოკირებისათვის და სხვ.

1933 წლის გეგმაში სატრანსპორტო მანქანათმშენებლობას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მას დიდი ყურადღება ექცევა როგორც მანქანათმშენებლობის ქარხნების აგების დარგში, ისე მასალებით, ლითონის ნამტვრევებით და სხვა მომარაგების დარგში.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა **ავიაციის** შესახებ. ავიაციის დარგში ჩვენ უკვე შევქმენით კონკურენცია გაუწიოთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ჩვენ დავეუფლეთ საჰაერო გიგანტების აგების ხელოვნებას. ვამზადებთ 700 ძალიანი ავიომოტორები საჰაერო და წყლის მაცივებლებით. გვაქვს მაღალ ხარისხოვანი საკონტროლო, საპილოტო და ავიონავიგაციის ხელსაწყოები, თვითმფრინავების და აეროდრომების სინათლის მოწყობილობანი და სხვა. ჩვენი ავიომოტორები სიზუსტით, სიმძლავრით და გამძლეობით უცხოეთის მოწინავე მიღწევების დონეზე დგანან.

საჰაერო ხაზების ქსელი აღწევს 48 ათ. კილომეტრს. 1933 წელს ჩვენ უნდა ჩავატაროთ ფრენა 12 მილ. კილომეტრზე, უნდა გადავიყვანოთ 56 ათასი მგზავრი და გადავზიდოთ 1.800 ტონა ფოსტა, 759 ტონა ტვირთი და სხვ. ჰაეროფოტოგადაღებამ უნდა აითვისოს კვადრატიულ მეტრების უდიდესი რაოდენობა—180 ათასი კვ. მეტრი. სასოფლო სამეურნეო და სატყეო ავიაცია, რომელიც აწარმოებს მავნებლებთან ბრძოლას, ხანძრების ჩაქრობას და ავითესვას, 1933 წელს თითქმის ერთი ორად უნდა გაიზარდოს. 1933 წელს თვალსაჩინოდ გაიზრდება ავიაციის მიერ ჰიდროგრაფიულ სამუშაოთა და პრაქტიკულ ექსპედიციების მომსახურება.

კავშირგაბმულობის დარგში საგრძნობი მიღწევები გვაქვს და მთელ რიგ მაჩვენებლების მიხედვით კავშირგაბმულობამ გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა.

ასე, მაგალითად, ქალაქთაშორისო სატელეგრაფო - სატელეფონო კავშირის ხაზების სიგრძის ზრდის გეგმა ითვალისწინებდა 180 ათას კილომეტრს, ფაქტიურად გაყვანილ იქნა 583 ათასი კილომეტრი — თითქმის 3-ჯერ მეტი.

საფოსტო კავშირის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ საფოსტო საწარმოთა ქსელი, მათ შორის სოფლად, გაიზარდა 14 ათასი ერთეულიდან 48 ათას ერთეულამდე, ე. ი. აგრეთვე 3-ჯერ.

ვითარდება რადიო, რადიო - სატელეფონო - სატელეგრაფო კავშირი. მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, რომ რადიოფიკაციის დარგში ჩვენ საგრძნობლად მივიწიეთ წინ და უკვე არ ჩამოუვარდებით ბევრ ქვეყანას, ხოლო აგრეგატი რომელიც დამზადდება 1933 წელს, ჩვენ დაგვაყენებს ერთ-ერთ პირველ ადგილზე მსოფლიოში.

ავტომატიური ტელეფონის დარგში: 1929 წელს იყო 6 ათასი ნომერი, ახლა უკვე არის 110 ათასი. ჩვენ უკვე გვაქვს საკუთარი სისტემის სატელეგრაფო აპარატები, რომელნიც არ ჩამოუვარდებიან საზღვარგარეთულს, ეწყობა მრავალგზობითი და ერთდროული სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირის გამშისათვის საჭირო აპარატურის წარმოება, და ეს აპარატურა ფართოდ ვრცელდება. ბოლოს, თუ რევოლუციამდე კავშირგაბმულობა მოწყობილობის მხრივ სავსებით დამოკიდებული იყო საზღვარგარეთისაგან, ამჟამად აპარატურის მხრივ სავსებით თავისუფალი ვართ უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან.

ახალი საწარმოების, ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, მუშაობის ხარისხისათვის

ამხანაგებო, მე შევეცადე გადამეშალა თქვენს წინაშე, თუ რაში გამოიხატა ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია ყველა ძირითადი დარგების ხაზით. ერთხელ კიდევ ვიმეორებ; რომ ეს, რათქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ჩვენი მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისათვის წარმოებული მუშაობის გრანდიოზულ გაქანებას, მთელ ამ კოლოსალურ მუშაობას, რომელიც ჩატარდა, მთლიანად ვერავითარი მოხსენება ვერ გადმოსცემს: იმდენად დიდია იგი. ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი დარგი, არც ერთი საწარმო, არც ერთი კუთხე, რომელიმე საწარმოში, სადაც არ ხდებოდეს პროცესები რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს დადგომასთან მოწინავე ტექნიკურ - ეკონომიურ პოზიციებზე.

აქ ადგილი აქვს დიდ ძვრებსაც რადიკალურ ცვლილებებსაც, მოლეკულიარულ პროცესებსაც, რომლებიც ზოგჯერ შეუმჩნეველია, მაგრამ მაინც განიცდიან იმ მტკიცე მისწრაფებას გამარჯვებისაკენ, იმ გრანდიოზულ გარდატეხას ხელახალი ტექნიკური შეიარაღების საქმეში, რომელიც დაიწყო პირველ ხუთწლედში და, რომელმაც ახლა განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ყველაფერი ის, რაც ხდებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, თვითეულ საწარმოში, საუკეთესოდ ახასიათებს იმ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მდგომარეობას, რომელსაც ადგილი აქვს ტექნიკის მხრით ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში. თუ ჩვენში ადგილი ჰქონდა არაჩვეულებრივ ენტუზიაზმს სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისათვის ბრძოლაში, თუ ჩვენში ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ლოზუნგის საფუძველზე ყველგან ვითარდებოდა ბრძოლა ტექნიკის დაუფლებისათვის, აქ სხვა მდგომარეობაა. „ძირს - კრულ ტექნიკას“ — აი ძახილი, რომელიც ისმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელნიც გაიხლართნენ თანამედროვე კრიზისის მწვავე წინააღმდეგობებში.

მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის ბაზის შექმნის შემდეგ, მთელ სახალხო მეურნეობაში გაშლილი დიდი კაპიტალური მშენებლობის პერიოდის შემდეგ, ჩვენი მთავარი ამოცანაა აშენებულის ათვისება. ახლად შექმნილი და რეკონსტრუირებული მძლავრი საწარმოების ათვისების ამოცანა წარმოადგენს ძნელ ამოცანას.

რას ნიშნავს ათვისო საწარმო? ეს ნიშნავს აითვისო ყველა ტექნოლოგიური პროცესები. ეს ნიშნავს სწორად მოაწყო შრომა, ეს ნიშნავს გამოუშვა ამა თუ იმ საწარმოში უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, რომელიც შეეფერება ტექნიკის მიღწეულ დონეს. ეს ნიშნავს დააკომპლექტო აღებული საწარმო სათანადო ტექნიკური პერსონალის სათანადო კადრებით, ეს ნიშნავს დააკომპლექტო საწარმო კვალიფიციური მუშა - ხელის სათანადო კადრებით ეს ნიშნავს ასწიო შრომის ნაყოფიერება აღდგმულ ახალ აგრეგატებთან და მანქანებთან შეფარდებით, ეს ნიშნავს შეამცირო თვითღირებულება.

საწარმოთა ათვისების პროცესი რთული, მრავალმხრივი პროცესია. შეიძლება მიაღწიოთ მუშაობა კონვეიერზე. შეიძლება მიაღწიოთ იმას, რომ კონვეიერი პროგრამით მოძრაობდეს, მაგრამ თუ კონვეიერიდან მოხსნიან აგრეგატებს, რომელნიც ცუდი აღმოჩნდენ ამა თუ იმ ნაწილის ცუდი ხარისხის გამო, სავსებით აშკარაა რომ ეს არ არის ათვისება.

საწარმოს ეს სრული დაუფლება წარმოადგენს დიდ სიძნელეს, რომელიც მოითხოვს მთელი ნებისყოფის და ძალღონის მობილიზაციას. ორგანიზაციული ნიჭს. ეს ათვისება უნდა შეადგენდეს როგორც 1933 წლის, ისე უახლოესი წლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას. თვითეულმა ჩვენგანმა იცის რომ ამჟამად არ არის დამაკმაყოფილებელი ქარხნების ათვისება. მაგალითად, მეტალურგიის დარგში განა შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბრძმედები, რომლებიც შენდება ძველ ქარხნებში, სადაც იცნობენ მეტალურგიულ პროცესს, სადაც არის მეტალურგთა კადრები, რომ ეს ბრძმედები ათვისებულია. თუ ისინი მუშაობენ გაცილებით უფრო დაბალი კოეფიციენტით, ვიდრე, მაგალითად გერმანიის ქარხნების ბრძმედები. ტექნიკურად უფრო ჩამორჩენილი ბრძმედები?

ნიშნავს, თუ არა, რომ ათვისებულია ამა თუ იმ მარტენის წარმოება. თუ თვითღირებულება დიდია, თუ წუნი დიდია, თუ მარტენის გამოყენების კოეფიციენტი ძალზე დაბალია? ნიშნავს თუ არა, რომ ათვისებულია მანქანათმშენებლობის ესა თუ ის ქარხანა. როცა მას აქვს წუნი დიდი რაოდენობით, როცა იგი შეფერხებით უშვებს პროდუქციას, როცა იგი კარგი მოტორების და სიტების წარმატებასთან ერთად ვერ ახერხებს ძარების სათანადოთ დამზადებას და სხ.

სავსებით ცხადია, რომ ეს არ ნიშნავს ქარხნის ათვისებას. ქარხნის სრული ათვისების ეს ხანგრძლივი პროცესი ამ ქარხნის მიერ დაპროექტებულ ყველა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულება, შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულებისა და პროდუქციის ხარისხის (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) მაჩვენებლების შესრულება წარმოადგენს **1933 წლის და ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.**

სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკის ათვისება მოასწავებს მოსავლიანობის აუცილებლად გადიდებას. უნდა დავეუფლოთ მთელ იმ უზარმაზარ ტექნიკას, რომლითაც პროლეტარული სახელმწიფო აიარაღებს სოფლის მეურნეობას.

ახალ ძირითად ფონდების [illegible] ამოცანასთან მჭიდროდ [illegible] ბული კადრების მომზადების [illegible] ახალი ქარხნების ახალი [illegible] ხება მთელი სიგრძე - სიგანით აყენებს ისეთი კადრების (ინჟინრების, ტექნიკოსების, კვალიფიციური მუშების) მომზადების ამოცანას, რომლებიც სდგანან უახლესი ტექნიკის მოთხოვნების დონეზე.

1933 წლის გეგმა ითვალისწინებს საგრძნობ დაგროვებას მრეწველობაში. მრეწველობამ უნდა დააგროვოს ორი მილიარდი მანეთი. ამ ორი მილიარდი მანეთიდან ერთი მილიარდი მოდის მძიმე ინდუსტრიაზე; სავსებით ცხადია, რომ ამ ორი მილიარდის დაგროვებას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ მთლიანად შევასრულებთ იმ დავალებებს თვითღირებულების შემცირების ხაზით, რომლებიც მოცემულია 1933 წლის გეგმაში.

თვითღირებულება უნდა შემცირდეს: მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 5 პროც., მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით —3 პროც., მომარაგების სახკომისარიატს — 4 პროც., სატყეო მრეწველობის სახკომისარიატის — 1—2 პროც. აი ის დავალებანი, რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს: მძიმე მრეწველობის სახკომისარიატის ხაზით — 16.5 პროც., მსუბუქი მრეწველობის სახკომისარიატის ხაზით — 12 პროც. მომარაგების სახკომისარიატის — 14.6 პროც., სატყეო მრეწველობის სახკომისარიატის — 18 პროც., აი ის საბრძოლო დავალებანი, რომელთა განსახორციელებლად ეხლავე დაუყონებლივ, წლის დაწყებიდანვე უნდა იქნეს მიღებული ზომები.

მშენებლობისათვის ჩვენ უნდა მივაღწიოთ შემდეგ ხარისხობრივ მაჩვენებლებს: თვითღირებულების შემცირება 15 პროც., შრომის ნაყოფიერების გადიდება 25 პროც.

ტრანსპორტისათვის ასეთი ხარისხობრივი მაჩვენებლებია: დღიური დატვირთვის აყვანა 58 ათას ვაგონამდე, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო მეურნეობა განსაზღვრულ პერიოდებსა და სეზონებში შეხვდება სიძნელეებს, როგორც ამას ადგილი ქონდა 1931 წელს, და ნაწილობრივ 1932 წელს.

სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულ უნდა იქნას მოსავლიანობის ის მაჩვენებლები, რომლებიც აღნიშნულია სახკომსაბჭოს შესაფერ დადგენილებაში. ამ მიზნით უნდა გაუმჯობესდეს მიწის დამუშავება, თავის დროზე უნდა ჩატარდეს თესვა, გამარგვლა და ტექნიკური კულტურების მოსავლის აღება, თავის დროზე უნდა ჩატარდეს მარცვლეულ კულტურების მოსავლის აღება და სხვა. უნდა გაძლიერდეს ბრძოლა პურის დანაკარგებთან, პურის ქურდობასთან და განიავებასთან. ეს საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ერთ ჰექტარზე მოსავლიანობის გადიდების დაპროექტებული პროცენტი.

1933 წელი წარმოადგენს ისეთ წელს, როცა ჩვენ ძირითად ამოცანად ვისახავთ იმის ათვისებას, რაც ჩვენ ავაშენეთ. და, როგორადაც არ უნდა ამტკიცებდნენ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ი, ტროცკი და სხვა ჩვენი მტრები, რომ 1933 წელი არ შეიძლება ჩაითვალოს მეორე ხუთწლედის დაწყების წელიწადად. ჩვენ დამშვიდებით ვეპყრობით ამ მტკიცებას, ვინაიდან ვიცით, რომ მათ არ შესწევთ უნარი გაიგონ ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც სდგანან ჩვენს წინაშე სწორ-ედ ამ 1933 წელს. **1933 წელი არის მეორე ხუთწლედის წელი,** მას აქვს ამ მეორე ხუთწლედის ყველა დამახასიათებელი თვისებები.

მენშევიკებს, ტროცკის და ცხოვრ-ის მიერ გარიყულ სხვა ელემენტებს არ შესწევთ უნარი გაიგონ თუ რა გრანდიოზული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, მათ შესწევთ მხოლოდ გამცემლობის და სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი. მათ დიდი ხანია გაწყვიტეს ყოველივე კავშირი მუშათა კლასთან. საიდან შეუძლიათ მათ გაიგონ, რომ ჩვენი მშენებლობის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის მიმდინარეობა არის ყველაზე უფრო სასიხარულო, ყველაზე უფრო წმინდა, რაც კი მოიპოვება ყველა ქვეყნის პროლეტარების გულში.

მუშათა კლასის აქტივობის შემდგომი ზრდის საფუძველზე, სხვა ქვეყნების მუშების დახმარებით, ჩვენ ვიბრძოლეთ ჩვენი აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ, ამოვფხვრავთ ყოველგვარ ოპორტუნიზმს ჩვენს პარტიაში, გავდევნით პარტიის რიგებიდან ისეთ ხალხს, რომლებსაც ჯიბეში უდევთ პარტბილეთი და რომლებიც შლიან პარტიის პოლიტიკას და ლენინის დროშებით მტკიცედ და შეურყევლად გავუწევთ წინ შემდგომი გამარჯვებებისაკენ სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. (ხანგრძლივი ტაში).

მთავრობის კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში

რუმინეთის მთავრობის გადადგომა

ვენა, 13 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის მთავრობის თავმჯდომარემ მანიუმ თავისი მთავრობის სახელით შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. მეფემ მიიღო გადადგომა და დაავალა მთავრობას ახალი კაბინეტის შედგენამდე დროებით განაგრძოს თავისი მოვალეობის შესრულება.

მანიუმ პრესის წარმომადგენლებს მიუთითა. რომ მან მეფეს განუცხადა ახალი მთავრობის შედგენის სასურველობა არსებული პარლამენტის უმრავლესობის საფუძველზე. მეფემ სათათბიროდ მოიწვია ყოფილი პრემიერი ვაიდა-ვოევოდა. (ადს).

გადადგა ცალდარისის მთავრობა

ვენა, 13 იანვარი. როგორც ათინიდან იუწყებიან, პარლამენტში დამარცხების შედეგად გადადგა ცალდარისის მთავრობა. ბურჟუაზიული ოპოზიცია ყოფილი პრემიერის ვენიზელოსის მეთაურობით პარლამენტში გამოვიდა მთავრობის პოლიტიკის მკაცრი კრიტიკით ვალების საკითხში (ადს).

რუზველტის განცხადება

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. კორესპონდენტების შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს რუზველტმა განაცხადა, რომ ის იწონებს სამხედრო მასალების გატანის აკრძალვას მებრძოლი ქვეყნებში და განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც თავდამსხმელ მხარედ ითვლებიან (ადს).

წითელ პარტიზანთა ბავშთა სატრიკოტაჟო წარმოების მუშები მწუხარებით იუწყებიან ამავე წარმოების ინსტრუქტორის ამხ
შუშანა (ლახათუნა) ნაცვალაძის
უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა 15 იანვარს 4 საათზე ვერის სასაფლაოზე გამოსვენება სანაპიროს ქ. № 1. 229

დამწუხრებული შვილები: ისიდორე, ნიკოლოზი და ანდრია მეუღლეებითურთ ქალიშვილები: ნინა და ოლია ქმრებით აუწყებენ ნათესაობას მათთვის დაუვიწყარ
თებრონე ნიკოლოზის ასულ მეგრელიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 15 იანვარს 235

დამწუხრებული მეუღლე შალიკო. მაზლები: აკაკი, კოკო, რძლები: სოფია, ნინა. მაზლიშვილი ხელიკო დასტირიან დაუვიწყარ
კატო ბესარიონის-ას. მხეიძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს 4 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან ველაბრის სასაფლაოზე. 23

დამწუხრებული: ხრისტინე, დათიკო ვალერიანე. მიშა გოგიტოლ. პავლე. ლიზიკო ჩიტაიშვილები, ოლია, ნოე ღოლონტი იუწყებიან. რომ 17 იანვარს ს. ბაზში დანიშნულია დაუვიწყარი მშობლების და ძმის
აკაკი ჩიტაიშვილების
სამოქალაქო პანაშვიდი. 243

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი იაკობია ქრისტინე ბაბუა ლეონტი დედა მარო ბიძა ტიტიკო ზვიადაძეები და ბიძა გიორგი კოხრეიძე დასტირიან
მზია მარჯანიშვილის
უდროოდ დაკარგვას. 6. 70

დამწუხრებული სიძე ილია. მული კატო მეოჯახით: [illegible] დავითი ელისაბედ, ჯიბლაძე შვილები. [illegible] გოგუცა და ქრისტინე ციციშვილები იუწყებიან რომ არ [illegible] მათთვის საყვარელი დაუვიწყარი
ნინუცა კაშია თათეიშვილისა
212

მშობლები: ძაოია, სოფიონი, ძმები: მირა [illegible] ძმები ბეჟია ახიკო. დედა დარია. ბიძა ახ. [illegible] მათითაშვილები იუწყებიან
გულბათი გორდელაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 17 იანვარს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 241

დამწუხრებული მეუღლე ლადო [illegible] მამამთილი გრიგოლ [illegible] შვილებით იუწყებიან, რომ 18 იანვარს 4 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
გრეტა კედია-ანიკაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად 240

გულმოკლული მეუღლე ნინა შვილი ლიზიკოთი, ძმა პავლუშა, ვალოსია და მარუსია სიძე გრიშა იუწყებიან, რომ 18 იანვარს 4 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელი
სვიმონ იასონის-ძე ბახტაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 236

დამწუხრებული მშობლები. ალისო და კელო, ძმები: ზალიკო, ლუტია, რეზიკო, დები: თამარა, მარგარიტა ქავთარაძეები, სიძე აკაკი ცქიტიშვილი ცოლშვილით იუწყებიან ძვირფასი
კონსტანტინე (კოწია) ქავთარაძის
უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა 15 იანვარს ს. კლდეთში 39

თინა კორძაია ელიშვილი ქმრით სერგო [illegible] მშობლებით გივი [illegible] მწუხარებას [illegible] სარა კორძაიას უსაზღვრო მწუხარებას მისი ძმის სტუდენტ
დათიკო ახათიანის
დაკარგვის გამო. 247

დამწუხრებული შვილები: ელენე, [illegible] და თამარა ტაბატაძეები აუწყებენ [illegible], რომ 13 იანვარს გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა
[illegible] გიორგის-ას ტაბატაძისა
246

დამწუხრებული: [illegible] ნადია და ნათელა. [illegible] ალექსანდრე (ცოლით ნინოთი), ბიძაშვილები ბებია სალომე ბრეგვაძეები იუწყებიან ძვირფას პატარა
[illegible] დიანოზის-ძე ბრეგვაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 15 იანვარს. [illegible] ბრიგადირის ქ. № 2, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე 244

დამწუხრებულნი მშობლები ელისაბედ [illegible] ძმა ნიკოლოზ. და თამარა [illegible] ბიძა მართია ბერუჩაშვილი [illegible] იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის [illegible] ქ. სოხუმში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი
შ ო რ ა
დაკრძალვა ზესტაფონში ძმათა სასაფლაოზე 15 იანვარს 6. 66

[illegible] კორძაძე მეუღლე ლიუბაშა, ბიძები [illegible] ნესტორი იასონი ცოლშვილით [illegible] ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი [illegible]
[illegible] ერმალოზის-ძე კოპალაძის
უდროოდ დაკარგვას. 228

დამწუხრებულნი სიდორი ქობია ცოლით, შვილები: ფატი. [illegible] ცოლით ძმა დათიკო [illegible] მიშა [illegible] იუწყებიან. რომ დაუვიწყარი
ანდრო რაჟდენის-ძე რუხაძის
სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 16 იანვარს 2 ს ქ. სამტრედიაში 234

დამწუხრებული მეუღლე ელპიდა შვილები: ქეთევან დუდანა, თინა, დათიკო და მართა, რძალი კელაკია და ძმისშვილები იუწყებიან დაუვიწყარ
ალექსანდრე გუჯუას-ძე მჟელაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ბათუმში 15 იანვარს. ელექტრონის ქ. № 5. 237

დამწუხრებული ქმარი პოლიეკტი, შვილი [illegible] იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ
შუშიკო ცირღილაძე-ტყაბლაძის
უდროოდ გარდაცვალებას სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 ს.ს. საათზე, მახარაძის ქ № 10 დაკრძალვა 6 იანვარს 4 ს. ვერის სასაფლაოზე 238

თავზარდაცემული შვილები: ევა, ვანო, თა[illegible] [illegible] კოლა სიძეები იოსებ [illegible] იუწყებიან დაუვიწყარ
ეფემია ფოჩხიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება სად [illegible] დღეს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 2[illegible]3

დამწუხრებულნი შვილები: იონა, ანდრო. ილიკო რძლები: კლარა. ქეთოშა ნინა თამარიანთ შვილიშვილით იუწყებიან ძვირფასი
მაკრინე ზურაბის-ას გვარამიას
გარდაცვალებას. დასაფლავება ახალ სენაკში 17 იანვარს 4 საათზე. 232

ექიმი
ი. მ. პარმა
შინაგანი [illegible] ნივთიერებათა ცვლის [illegible] კუჭის ნაწლავის [illegible] იღებს საღ. 7—8 საათამდე ლომინაძის (ყ. იზმაილოვის) ქუჩ. № 8
1521

ექიმი
ლ. ა. ფალავა
შარდ-სასქესო, სიფილისი, ვენერიული და კანის მიღება საღ 6-ნახ. —8 ს. კლ. ცეტკინას ქ. № 148 (რკ. გზის სამმართველოს ახლოს).
13—1 228

ექიმი
ქ. თ. [illegible]
[illegible] მიღება (კანი, ვენერიული და შარდ სასქესო ორგან. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1. დილით 8½—9 საღ. 7—8 ს.

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ. 9½ ს. საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ („ორიენტის“ პირდაპირ) ხოდორიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8
700 25—1

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქუჩა № 62

მთავლიტის რწმუნებული ა 1257